

გიორგი (პიშიპო) დანელიას
დაბადებიდან 100 წლისთავისადმი
მიძღვნილი კრებული

33ალი

6ათელი

თბილისი
2023

წიგნის შემდგენელი
ბელა გრიგოლაშვილი
რედაქტორი
რამაზ ხეცურიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირაკლი ხუციშვილისა

გარეკანი: თემურაზ ყუბანევიშვილის ნახატი
ტექსტში ჩართულია გიორგი დანელიას ნახატები, ესკიზები ...

ISBN

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია აკად. ვლ. ულენტის მიერ ჩამოყალიბებული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, გიორგი დანელიას განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსშესან-იშნავი ეტაპები, რომელმაც სამართლიანად დაიმკვიდრა პერინატალუ-რი პათოლოგიის ფუძემდებლის საპატიო სახელი არა მარტო საქართვე-ლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მთელი შეგნებული ცხოვრება იგი ერთგულად და გულანთებულად ემსახურებოდა თავის სანუკვარ სამშობლოს, რაც უყურადღებოდ არ დაუტოვებია საქართველოს ხელისუფლებას: ბ-ნი გიორგი დაჯილდოე-ბულია ღირსების ორდენით, იგი არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიკურ-ბი-ოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი.

საამაყოა, რომ ფართო ერუდიციის მქონე, ხელოვნების, მუსიკის, ფილოსოფიის, მოყვარულმა გიორგი დანელიამ 64 წლიანი უწყვეტი მუშაობისას აღზარდა ახალგაზრდა, და არა მარტო ახალგაზრდა პა-თოლოგანატომთა, ჰისტოლოგთა, გენეტიკოსთა, ციტოლოგთა თაო-ბები, რომლებიც შემდგომში კვალიფიციურ ექიმებად ჩამოყალიბდნენ. მადლიერების გამომხატველ მოგონებებს შეგიძლიათ გაეცნოთ წინამ-დებარე კრებულში წარმოდგენილ სტატიებში.

წიგნის რედაქტორი:

რამაზ ხეცურანი

თსსუ ნორმალური ანატომიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
აკადემიკოსი, მედ. მეცნ. დოქტორი

მე, ბელა გრიგოლაშვილმა, როგორც გიორგი დანელიას მეუღლემ და მისი ცხოვრების ერთგულმა თანამგზავრმა, ვიტვირთე საოჯახო არქივში მოძიებული მდიდარი საინტერესო მასალა გამეერთიანებინა ერთ კრებულად და საიუბილეო თარიღის აღსანიშნად მიმენოდებინა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის. მათვის, ვისაც აინტერესებს ჭეშმარიტი პროფესიონალის რთული, დაბრკოლებებით აღსავსე და მიზანსწრაფული წიაღსვლები, ზოგჯერ კი კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში შემოქმედი ადამიანის ძირითად პროფესიასთან საინტერესო და ჰარმონიული შერწყმა და აღმაფრენა.

წიგნში თავმოყრილია სტატიები, წერილები, ამონარიდები უკვე გამოქვეყნებული ტექსტებიდანაც, რომლებიც ეკუთვნის გიორგი დანელიას მეგობრებს, კოლეგებს, მოწაფეებს და ა.შ. მათი მიზანია, გამოძერნონ პორტრეტი სრულიად არაორდინარული პიროვნებისა, გიორგი დანელიასი, რომელიც მოცული იყო თავისი სპეციალობით, იყო სულ ახლის ძიებაში და ამასთანავე თვითგამოხატვისთვის ხშირად მიაშურებდა ხოლმე მუსიკას, პოეზიას, მხატვრობას, სპორტს, ბუნებას და ა.შ. უყვარდა მოყვასი, მზად იყო ყოველთვის დახმარების ხელი გაენოდებინა მათვის, ეთქვა თბილი სიტყვა იმაზე მეტი, ვიდრე შეეძლო, ის ხომ მხოლოდ სიკეთისთვის იყო დაბადებული.

გიორგი დანელიას მოღვაწეობით გავლებული კვალი ნათელი დღესაც მიუძღვება მაღალი იდეალების მსახურთ.

წიგნის შემდგენელი
ბელა გრიგოლაშვილი (ბ.გ.)
ტექნ. მეცნ დოქტორი

„ცხოვრება გაბმული აღლუმი კი არ არის,
არამედ წვრილმანი, საჯახირო შეუპოვარი
შრომაა“.

სერგი დანელია

„შრომა - ეს ერთადერთი ტიტულია
კეთილშობილებისა“.

რომენ როლანი

I. გიორგი დანელიას სამოღვაწეო გზა

მეცნიერის ღვაწლი

გიორგი დანელიამ ხანგრძლივი და მეტად საინტერესო ცხოვრება განვლო, არა მარტივი, წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ მუდამ შემოქმედებითი მუხტით შთაგონებული. ყოველგვარი წინააღმდეგობების უხმაუროდ გადატანა მხოლოდ ისეთ მიზანდასახულ ადამიანებს ძალუძთ, ვისაც წინასწარვე აქვთ გაცნობიერებული მათ მიერ განეული შრომის დადებითი შედეგები: რა პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს საზოგადოდ ქვეყანას, კერძოდ კი ადამიანებს, როგორ დაეხმარება მათ ამა თუ იმ დაავადების დაძლევაში. სწორედ ეს არის უტყუარი სტიმული დაივინყო მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი სირთულეები, დაივინყო და ჯეროვნად შეაფასო მიღწეული წარმატებები.

გიორგი დანელია 1941 წელს შევიდა და 1946 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1949 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურა პათოლოგიური ანატომიის განხრით. (ბ.გ.).

ტექსტს ვაგრძელებთ აკად. თამარ დეკანოსიძის მიერ გიორგი დანელიას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე წარსადგენი წერილით – „**მეცნიერის ღვაწლი**“, სადაც მოკლედ არის გადმოცემული მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტები (დაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტში“, 25.01.1990წ.).

პროფესორი გიორგი სერგის ძე დანელია ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაინტერესდა პათოლოგიური ანატომიით. აკადემიკოსმა ვლადიმერ ულენტმა გ. დანელია, როგორც კათედრის სამეცნიერო წრის აქტიური წევრი, მიიწვია კათედრაზე და ურჩია, რომ დაუფლებოდა ბავშვთა და პერინატალური პათოლოგიის თეორიულ საფუძვლებს.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გიორგი დანელია ვლადიმერ ჟლენტისვე რეკომენდაციით ჩაირიცხა ასპირანტურაში პათოლოგიური ანატომიის სპეციალობით. საკვალიფიკაციო თემად შეირჩა ბავშვთა და პერინატალური პათოლოგიის აქტუალური პრობლემა, რომელიც შეეხებოდა იმ დროს მეტად გავრცელებულ დაავადებას – ჭიპისმიერ სეფსისს.

აღნიშნული საკითხის საკვლევად გ. დანელია მიავლინეს ქ. მოსკოვში, საბჭოთა კავშირში ბავშვთა პათოლოგიური ანატომიის ფუძემდებელ აკადემიკოს მ. სკვორცოვთან.

მ. სკვორცოვმა, ისევე როგორც ვლ. ჟლენტმა და მისმა თანამშრომლებმა (აკად. ი. ტატიშვილმა, პროფ. ა. ჯორბენაძემ), გ. დანელია აღიარა როგორც ნიჭიერი, მრავალმხრივ განათლებული, ევროპული ენების კარგი მცოდნე, ინიციატივიანი და პერსპექტიული მკვლევარი.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვების შემდეგ (1958წ.), გ. დანელია კვლავ მიავლინეს მოსკოვში საკავშირო სამედიცინო აკადემიის ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ონცოგენესის ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი პროფ. ი. არშავრი) და საკავშირო სამედიცინო აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბავშვთა პათოლოგიის ლაბორატორიაში (ხელმძღვ. პროფ. ე. ტერ-გრიგოროვა) სადოქტორო დისერტაციაზე სამუშაოდ.

გ. დანელიამ 1972 წ. ქ.მოსკოვში, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიაში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ახალშობილთა ფილტვების არაანთებადი დაზიანებების მორფოლოგიის, პათოგენეზის და თანატოლოგიური მნიშვნელობის საკითხისათვის“ (კლინიკურ-ანატომომიური და ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი).

1946 წლიდან გ. დანელია მუშაობს მეანობა-გინეკოლოგიის (1969 წლიდან იწოდება პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც 1952 წლიდან ხელმძღვანელობს პათომორფოლოგიურ ლაბორატორიას.

1968 წელს საქართველოში პათოლოგიურ ანატომომიური სამსახურის რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა საპროფილო გაერ-

თიანებები. გ. დანელია დაინიშნა ბავშვთა და პერინატალური პა-თოლოგიის და გინეკოლოგიის, ორსულთა და გინეკოლოგიურ ავადმყოფობათა პათოლოგანატომიური გაერთიანების ხელმძღვანელად. ამ დარგში მან ჩამოაყალიბა ლაბორატორია, სადაც ათეული წლების მანძილზე ტარდება მრავალმხრივი კვლევა-ძიებანი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

გ. დანელიამ აღზარდა პათოლოგანატომთა, ჰისტოლოგთა, ცი-ტოლოგთა კადრები, ჩამოაყალიბა პრაქტიკული მუშაობის და კვლევის კლინიკურ-ანატომიური მიმართულება. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა 9 კანდიდატი, ამჯერად კი სრულდება 8 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია.

ფაქტიურად გიორგი დანელია არის ზემოხსენებული პათოლოგანატომიური სამსახურის პრაქტიკისა და თეორიის დანერგვის პიონერი საქართველოში. მის სახელთან არის დაკავშირებული აღნიშნული დარგების ჩასახვაც და განვითარებაც ჩვენს რესპუბლიკაში.

დღემდე გიორგი დანელია შეუცვლელად ხელმძღვანელობს ზემოხსენებულ პათოლოგ-ანატომიურ გაერთიანებას, ხოლო 1969 წლიდან არის საქართველოს მთავარი პათოლოგანატომი ბავშვთა და პერინატალოგიის დარგში.

1970 წლიდან იგი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქალთა სიკვდილობის კომისიის წევრია.

გ. დანელია არის აგრეთვე საქართველოს პათოლოგანატომთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის და პათოლოგ-ანატომიური სამსახურის საკონსილიუმო საბჭოს წევრი. იგი სამედიცინო ინ-სტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი ორი საბჭოს წევრია, სადაც აქტიურად მონაწილეობს როგორც დისერტაციების განხილვაში, ისე მათ რეცენზირებასა და ოპონირებაში.

გ. დანელიას მიერ თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სამშობიარო სახლებში სხვადასხვა დროს ჩატარებულია 100-ზე მეტი კლინიკურ-ანატომიური კონფერენცია. იგი პასუხისმგებელია ბავშვთა, პერინატალურ და ქალთა პათოლოგიის საკითხების გადაწყვეტაში. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე შესაბამისი ბიოფ-სიური, ოპერაციული მასალის და გამონაფხეკების ჰისტოლოგიური

დიაგნოსტიკა.

გ. დანელია არის დღეს საქართველოში პათოლოგანატომიური სამსახურის წამყვანი სპეციალისტი. იგი აღიარებულია როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ღრმა განათლების და აზროვნების ფართო დიაპაზონის მქონე პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი. მას ეკუთვნის 241 ნაშრომი, რომლებშიც წამოჭრილია და გადაწყვეტილი მრავალი საინტერესო და საკვანძო საკითხი.

გ. დანელია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სსრ კავშირის პათოლოგანატომთა შორის, მისი შრომები ცნობილია აგრეთვე საზღვარგარეთაც. იგი აქტიურად არის ჩაბმული საქართველოს პათოლოგანატომიურ სამსახურში და საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის სამკურნალო ქსელის მუშაობაში.

გ. დანელიას პათოლოგანატომიური სამსახურის გარდაქმნასთან დაკავშირებით საინტერესო და მრავალფეროვანი გეგმები აქვს. მას შემუშავებული აქვს კონსტრუქციული წინადადებები, რომელთა განხორციელებასაც უკვე შეუდგა და რომელთა რეალიზაცია დღეს განსაკუთრებით საჭიროა არა მარტო მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისთვის, არამედ ჩვენი ერის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული, დემოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტადაც. თავისთავად ცხადია, ბავშვთა პათოლოგიის საკითხებზე მუშაობა მეცნიერისგან მოითხოვს არა მხოლოდ მაღალ კვალიფიკაციას და ერუდიციას, არამედ ღრმა და ფართო ჰუმანიზმსაც, რასაც გიორგი დანელია ბავშვობიდანვე აზიარა მისმა მამამ, დიდმა მამულიშვილმა სერგი დანელიამ.

გიორგი დანელია თავისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობით დიდი ხანია იმსახურებს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებას.

თამარ დეკანოსიძე
საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის
მთავარი პათოლოგ-ანატომი,
საქ. სსრ მა წევრ-კორ., მეცნ. დამსახ. მოღვაწე

თამარ!

(თ. დეკანოსიძეს)

აღტაცებას იწვევს მხოლოდ
ოდითგანვე ეს სახელი,
მაგრამ მინდა ორი სიტყვა
შენზე მეც ვთქვა საქებარი.
მთელი შენი ცხოვრების გზა
იოლად არ გაგივლია,
ის ნიადაგ მიკროსკოპთან
და წიგნებთან ჭიდილია.
არ გაკლია კარგო, დიდო,
ჩვენი ენის სიყვარული,
ხვენავ აზრებს და გამოთქმებს,
რუსთაველის ენას უვლი
და უბადლო ინტელექტით
მუდამ სიღრმეებში დახვალ,
შენეული მიგნებებით
გაუხსნელსა ამოკვანძავ.
არ მშურს, მხოლოდ მიკვირს, რა ხარ?
რომ არავის არა ჰგავხარ,
შენ სხვა რაშზე ზიხარ, თამარ,
და რაინდიც სხვაგვარი ხარ!
ყველგან ხალხი გახვევია,
არ გაკლია ყურადღება,
ბევრთა შმაგი ინტერესი,
ხან კი – კრიტიკული მზერა.
თვალში შემოგციცინებენ,
ერთი შენი მიკარება,
მათთვის არის თვით სიბრძნესთან,
ღვთის კალთასთან ზიარება.
ასეთი ხარ შენ ჩვენ შორის
ერთი ქალი მშვენიერი,
დინჯი, მუდამ ფიქრიანი,
ღრმა მკვლევარი, მეცნიერი.

გიორგი დანელია



საქართველოს სსრ
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

სიგნალი
ГРАМОТА

Президиум Верховного Совета
Грузинской ССР



ამ. ღ 1 6 ვ ლ 0 1 ს

გორგი სერგოს ძეს

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მო-
დვაწეობისა და მეცნიერთა კაღრების აღზრდისათვის სა-
ქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990
წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით მოვალიშვილ თქვენ
საქართველოს სსრ გეცნიერების დამსახურებული
ორგანიზაციის საპატიო წოდება.



თავისუფლივი

ըսոր մաղեցրութե, պրոլետի ձևութեանքնեւ. Ֆրանցիակառեալմա. ծննդիկոնցւրու տրամատեն.

ՆՏՐՈՒ ՀԱՐՄԱՆ

Ձեւո պայմանեա մղջութեանքն ըսորու եւդժութարուու ուս
հայութեանքնու

ՀԱՐՄԱՆ

ՀԱՐՄԱՆ

ՀԱՐՄԱՆ


ՀԱՐՄԱՆ

ՀԱՐՄԱՆ

ՀԱՐՄԱՆ

ըսորեան ուսչու հայութեան դժուար

ՀԱՐՄԱՆ: ըսորու եւզյս. եղրու զդրամշորու. մայուրու նայուադ. ունիչորու մամատութեանքորու. մտուն ուներուուն. եղրու ուս եղրու մենցումշորու. եղյուս եղմասդ. մես զդեմիսդ. զու զանուուդ. եղրու բարեսեցուուդ



II. აკადემიკოს ვლადიმერ ჟლენტისა და მისი სკოლის ნაამაგარი

გიორგი დანელიას კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მთელი არსი. იცოდა, საიდან მოდიოდა, როგორ ყალიბდებოდა, საით მიისწრაფოდა... ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც განსაზღვრეს მისი სამოღვაწეო გეზი. ამ ფიქრითაა დატვირთული მისი მასწავლებლებისა და კოლეგებისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით განმსჭვალული წერილი „აკადემიკოს ვლადიმერ ულენტისა და მისი სკოლის ნაამაგარი“, რომელიც ავსებს, ამდიდრებს გიორგი დანელიას პორტრეტს.

ამიტომ ვუთმობთ ადგილს აღნიშნულ წერილს, დაბეჭდილს მოგონებათა წიგნში“ თსუ პათოლოგიური ანატომიის კათედრის 80 წლისთავთან დაკავშირებით (თბილისი, 2002) (ბ. გ.).

ბრძენი და ძირძველი ევროპელები, ინგლისელები, სიტყვალომს (Lion) აიგივებენ ყოველივე საუკეთესოსთან და ძლიერთან. ცნობილი ზოოლოგის ა. ბრემის დახასიათებით, ამ მეფურ არსებაში შერწყმულია ძლიერება, პირდაპირობა, გულადობა, მაგრამ განუყრელია მისდამი შიში და მორიდება. ეს ასოციაცია ჩემს წარმოდგენაში გამოიწვია უნიკალურმა ადამიანმა, მაღალი გონების და უძლიერესი შინაგანი ძალის მქონე პიროვნებამ აკადემიკოსმა ვლადიმერ ულენტმა.

რასაც მე ვწერ, შეიძლება ზედმეტად სუბიექტური, რიტორიკული ან ცოტა ანაქრონულიც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ნაფიქრი, გაანალიზებული ჩემს მიერ წლების მანძილზე, მომწიფდა. იგი გულწრფელია, შთაბეჭდილებები მართლაც დიდია, მაგრამ მე ვცდილობ ზომიერების დაცვას, ვერიდები გადაჭარბებას.

პათოლოგიური ანატომია მედიცინის ის შემკრები ფუნდამენტური საგანია, რომელიც შეისწავლის დაავადებას (იკვლევს უკანასკნელის სტრუქტურას, აღმოცენების მიზეზებს და განვითარების მექანიზმებს) და სარკესავით აირეკლავს კლინიკაში დაშვებულ შეცდომებს. ყოველ გაკვეთაზე პათოლოგი აღმოაჩენს, გარდა საძიებო ობიექტისა, კიდევ რაიმე საინტერესოს, ახალს (ამბობს ამ დარგის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ცელულური პათოლოგიის

ავტორი, გერმანელი მეცნიერი რუდოლფ ვირხოვი).

სამწუხაროდ, მეცნიერების ამ დარგის ისტორიით საქართველოში თვით პა-თოლოგანატომები იშვიათად იპყრობენ მეცნიერების უურადლებას. ამავე დროს, დასაწერი და საინტერესო, განვლილი წლების გადმოსახედიდან უდავოდ ბევ-რია. ეს პერიოდი ხომ ჩვენს რესპუბლიკაში პათოლოგიური ანატომიის საფუძვ-ლების ჩატარებისა და ამ დარგის შემდგომ განვითარებას მოიცავს.

ასეც რომ არ იყოს, მე სავსებით სწორად მიმართია მარქსის მი-თითება იმის თაობაზე, რომ მეცნიერების ისტორია თვით წარმოად-გენს მეცნიერებას.

ბუნებრივია, რომ ეს დარგი მთელი თავისი სირთულით და სიღრ-მით, ანდამატივით იზიდავს საინტერესო, განსაკუთრებული ნიჭით, შრომისმოყვარეობით და მეცნიერებისათვის კიდევ სხვა მრავალი საჭირო ღირსებით და თვისებით დაჯილდოვებულ ხალხს.

ვიდრე გადავიდოდე აკადემიკოს ვლადიმერ ულენტის პიროვნების და საქმიანობის დახასიათებაზე, მინდა გავიხსენ აინტერინის სიტყვები მ. განდიზე: „ჩევნი თაობისათვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ დედამი-ნაზე დადიოდა და სუნთქვავდა ასეთი ადამიანი“.

დაახლოებით ასეთი ძნელია დღეს (დღევანდელ პირობებში) წარ-მოვიდგინოთ ვლადიმერ ულენტის მსგავსი პიროვნება.

ჩვენს ეპოქაში აღარ არის მოდაში ზედმეტი პატივისცემა, მოკრძა-ლება, შიში, ჰიპერტონიურებული თავმოყვარეობა და ამბიცია. ბევ-რი რამ შეიცვალა, კერძოდ, პედაგოგიკაშიც, როგორც დრომოქმუ-ლი, უარყოფილია აღზრდის სიმკაცრე და დამრთვუნველად არის მონათლული პიროვნების ნებისმიერი შეზღუდვა. მაგრამ, ჩემი აზ-რით, სამწუხაროდ, არ არსებობს უკეთესი მასწავლებელი, ვიდრე მკ-აცრი, მაგრამ თვით საკუთარი ინდივიდის ამაღლებულობით, დიდი მორალურ-ინტელექტუალური შესაძლებლობებით და ცხოვრების გამჭვირვალე და მართალი წესით გამორჩეული ადამიანი, როგორც ინგლისელები ამბობენ: *Self example is a best sermon.*

მაღალი, კარგი აგებულებისა და გარეგნობის, შთამბეჭდავი, სოლიდური მამაკაცური სახის ნაკვთებით, ყოველთვის სუფთად და კარგად ჩაცმული ბატონი ვლადიმერი ევროპელი ინტელიგენ-ტის თავისებური განსახიერება გახლდათ. ქუჩაში შეიძლება ვერ შეგემჩნიათ მასში რაიმე განსაკუთრებული, რაც უმაღ მჟღავნდე-ბოდა მასთან გასაუბრებისას; ნებისმიერი ადამიანი შეიგრძნობდა ვლადიმერ ულენტში არსებულ მაღალ ინტელექტს და რაღაც სხვა, განსხვავებულ შინაგან ძალას, რომელიც მის ირგვლივ თითქოს მაგ-

ნიტურ აურას ქმნიდა.

ბატონი ვლადიმერ ჟლენტის იშვიათად ღრმა და სხარტი აზროვნება, მისი ფართო ერუდიცია, სამეცნიერო ინტერესების დიაპაზონი, მის მიერ ნიადაგ აქტუალური და სამომავლო საკითხების ამონევა და მათი შემდგომი განვითარება და, რაც მთავარია, ის გრანდიოზული საქმე, რომელსაც იგი შეეჭიდა და წარმატებით განახორციელა, კერძოდ მყარი საფუძველი ჩაუყარა პათოლოგიურ ანატომიას საქართველოში. აი ყოველივე ის, რაც მას აყენებს ქართული მედიცინის კლასიკოსთა რიგში.

ამ მრავალმხრივ დაჯილდოებულმა მეცნიერმა და საუცხოო ორგანიზატორმა მიიღო ფართო პროფესიული ცოდნა რუსეთსა და გერმანიაში. შემდგომ, უკვე თბილისში, აკადემიკოსმა ვლადიმერ ჟლენტმა მის მიერ დაარსებულ პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე თავის ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად შემოიტანა მეცნიერული ძიებით აღსავსე სულისკვეთება.

მისი ინიციატივით შეიქმნა კათედრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც თვითონვე შეავსო, თავი მოუყარა მის მიერ დამუშავებულ საკმარისად ბევრ მოწინავე თანადროულ, მათ შორის კაპიტალურ შრომებს პათოლოგიაში.

ეს შრომისმოყვარე, დაუღლელი და მოუსვენარი მეცნიერი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა რუსულ და ევროპულ (განსაკუთრებით გერმანულ) ენებს, ნიადაგ იყო სამეცნიერო სამედიცინო და კერძოდ, პათოლოგიური ანატომიის სიახლეების კურსში, ამ დარგის მოვლენათა ეპიცენტრში. მისი მაღალი დონის აკადემიურობა იყოთხებოდა მის ნებისმიერ ნამუშევარში, იქნებოდა ეს გვამის გაკვეთა, მორფოლოგიური სუბსტრატის წარმოჩენა, თუ მაკროპრეპარატის ან სხვა სასექციო მასალის გაშიფრვა.

აკადემიკოს ჟლენტისადმი მოკრძალების და განსაკუთრებული რიდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მის „ცენტორულ, მაკონტროლებელ“ პროფესიასთან ერთად, გახლდათ კოლოსალური შინაგანი ძალა და განსაკვიფრებელი ერუდიცია, რომელიც მის ირგვლივ ნებისმიერი მეცნიერული თუ ცხოვრებისეული ურთიერთობებისას უხილავ დისტანციას ქმნიდა. სამეცნიერო საბჭოში ვლადიმერ ჟლენტს ჰქონდა შერჩეული თავისი ადგილი, რომელსაც სხვა არავინ იკავებდა ამ პიროვნების გამორჩეული პატივისცემის, მისდამი ნამდვილი პიეტეტის გამო (სხვა დრო იყო და სხვა, თავისებური, ერთობ საინტერესო განუმეორებელი ხალხი).

აკად. ვლადიმერ ჟლენტი იყო შედარებით სიტყვაძუნნი, ლაკონიური, მაგრამ მისკენ იყო მიმართული მეცნიერთა საყოველთაო ყურ-

ადლება და სწორედ თავისი გამჭრიახი გონებით, მეცნიერული სიმკაცრით და სიზუსტით იყი გახლდათ სამეცნიერო თავყრილობებზე გარკვეული დაძაბულობისა და სიფრთხილის მიზეზი, ხოლო მისი დასწრება საგრძნობლად ამაღლებდა დისკუსიის საერთო დონეს. მის ყოველ ნამოქმედარს ახალი ინფორმაციით დატვირთული გონების ხილი ამშვენებდა. სწორედ ბატონ ვლადიმერზე აღნიშნავდა ჩვენს თაობაში განსაკუთრებული განათლებით გამორჩეული ანატომისი, პროფესორი ლ. აბაშიძე: „მიყვარს ბატონი ვლადიმერის მოსმენა, მისგან ხშირად გაიგებ საინტერესოს, პათოლოგიურ-ანატომიურ და ზოგად ბიოლოგიურ განზოგადოებებს, გონებისთვის სასიამოვნოს“.

აკადემიკოსი ულენტის ლექციებით მოჯადოებული სტუდენტები აღსავსე იყვნენ მისდამი რიდით, და უდავოდ გარკვეული შიშითაც, ვინაიდან იგი ვერ იტანდა უდისციპლინობას, სტუდენტურ მოუწეს-რიგებლობას. კანტის პუნქტუალობის, სიზუსტის ქომაგი და ადეპტი, იგი ყველაფერს ამჩნევდა და ამასთან იჩენდა გარკვეულ სიმკაცრეს. ბატონი ვლადიმერი დიდ ყურადღებას უთმობდა მედიცინაში სისხლხორცეულად გამჯდარ ლათინურ ტერმინოლოგიას, რომელიც ნაწილობრივ შიფრავს დაავადებას, მის არს და ამავე დროს შინაარსობრივადაც თავისებურად ავსებს პათოლოგიას. ერთ-ერთმა მისმა სტუდენტმა (ჰომეოპათმა ვ. ცინცაძემ) მოკლედ ასეთნაირად გალექსა გამოცდაზე ვ. ულენტის გამოჩენა, რომელსაც დაურთო ბატონი ვლადიმერის მიერ განსაკუთრებული პატივით მოსილი ლათინური ენის ტერმინები:

Ectopia cordis ულენტი მძიმედ მოდის
და *fissure sterni* მოუთმენლად ძგერის,
რიგორიზული გამოცდა
ყოველ ჩვენგანს ელის.

ასე მოუთმენლად ელიდნენ საგნის სირთულისა და თვით გამოცდელის სიმკაცრით დაშინებული სტუდენტები აკად. ულენტის მოსვლას და რაოდენ აღტაცებული იყვნენ ისინი გამოცდის შემდეგ, როცა სულ სხვა კუთხით დაინახავდნენ ხოლმე ბუმბერაზ ინტელექტუალს, რომელსაც სტუდენტების აზრის გულდასმით მოსმენის, დახმარების და მათი ცოდნის შეფასების დიდი კულტურა ჰქონდა!

კათედრის მუშაობა უკვე პირველი წლებიდან აღინიშნა ინტენსიური მეცნიერული კვლევა-ძიებით, რომელშიც ჩაება სტუდენტთა და

ექიმთა ფართო წრე. ეს შესანიშნავი ინიციატივა იქცა საქართველოში მეცნიერული ხარისხის მქონე კადრების აღზრდის ნამდვილ სამჭედლოდ. სწორედ პათოლოგანატომიური მასალის გამოყენებით და არც თუ იშვიათად ამ მასალაზე დაყრდნობით, წარმატებით იცავდა საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხს საქართველოში მედიკოს მეცნიერთა დიდი უმრავლესობა. პათოლოგ-ანატომების მიერ ამ პერიოდში (1930-60) განეული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კოლოსალური შრომა აისახა დიდ და საინტერესო მონოგრაფიაში - **Патологическая Анатомия в советской Грузии**, 1958, სადაც თვალ-ნათლივ ჩანს ჩატარებულ ძიებათა თანადროულობა, მათი მასშტაბები და მრავალმხრივობა. წითელ ხაზად გასდევს მთელ სქელტანიან ნაშრომს დიდი რუდუნება; მასში აშკარად იკითხება წინ წამონეული სამხარე პათოლოგის ასპექტები და მთლიანობაში განეული პათოლოგ-ანატომიური შრომის მაღალი დონე.

ბატონი ვლადიმერ უდენტის ხელმძღვანელობით სისტემატურად ფართოვდებოდა საქართველოში პათოლოგიური ანატომიის ქსელი და მზადდებოდა კვალიფიციური კადრები ამ სამსახურის უზრუნველყოფისათვის. კლინიკურ-ანატომიურ კონფერენციებზე, რომლებიც ხშირად თვით ბატონ ვლადიმერს მიჰყავდა ან რომლებსაც იგი ესწრებოდა, იგრძნობოდა სულ სხვა ტონუსი, რაც განისაზღვრებოდა ყველა ასეთ შემთხვევაში პათოლოგიურ-ანატომიური საკითხების მაქსიმალურად ამომწურავი შესწავლით. აკადემიკოსს უყვარდა სიმართლე, გულაბდილობა, მისი საუბარი აგებული იყო ჭეშმარიტებაზე და მის აღიარებაზე *Amicus plato, sed magis amica veritas...* (მისი საყვარელი ლათინური აფორიზმი გახლდათ). ასეთ პირობებში ზოგიერთი კლინიკისტი ამაოდ ცდილობდა დაემალა მკურნალობაში დაშვებული ხარვეზები. უდენტის თვალი ყოვლისმხედველი იყო. მართლაც, ბ-ნი ვლადიმერის ერუდიცია და მისი უზუსტესი ანალიზი, შემთხვევის მთლიანობაში აღქმის უნარი და მისი შეფასება განსაკვიფრებელი გახლდათ.

კონფერენციები და დისკუსიები, სადაც ხორცს ისხამდა კლინიკურ-ანატომიური და მეცნიერული აზროვნების განსაკუთრებით საინტერესო ასპექტები, წარიმართებოდა მედიცინის თეორიების თანამედროვე მიღწევათა და წამყვან სამედიცინო ორიენტირების და ვექტორების ჭრილში. კლინიკურ-ანატომიური კონფერენციები სისტემატურად (როგორც მინიმუმ ყოველი თვის ბოლოს) ენყობოდა ქალაქის ყველა დიდ სამკურნალო დაწესებულებაში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ის კონფერენციები, რომლებიც ტარდებოდა თბილისის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ბაზაზე (ე.წ. „მიხეილის“ საავადმყოფოში). წარმოიდგინეთ მაშინდელი მედიცინის მეცნიერთა ბრძყინვალე ელიტა, აკადემიკოსები: ნ. ყიფშიძე, მ. წინამძღვრიშვილი, კ. ერისთავი, ლ. ანჯაფარიძე, კ. ვირსალაძე, კ. ჩაჩავა, ა. მინდაძე და მათ შორის აკად. ვ. ულენტი. დღეს ის ინვევს ყველა იმ ბუმბერაზს პაექრობაზე; დღეს ისინი უნდა წარდგნენ უმკაცრეს და იმავდროულად სამართლიანი ცენზორის წინაშე; ყოველი მათგანი უბრალოდ არ თმობს პოზიციებს. მაგრამ პათოლოგიურ-ანატომიური არგუმენტები იმდენად დამაჯერებლად არის მოყვანილი (ვ. ულენტი, ი. ტატიშვილი, ა. ჯორბენაძე, თ. დეკანოსიძე), რომ ისინი ცდილობენ მხოლოდ შეარბილონ განაჩენი, ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავს შეეკამათოს უკვე დაწერილ ძირით ად მოსაზრებას, რომელიც კლინიკურ-ანატომიური ანალიზის საბოლოო შედეგს გამოხატავს.

მაგრამ უკანდახევა მხოლოდ პრძოლით, ცხარე კამათით, პოზიციების შეჯერებით არის შესაძლებელი. აქ ხომ სასწორზე იდება სამურნალო დაწესებულების პრესტიუზი და წამყვან, ავტორიტეტულ კლინიცისტთა რენომე, აი, მეცნიერული ბატალიის საუკეთესო არენა, დაინტერესებულთათვის კი საუკეთესო სანახაობა!

დარბაზში ისადგურებს სამარისებური სიჩუმე, დაძაბულობა თავისებურ, შილერისებულ კულმინაციას აღწევს (იგულისხმება შილერის „ხელთათმანი“!).

მასალა ასეთ კონფერენციებზე საგანგებოდ არის შერჩეული; დაავადებისა და მისი დიაგნოსტიკის ზოგად სურათში მოიხსენიება სუმარული მონაცემები, ხოლო განსჯის საგანი ხდება მათ შორის გამორჩეული, განსაკუთრებული კლინიკური ინტერესის მქონე, ან კლინიკაში ნანახი ექსკვიზიტური შემთხვევები.

პროფ. ი. ტატიშვილი კონფერენციის მასალას ამომწურავად, შესაბამისი ილუსტრაციებითა და ფაქტების ზუსტი კონსტატაციით წარმოადგენს. შესავალში ზოგადად მიმოიხილავს სიკვდილობის სურათს, აღნიშნავს დაავადების დინამიკას, მის პათომორფოზს და ყოველ ცალკეულ შემთხვევას აგვირგვინებს კლინიკაში დაშვებული უზუსტობების და შეცდომების ანალიზით, თან დაურთავს ლაკონიურად შედგენილ ეპიკრიზს და, საბოლოო დასკვნის სახით, სიკვდილობის მიზეზს კლინიკური შეცდომის კვალიფიკაციით!

ძნელია ამ მოხსენების მთელი დატვირთვის, ღრმა ანალიზის,

ლოგიკური წიაღსვლების და კლინიკის დაფარვით ნიუანსებში წვდომის საერთო ეფექტის გადაფასება. მართლაც, რა უკიდეგანოა და ღრმა კლინიკურ-ანატომიური მასალა! ამ წუთებში მთელი კონფერენციის მსვლელობაში ბორგავს საღი კრიტიკა, კამათი და სამედიცინო აზროვნების თავისებური ეგზალტაციის პირობებში იწრთობა გამოცდილება, იბადება მომავლის პერსაპერტივები და ახალი ძალით იმუხტება კონფერენციაზე დამსწრე ექიმი, მათ შორის რასაკვირველია, ახალგაზრდებიც, რომლებიც ისმენენ და ეზიარებიან გამოცდილი ექიმების სილრმისეულ, კლინიკური და მორფოლოგიური წიაღიდან მიღებულ, საინტერესო მიგნებებს. აქ ზოგჯერ კლინიკური შეცდომა მკურნალი ექიმის ცოდნის დიდი დიაპაზონის და ზედმეტი თავდაზლვევის ტოლია. ყოველი შემთხვევა გვევლინება გარკვეული ინსტრუქციული მასალის სახით, რომელშიც ნათლად არის წარმოჩენილი პათოლოგიის და კლინიკის უძირო, ამოუნურავი ასპექტები. დისკუსია მიმდინარეობს სავსებით თანამედროვე ზოგად-სამედიცინო თეორიათა ჭრილში (ჰანს სელიი, ი. პავლოვი, ი. ბერიტაშვილი)!

საკითხები მდიდრდება მოსაზრებებით, მეცნიერული ინტერპრეტაციით, ივსება თვით პათოლოგიის სურათი, უფრო ნათლად იკვეთება კონკრეტულად განსახილველი შემთხვევის კლინიკური და მორფოლოგიური თავისებურებები. ყურადღების ეპიცენტრში პერმანენტულად არის მოქცეული დაშვებული კლინიკური შეცდომა, მისი სიმძიმის ხარისხი (გამოსავლის გათვალისწინებით), არასწორი დიაგნოზის გავლენა კლინიკურ ეფექტზე; დაავადება განხილულია დინამიკაში კლინიკური დახმარების ადეკვატურობისა და ჩატარებული პროფილაქტიკური ზომების შეფასებით.

ჩვეული ღირსებით იცავს თავის პოზიციას აკადემიკოსი მ. წინამძღვრიშვილი და აფრქვევს ერუდიციას, მოჰყავს საინტერესო ფაქტები არსებული ლიტერატურიდან, ჰიპოთეზები, მაგალითები. მსჯელობაში უხვად იყენებს, გარდა კლინიკის მასალისა, ბიოქიმიას, ლაბორატორიულ ტესტებს. მჭევრმეტყველებით გამოირჩევა ლ. ანჯაფარიძის ექსპლიკაციები, რომელსაც მოჰყავს საინტერესო დიაგნოსტიკური, მათ შორის ერითროციტების მორფო-ფუნქციური მდგომარეობის მაჩვენებლები და რეონენცეფალოგრაფიული დეტალები. დინჯად და აუდელვებლად პაექრობს აკადემიკოსი ნ. ყიფშიძე. იგი ზოგადად განიხილავს შემთხვევას და მკაცრი ლოგიკით ასაბუთებს დაშვებული დიაგნოსტიკური უზუსტობის მიზეზებს. საუბარში იგი ასახავს ახალი სამკურნალო-დიაგნოსტიკური

მეთოდების დანერგვის პერსპექტივებს. პროფესორი მინდაძე იძლევა მძიმე ქალაშიდა დაზიანების (ტვინის აპოპლექსია) სინდრომატიკას და მისი კლინიკური მანიფესტაციის თავისებურებათა საინტერესო ანალიზს.

ორატორები ერთმანეთს ცვლიან, პაექრობაში ერთვებიან სხვა ექიმები, რომლებსაც მოაქვთ საინტერესო ინფორმაცია ლიტერატურიდან, გამოთქვამენ მოსაზრებებს კლინიკური პრაქტიკიდან!

საუბარში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ლაბორატორიული სექტორის ნარმომადგენლები, ბიოქიმიკოსები, და მიგნებებში, მეცნიერულ ჰიპოთეზებში და საინტერესო პრეზუმპციებში საკამათო საკითხი დიდხანს იკვლევს გზას კლინიკურ ანატომიურ ეპიკრიზამდე და შემთხვევის დიაგნოზური უზუსტობის ხასიათისა და სიმძიმის კვალიფიკაციამდე, რომელიც უღერს თავისებური გარდუვალი განაჩენის სახით! მაგრამ ალნიშნული კვალიფიკაციის სიმძიმისაგან დამოუკიდებლად, ცენზურის (ანუ პათოლოგიურ-ანატომიური მხარის) ავტორიტეტის გამო, არ იძადება ზედმეტი ან არაზუსტი არაკონსტრუქციული კითხვები. ექიმები ღრმად აანალიზებენ ხარვეზებს, კვლავ უბრუნდებიან ადრეთქმულსა და ნაფიქრალს, მიკროსკოპს, მაკროპრეპარატებს, სადაც პათოლოგანატომებთან ერთად აჯამებენ და აზუსტებენ მოსაზრებებს!

ბატონ ვლადიმერს, ამ დიდი მეცნიერული შთაგონების, უძლიერესი ნების და გავლენის მქონე ჰიროვნებას, განგებამ ამავე დროს დაანათლა მისი დანიშნულებისათვის და მოღვაწეობისათვის, როგორც დარგის საფუძვლის ჩამყრელისათვის, ესოდენ საჭირო ორგანიზატორული ნიჭი. ამ იშვიათი ბუნებრივი ჯილდოს მონათესავე თვისებას უთუოდ ნარმოადგენდა ვლადიმერ უღენტის უტყუარი ალლო ჰიროვნებათა განჭვრეტისა, რაც ჩვეულებრივ დადასტურდებოდა ხოლმე შემდგომი წლების მანძილზე. მისთვის საკმარისი იყო ძალიან მოკლე დრო ადამიანის ბუნების ამოსაცნობად. ასეთი უტყუარი ნათელებედვა ბრწყინვალედ გამოიკვეთა მის მიერ ერთგული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე მონაფებისა და თანამშრომლების შეჩევაში, რომლებმაც ბატონი ვლადიმერის ხელმძღვანელობითა და მითითებით ჩაუყარეს საფუძველი ქართულ პათოლოგიურ ანატომიას და განავითარეს იგი.

უნიკალური, თითქმის „მუშკეტერული“ იყო ამ მეცნიერების სამი ნამდვილი რაინდის მეგობრობა; სამი გამოკვეთილი საინტერესო ჰიროვნების (ი. ტატიშვილი, ა. ჯორბენაძე, თ. დეკანოსიძე) სრუ-

ლი უნიფიკაცია ხელმძღვანელის ეგიდის ქვეშ; მე არ მახსოვს ამ მართლაც ფოლადისეულ ერთობაში არცერთი მცირე ბზარი, და ჩემი აზრით, პრინციპში ქართული პათოლოგიის სათავეებში ყოველივე მნიშვნელოვანი და დადებითი განაპირობა ამ სამი მეცნიერის იდეურმა შედუღაბებამ, ურღვევმა უნისონმა. ეს მაგალითი ღალადებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილ გმირებს ქმნის დრო, მოთხოვნილება, ეპოქა.

ერთ-ერთი მათგანი, აკად. **ირაკლი ტატიშვილი**, მეცნიერული სიბრძნის და გამოცდილების ენციკლოპედიაა. ამ ურყეობისა და ერთგულების გამორჩეულმა ნამდვილმა ბერმუხამ მთელი თავისი ნიჭი და ცოდნა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შესწირა კათედრას, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მთლიანად შეიძყრო მისი მაძიებელი ბობოქარი სული. მან ლამის საკუთარ ბინად გაიხადა კათედრა, რომელსაც არასდროს ტოვებდა. იგი ფეხმოუცვლელად უვლიდა და აღვივებდა კათედრაზე დანთებულ ცეცხლს (გემის კაპიტანივით, მუდმივად, „დარის მიუხედავად“ მასთან განუყრელი იყო); თითქმის ნებისმიერ დროს, დილით თუ საღამოთი, მას თქვენ ნახავდით პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე, თავის კაბინეტში, განუყრელ მიკროსკოპთან, სტუდენტებთან, ექიმებთან, მეცნიერებთან. ამ იშვიათი ერუდიციით და ლოგიკური, შემკრები აზროვნებით დაჯილდოვებული მეცნიერის უნიკალურმა სადოქტორო დისერტაციამ, რომელიც მიეძღვნა თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგიას, ანონსის სახით გაიღვა გაზეთ „Правда“-ს ფურცლებზე. მიუხედავად ბ-ნი ირაკლის ალნიშნული დაძაბული თავაუღებელი კვლევისა პათოლოგიაში, მისი ინტერესები გადასწვდა, და საკმაოდ ნაყოფიერად, მედიცინის, კერძოდ, ქართული მედიცინის საკითხებს. საინტერესო იყო აგრეთვე მისი იუმორისტული და ფსიქოლოგიური ჩანახატები.

აკადემიკოსი **არკადი ჯორბენაძე**, — უძირო საგანში ჩაღრმავებული, გამორჩეული ერუდიციის ქარნე და ორიგინალურად მოაზროვნე, ფართო დიაპაზონის პათოლოგი (მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ისახელა თავი მთელი „ვეფხისტყაოსანი“-ს ზეპირად ცოდნით, პოეზიის შედევრები ყოველთვის ალამაზებდა მის ყოფას, დაუცხრომელ ცხოვრებას და აზროვნებას).

იგი, გაკვეთის ნამდვილი დიდოსტატი, იმთავითვე აჯადოებდა მნახველს სექციის ვირტუოზული ტექნიკით და აცოცხლებდა ავიცენას სიტყვებს, რომელმაც ამ პროცესს სასექციო ანატომიური თეატრი უწოდა. მდიდარი გამოცდილების მქონეს, საკუთარი, ნანახი

და ლიტერატურიდან შენაძენი, თითქოს მთელი სისრულით ჰქონდა გადატანილი უკიდეგანო მეხსიერებაში მოთავსებულ “კარტოთეკების ფურცლებზე” და მსჯელობისას ნიადაგ სარგებლობდა ამ უნიკალური არქივით. ამ მხრივ, მისი ყოველი გამოსვლა გამდიდრებული გახლდათ ღრმა და საინტერესო რემინესცენციებით, სადაც უხვად იყო მოცემული პათოლოგიურ-ანატომიური მაგალითები და ციფრობრივი თუ სტატისტიკური ექსცურსები.

მათი ლირსეული მოწაფე და თანამოაზრეა აკად. **თამარ დეკანონიძე**, რომელშიც ტიტანური მრომისმოყვარეობა შერწყმულია მეცნიერებისათვის საჭირო შესანიშნავ თვისებათა მთელ კომპლექსთან. ქალბატონი თამარი კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის მისი ნამდვილი გმირობით, რომელიც მან გამოიჩინა აპრილის დღეებში თბილისში დაღუპულთა გვამების შესწავლით და თავისი შედეგების ნარდგენით მოსკოვში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოში პათოლოგიური ანატომიის საფუძვლების ჩაყრაში და შემდგომში თავის მხრებზე იტვირთა მის მასწავლებლებთან ერთად გაკეთებულის შემდგომი განვითარება: მან თეორიულად გაამდიდრა წლების მანძილზე კათედრის მიერ მოპოვებული სამეცნიერო მიღწევები და კვლევის ახალი მიმართულებანი დასახა თავისი დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე, მან ჩამოაყალიბა კათედრაზე ლაბორატორიები სპეციალური მორფოლოგიური კვლევისათვის. განვითარების ამ მიმართულების, ჩანაფიქრის მასშტაბურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ დღეისათვის საქართველოში შექმნილია და გარანტირებულია თითქმის ნებისმიერი თანამედროვე მორფოლოგიური ფართო მასშტაბის კვლევების წარმოება; უდავოდ კათედრის, და პირველ რიგში, თვით თ. დეკანონის და მისი მოწაფეების (მედ. მეც. დოქტ. მ. ჩხობაძე) დიდი გამარჯვებაა მსხვილი, თანამედროვე ევროპული სტანდარტების დონეზე აღჭურვილი პათოლოგანატომიური ცენტრის დაარსება ქ. ქუთაისში და პათოლოგანატომიური ცენტრების შექმნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ჩვენი სამსახურის ამ ღვანლმოსილი ლიდერების გვერდით შესანიშნავად უღერს იმ გამოჩენილ მეცნიერთა და მათი მოწაფეების სახელებიც, რომლებიც აღიზარდნენ კათედრაზე და მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობენ და განაგრძონებენ აქტიურ მუშაობას ამ სარბიელზე. ესენი არიან: ა. ჩუბინიძე, ლ. შარაშიძე, ა. მიქელაძე, უ. გაბუნია, რ. კაპანაძე, თ. გორდელაძე, ზ. ცაგარელი, გ. გერსამია, თ. ჯორბენაძე, გ. ვადაჭკორია, ო. ტრაპაიძე, ო. ხარძეიშვილი, ბ. კილასონია, ზ. თო-

ფურია, ი. თავზარაშვილი და ახალი თაობის პროფესორები — დ. კას-რაძე, რ. ჩიხლაძე, გ. ბურვაძე, რ. ბერიაშვილი და სხვ.

და დღეს, როდესაც პროფესიონალის თვალით ვუყურებ პა-თოლოგიური ანატომიის კათედრაზე საათივით აწყობილი ურთისე-სი მექანიზმის ზუსტ, დამაჯერებელ სვლას და ღრმა მეცნიერული ძიებით წინ გადადგმულ ნაბიჯებს, სამაგალითო პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას, ნიჭიერი ახალგაზრდა პროფესორის, სამედ-იცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ო. ხარძეიშვილის თაოსნობით, დიდად კმაყოფილი რჩები იმ სავსებით კანონზომიერი შედეგებით, რომელიც მოაქვს წინა თაობის კარგ მაგ-ალითს, ერთგულებას საქმისადმი, მასწავლებლისადმი და საერთოდ მეცნიერებისადმი სიყვარულს, რწმენას და თავდადებას. ვოლტერის ხატოვან შედარებას თუ მოვიშველიებთ, პათოლოგიური ანატომიის ბალი, წლების მანძილზე, უხვად არის მორწყული და ჯეროვნად არის ნაპატივები.

კვლავ ფუსფუსებენ ახლა უკვე განახლებულ, უკეთეს პირობებში, ახლებურად აღჭურვილ და უზუსტესი მეთოდიკებით გამდიდრებულ ლაბორატორიებში სტუდენტები და ექიმები, იკვლევენ სადღესიონ და სამომავლო აქტუალურ პრობლემებს, რაშიც კათედრა ხელს უწვდის და რეალურად ეხმარება მეცნიერული ჩანაფიქრის განხორციელე-ბაში.

მართლაც, საინტერესო და გამორჩეული ადამიანების მიერაა შე-ქმნილი პათოლოგიური ანატომიის ისტორია საქართველოში. ზემოთ საკმარისად ვრცლად მოგახსენეთ აკადემიკოს ვლ. ჟლენტზე და აკ-ადემიკოს ი. ტატიშვილზე, რომლებიც იმთავითვე განეკუთვნებოდ-ნენ პათოლოგიური ანატომიის მაღალი დონით გამორჩეულ საბჭო-თა პათოლოგ-ანატომთა ელიტას.



ერთობ იქმნებოდა მარჯვენა ძოშათება: გილა ნაკაბიძე, კათავა ირა-
აზელიძე; არიშვასორია: თავისებრ გრიბალავა, გრიბალ მათიავილი. არყაზი არ-
გავავა: კადავასორია ებავორი, ისავა ტათავილი; არიშვასორი უსტავი
საინიკა, ძოშათვი ვაკენა პარავანი. ცეკვი ინორ ჭავა, ძოშათვი ღილი სოფარია;

მორი იქმნებოდა: კარლ ვარებავავილი, ლუასას უსამისე, ძოშათვი
ოთახ ებავორი: არიშვასორია: ურ ვარანა, ალესანდრე ვარანა, კადავასორი თავარ-
ებავორისა, არიშვასორი ასამი გამათავა. ძოშათვი მარია კალავილია: კარ-
ლასორია: გევარ კარანავა, ცოდა კალავა.

მასავ იქმნებო: ვაკენა ვალენტინ ვალიავა, ძოშათვი უოთა კათათალავა, ვაკენი ალექსან-
დრა რიბოლი, ვალ ვალეკონი, ძოშათვი ვაკენისი კარავარი, კარშვასორი ვარა-
ტასირავილი, ძოშათვი სამა გვარავა, ვაკენი რასარან ვასევილი; კარშვასორია: გილა
ვადაჟერისა, ცოდა კარალი. ძოშათვი უტარარავა.

ვერთო იქმნებო: ვაკენი რაბარ რაბაროვა; ძოშათვია: ლაზი ვარანილავა, კასერა
სორავა, ვაკენი: მარ თვალერალიძე, ვართარინ ვარალიძე, კარშვასორი ტირას
უსამისე, ძოშათვი ვასტავ ხორელიძე, კარშვასორი პირია ვიორიავა. ძოშათვი ღილი
უკინისა, ვაკენი ალესანდრე კარასავა, ძოშათვი ლავასა ჭავავილი. კარშვასორი ვიორ-
ში დაცელია.

ვერთო იქმნებო: ვაკენი ალესანდრე თვალავავა; ძოშათვია: ზარია ვიგარია, ვარავ
კაკასა, ვართალ კაკასოვილი. იკინგ დალაპავილი. მარავ კალავა, კარშვასორი ზესაგ
საგარელი: ძოშათვია: ღილი კარავილი, ვიკ ვარავილი. კადა კარავილი. კარავარ კარავილი. ვაკენი
უკინეთი თავთარავა.

ვერთო იქმნებო: კარშვასორი გალარა გარსაბა; ძოშათვია: თავისი კარაბია, ვარავ
კაკასა. ვაკენი ინორ ინორილი, არა არა კაკასოვილი.

ჩვენ გვეამაყება, რომ მსოფლიოში მე-20 საუკუნის სახელმოხვეჭილი პათოლოგიური ანატომიის ისეთი ბუმბერაზი, როგორიცაა აკადემიკოსი ი.ვ. დავიდოვსკი, შემდეგი სიტყვებით მიმართავს ქართველ პედიატრს, აკადემიკოს ი. ფალავას: „თქვენ უთუოდ მეგობრობთ პროფ. ა. ჯორბენაძესთან, ჩემი ღრმა რწმენით, ვინც ამ მეცნიერს გაიცნობს, მას აუცილებლად მაღალი წარმოდგენა შეექმნება საქართველოზე და მის კულტურაზე“.

შემთხვევით არ მოხდა აგრეთვე ისიც, რომ მოსკოვში პათოლოგანატომთა ერთ-ერთ სიმპოზიუმზე, **თ. დეკანოსიძის** ბრწყინვალე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, აკად. ბოროვსკიმ მას უწოდა - „**ფილო-სოფოსი კაბაში**“.

რარიგ სასიამოვნოა მსგავსი მოგონებები... საამაყოა ქართველ მეცნიერთა ასეთი დახვეწილი პროფესიონალიზმი და მაღალი აზრის წვდომა, რაც ერთნაირად კარგად ჟღერს ისტორიის ფურცლებზეც და სამომავლოდაც.

კათედრის მიერ განეულ კოლოსალურ შრომას მართლაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მედიცინასა და მის ისტორიაში; შემოქმედებით იდეათა წარმტაც და დაძაბულ ფურხულში დღესაც იწრთობიან პიროვნებები და არ ქრება ხელიდან ხელში გადასული ესტაფეტის უკვდავი ცეცხლი.

გიორგი დანელია

პათოლოგ-ანატომი, მედ. მეცნ. დოქტ.

პროფესორი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე,

სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა

კადემიის აკადემიკოსი,

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინისა და

მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის

პათომორფოლოგიის განყოფილების გამგე

„ბავშვობიდან დამამახსოვრდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩამრჩა გოეთეს სიტყვები: „მხოლოდ ის არის სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსი, ვინც ყოველდღე მიდის ბრძოლაში მის მოსაპოვებლად“. ამ სიტყვების შემმართებელი ძალა ყოველთვის თან მდევდა და მეხმარებოდა ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც; არანაირი სიძნელეების დროს ფარხმალს არ კყრიდი, ვიბრძოდი გამარჯვებამდე!“.

გიორგი დანელია

„ყველაზე დიდი ბეჭნიერებაა – იყო შეყვარებული შენს პროფესიაში (ეს ხომ ხალხის სიყვარულზე გადის). ეს ნიშნავს გამოხატო შენი დამოკიდებულება -სიმპატია, სიყვარული არა მხოლოდ ერთი ადამიანის მიმართ, არამედ მთელი საზოგადოებისადმი“.

გიორგი დანელია

III. საიუბილეო თარიღების კვალდაკვალ... 70, 80, 85 ... 90 , 95...

ბატონი გიორგი მუდამ გრძნობდა დიდ პატივისცემასა და სიყვარულს კოლეგებისგან, მეგობრებისგან, მისი აღზრდილი მოწაფეებისგან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან, რასაც ადასტურებს ის მისალოცი ადრესები, წერილები, გამოგზავნილი მისი საიუბილეო თარიღების აღსანიშნად. ვფიქრობთ, ამ მასალის გამოქვეყნებით პატივს მივაგებთ მისალოცი ტექსტების ავტორებსაც, რომელთა შორის, სამწუხაროდ, ბევრი უკვე გარდაცვლილია, თუმცა მათი მოგონებები დაწერილი წრფელი გულითა და აღსავსე კეთილი სურვილებით, სამუდამოდ შემორჩება მეხსიერებას... (ბ.გ.)

70 წლის იუბილე

70 წლის იუბილე ბატონ გიორგის საკუთარ ინსტიტუტში აღუნიშნეს. გთავაზობთ მისალოც ადრესებს და მის მიერ იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვას.



ბ ა ზ რ ნ ი ბ ი რ ი ბ ი !

ქ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგის სამეცნიერო კვლევითი ონსტიტუტის კოლექტივი დღი სიყვარულით და პატივისცმით გილოცავთ საიუბილეო თარიღს-დაბადებიდან 70 წელს!

თქვენ ჯერ კიდევ ასალგაშრდა უქმით დაუუფლეთ მედიცინის ურთულეს დარგს—პათომორიულოგიას, განდით ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მრავალი წლის მანძილზე თქვენ; სელმძღვანელობით ინსტიტუტის პათომორიულოგიურ ღაბობისათვის—საქართველოში ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო-სადაცაგნოზო ცენტრს.

თქვენი უშუალო სელმძღვანელობით შესწორებულია მრავალი საინტერესო და რინიშენილოვანი შემთხვევა, რაც საუფლებელ დაუდო ახალ მიმართულებას პერინატალუდ პათომორიულოგიაში.

თქვენ სწორუკოვარი პედაგოგი ბრძანდებით თქვენი სელმძღვანელობით შესრულდა არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

მრავალი წლის მანძილზე თქვენ ბრძანდებით საქართველოს პათომორიულოგთა საზოგადოების წევრი, პათომორიულოგთა და მენ-გინეკოლოგთა სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ყოველი თქვენი გომოსქელა თავისებურ ელექტრს აძლევს ამა თუ იმ საკითხის გაშუქებას.

თქვენ არაორინალური ადამიანი ბრძანდებით, ხართ არა მარტო გამოწენილი მედიკოსი, არამედ შესანიშნავი სელოვანი. არ შეიძლება თქვენ არ უყვარდეთ ადამიანს—პიროვნება, რომელსაც ასე ღრმად ეშის ლიტერატურა და ხელოფრება, ასე უყვარს ქართული სიმღერა და მუსიკა.

და, დიდხანს გეკოუცლოთ ბატონი გიორგი, თქვენი ახალგაზრდული შემართებით, დაუშრეტელი ენერგიით, ამოუწერავი მეცნიერული იდეებით და ნათელი აზროვნებით!

გისურვებთ ხანგრძლივ სიკოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და შემდგომ ნაყოფიერ მოლვაწეობას ქართული მეცნიერების განვითარებისათვის,

ინსტიტუტის კოლეგიას ხახულის

ინსტიტუტის დირექტორი
შემ შე: აკადემიკოს
ამავებრძონი

ა. ამავებრძონი

ღიღად ჩაუგებელით ბავრნო კიორგი!

თქვენ ცაჟოვნით ქორველ მათლოვანს წომია იმ თაობას,
რომელიც შეისხებოთ რა კულტურის მათლოვლის ანაფია, ინ-
დესისური შევდგა მის განვითარებას და შესავალს და კავკასიის რე-
სულად მოწია განსაკურიერებულია სამართლის — დედა-შვილი.
ამიყენ თქვენ გამოიჩინეთ ხარი ქართველ მათლოვანს და
თა შორის, რომელიც საქართველოში ახვითარებთ უძრავი მნიშვნელობის
მქონე ღარების — მუნიციპალიტეტის, გონიერობის, ტერიტორიულის და საერთოდ
ბაკულური მათლოვლის ოფიციალა და მასების მათლოვლის ანაფიას.
თქვენ შექმნით ნაყოფის და მომყოლის მომზოლოვილი კულტურის ახა-
ლი მიმართულება — კულტურის მფლობელობის სისხვა და ჭრიშმანების სა-
ფუძველის გმირების უტესები და ტრანსმიგრაცია, რომელთა გა-
ზიგადობაც შესძლებელი გახდა კორელაციების დაგენერაციის შემთხვე-
ლობის მათლოვლის ღივრებრივი დოკუმენტების. თქვენი ესა და
სხვა გამოკვლევები, რომელთაც უფლებობის კონსულტ-ანაფიალი ჰი-

ზოგა აქვთ, ნინ უსრუტს თანამედროვე მეცნიერებას, რაჯ სახახლოა
ქართული მეცნიერისათვის და მს კრის-ერთ მნიშვნელოვან მოღწევას
ნარჩენადგომის. ასეთი სულისკვეთობით ზორით თქვენ პრეფერიცენის
და უძრავების საქართველოს კურტებს მდგრადი, კონკრეტულითად და
ჰუმანური მოთვალეობის შემდგამი განვითარებისთვის. თქვენ პრემიუ-
ბით მოიცნეთ, თომელი მარაჭი განათლებით და ნერვით, დიდი
მასეულობელობით, პროფესიულობითია და სისტემური, ყოველთვის და
ყველაზე სტირი ხართ საქართველოს ნარჩენისტებისათვის შენ და გორე.

ძვირებას ბავშვო! ქართველი პათოლოგიას გორები
უკონტაქტი და უკონტაქტი სიყვარულითა და მაღისუსტებით გოლოფავნ
დასახურებიდან 70 წლისა და სუსტო, ჰედავლებით და საზო-
გდოლობით მოლვანილობის 45 წლისთვის, გისტოვებით დიდ +
ხანს სიყოფხლეს და გმირულებით თანმიმდევრულად, თორ თქვენი მარაჭი
ნატურალურია, მერავნისა და ბიოლოგის ლიტა კორა, უდიდესი ვასული
გამოყოფება ყოველ ჭრის შემთხვევაში საქართველოს სისტემული და სახული.

ო. მარაჭი თ. ი. მარაჭი უ. მარაჭი
ო. სამ. მარაჭი ე. მარაჭი
შ. მარაჭი

დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი!

თქვენი მშობლიური პათოლოგიური ანატომიის კათედრა, მისი ყველა თანამშრომელი გილოცავთ სახელოვან იუბილეს. ძვირფასო ბატონო გიორგი, თქვენ ბრძანდებით საქართველოში პათოლოგ-ანატომიური სამსახურის უშემდებლების უშუალო მოწაფე. ამასთან ერთად თქვენ რუსეთშიც გაყვალათ მასწავლებლები ბავშვთა, პერინატულური, ოჩსულობის, მშობიარობის, ლოგიონიბის ხნის პათოლოგიისა და გინეკოლოგიურ ავადმყოფობათა უბალო მცოდნენი, მეცნიერების კორიფეები. ყველას გაუმართლეთ და ჩამოყალიბდით ქალის პათოლოგიის საფუძვლიანი მცოდნე, უმაღლესი კატეგორიის ექმანი-პათოლოგანატომი და გამოჩენილი მეცნიერი მკვლევარი, რომელიც ნახვარი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდით და ხელმძღვანელობდა. ამჟამადაც საქართველოში პერინატულური და ბავშვთა პათოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას. თქვენმა ლრმა ცოდნამ და გამოცდილებამ, ღვთის მიერ ბოძებულმა მაღალმა ნიჭიერებამ, ლრმად მოფიქრალს, ინტუიციისა და ფანტაზიის დიდი დაბაზონის მქონეს, მოგცათ შესაძლებლობა პირველს დაგეღვნათ ბავშვთა, მენობისა და გინეკოლოგიის პათოლოგიის ისეთი ფაქტები და კანონზომიერებანი, რომელიც სახელმძღვანელოდ არის მჩნევული. პათოლოგანატომიურ დანართის ტექნიკასა, პათოლოგიის განვითარების მუქანიზმებს პათოგენზის რთული საკითხების გადაწყვეტისა და კლინიკურ-პათოლოგიური კვირიზების შედეგნის საქმეში. ამასთან ერთად, ცნობილია თქვენი ფართო განათლებულობა, ერულიცია, კულტურა, რითაც ყოველი შეგვეძრისას ხიბლავთ ადამიანებს საუბრით, ფერწერით, პოზიის, პროზის, მესიკის შედევრების შესანიშნავი შესრულებით. გილოცავთ ამ ბერნიერ დღეს, გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და თქვენთვის ჩვეულ ახალ-ახალ წარმატებებს. პათოლოგიური ანატომიის კათედრის თანამშრომელთა სახელით:

კათედრის გამგე: ო. ლეი ა. ჭავჭავაძე

თანამშრომლები:

გ. პ. ჭავჭავაძე
გ. გ. გ. გ. გ.

ო. მ. ჭავჭავაძე
ო. მ. გ. გ. გ.

ლ. გ. გ. გ. გ.
ლ. გ. გ. გ. გ.

გ. გ. გ. გ. გ.
გ. გ. გ. გ. გ.

გ. გ. გ. გ. გ.
გ. გ. გ. გ. გ.

სიტყვა, წარმოთქმული ჩემი 70 წლის იუბილეზე.

ჩემთვის ამ მნიშვნელოვან დღეს, მინდა უპირველესად უდიდესი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით გავიხსენო ჩემი მას-ნავლებლები, აკადემიკოსები და პროფესორები: ვლ. ულენტი, ირ. ტატიშვილი, არკ. ჯორებენაძე კ. ჩაჩავა, ი. არშავსკი, ე.ტერ-გრიგოროვა, მ.სკვორცოვი.

მინდა მივესალმო და გულითადი მადლობა ვუთხრა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე უმნიკვლოდ ვემსახურები და რომელსაც ახლა ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებს, კოლეგებს – კათედრიდან და ინსტიტუტიდან – ერთგულებისა და თანადგომისთვის.

1946 წლიდან დღემდე ვმუშაობ აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატულობისა და მენობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში. ამ დიდი სამეცნიერო ცენტისა და ავტორიტეტის მქონე დაწესებულების “გრავიტაციამ” იმდენად მიიზიდა ჩემი, სამეცნიერო ასპარეზზე ახლადფეხშედგმული ახალგაზრდის არსება, რომ საბოლოოდ სრულიად მშთანთქა კიდეც მან. ბუნებრივია, ძალიან ვლელავ, მიჭირს გრძნობების გამოხატვა და შეიძლება ჯეროვნად ვერც კი გამოვთქვა ის დიდი სიყვარული, დიდი სიმპათია, რომელსაც თქვენ, გულკეთილი, საქმისთვის მოწოდებული კოლექტივი იმსახურებთ და თქვენგანაც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობ ყოველწამიერად, ყოველდღიურად ჩემი ხანგრძლივი, ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის პერიოდში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის ინსტიტუტი ის ადგილია, “**Где я страдал, где я любил, где сердце я похоронил.**”

მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება ია-ვარდებით მოფენილი გზის გავლა არ გახლავთ. **“Жизнь- Это хождение по мукам”**. მეც მქონდა ცხოვრებაში 3 მძიმე, საბედისნერო მომენტი, როცა ჩემი ცხოვრების “იალქანს” მეტისმეტად ძლიერმა ტალღამ შემოარტყა: უბინაოდ დარჩენილს - ინსტიტუტმა ბინა მომცა და საბედნიეროდ, ბრემენის მუსიკოსების მდგომარეობაში არ აღმოვჩნდი; სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს, დისერტაციის შემდგომი ყველა საჭირო რიტუალის განსახორციელებლად ჩემმა კოლეგებმა ფულადი დახმარება გამინიეს, ბატონმა კოტე ჩაჩავამ კი მოსკოვში, ჩემი საღოქტორო დისერტაციის დაცვისას, თავისი გამოსვლით დაამშვე-

ნა და მაღალ დონეზე შეაფასა ჩემს მიერ გაწეული მრავალწლიანი სკურპულოზური შრომა; და ბოლოს, ბატონი პალიკო კინტრაიას დირექტორობის დროს, სამსახურიდან “დასასვენებლად” კი არ გა-მიშვეს როგორც პენსიონერი, არამედ ჩემი დაგროვილი ცოდნისა და შემორჩენილი ენთუზიაზმის რეალიზების საშუალება მომცეს, რა-საც ახალგაზრდა თუ უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერების დახმარე-ბასა და კონსულტაციებში ვახორციელებ; თვითონაც განახლებული შემართებით ვაგრძელებ სრულიად ახალი, საინტერესო სამეცნიერო პრობლემების შესწავლას. მინდა კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ჩემს ინსტიტუტს, მეანობა-გინეკოლოგიის ინსტი-ტუტს, რომელმაც სამივეჯერ, გასაჭირის დროს, მეგობრული ხელი გამომინოდა.

ახლა კი უფრო მთავარზე. მეანობა-გინეკოლოგია, მოგეხსენებათ, გამორჩეულად რთული, რამდენიმე განზომილების მქონე სპეციფი-კური დარგია: დედა - ნაყოფი, პლაცენტა. ამასთან დაკავშირებით, მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენმა ინსტიტუტმა უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოში მეანობა-გინე-კოლოგიის აქტუალური საკითხების განვითარებაში, ზოგჯერ კი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ახლებურად გააზრებაში ან თუნდაც პირველად წარმოჩენაში, როგორიცაა ანტენატალური კარდიოგრაფია, ვაკუუმ ექსტრაქცია, ჰიპოქსია და ტრამვის პა-თოგენეზის საკითხები, კრანიოცერებრული ჰიპოთერმია და სხვ.

მნიშვნელოვან თეორიულ მიღწევებთან ერთად, ინსტიტუტ-მა საგრძნობლად გააუმჯობესა, დახვენა მუშაობის ხარისხი, რის შედეგადაც მკვეთრად დაეცა სამეცნიერო ტრამვების სიხშირე, ამოი-ძირკვა ტრამვით გამოწვეული დედის სიკვდილიანობა. ეს მონაცე-მები თითქმის გაუთანაბრდა მსოფლიოში არსებულ მაღალ სტანდ-არტებს.

კლინიკური და თეორიულ მიღწევების პარალელურად, თვალში საცემია შრომის ზუსტი, რაციონალური ორგანიზაცია, ინსტიტუტის პერსონალის შრომითი გააქტიურება, ყველა საჭირო და აუცილებე-ლი რგოლის შეთანხმებული ფუნქციონირება. ყოველივე ზემოთჩა-მოთვლილ პრობლემებთან გამკლავება კი უდავოდ კინტრაია-გოცი-რიძის ტანდემის დაუღალავი შრომის შედეგია.

ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ინსტიტუტში მაღალ სამეცნიერო დონეზე ჩატარებული დილის კონფერენციები. არაორდინალური, განსაკუთრებული სპეციფიკის შემცველი, რთული შემთხვევების

განხილვისას დისკუსია მწვავე ხასიათს იღებს, რადგან გამომსვალელთა შორის არიან გამოცდილი, დიდი პრაქტიკის მქონე კლინიკისტები, განყოფილების გამგეები, პროფესორები. მათ შორის არგუმენტირებული პაექრობა კი უდავოდ ყოველთვის საინტერესოა.

აღნიშნული შემთხვევების განხილვისას ყურადღებას იპყრობს მათი საკუთარი მიგნებები, ლოგიკური წიაღსვლები და, რაც მთავარია, მდიდარი უახლესი სამეცნიერო ლიტერატურიდან მოტანილი ინფორმაცია საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად. ამ დისკუსიებს, როგორც წესი, ყოველთვის აგვირგვინებს ამ დარგის დიდი მეცნიერის, **ბატონი პალიკო კინტრაიას**, ლოგიკურად შეკრული, ნატიფი, ამომწურავი და ლაკონიური ანალიზი.

ბედნიერი ვარ იმით, რომ მცირეოდენი წვლილი მეც მაქვს შეტანილი იხსტიტუტის მიერ ზემოთ აღნიშნულ წარმატებებში (**СЧАТЛИВ,** «ЧТО В ЭТИХ СОТАХ КАПЛЯ МОЕГО МЕДА ЕСТЬ»).

გიორგი დანელია
(1993 წ.)

80 წლის იუბილე

დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი!



ნება მიბოძეთ, გულითადად მოგესალ-მოთ და მოგილოცოთ თქვენი ცხოვრებისა და საექიმო, სამეცნიერო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობის საიუბილეო თარიღები.

თქვენ, ქართული პათოლოგო-ანატომიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, წილად გხვდათ ბედნიერება გაგეგრძელებინათ ის სახელოვანი ტრადიციები, რომე-ლიც საქართველოში ამ სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ვლადიმერ ულენტის თაოსნობით ჩამოყალიბდა. თქვენ ბრძანდებით ჩვენს ქვეყანაში ამ აღიარებული დარგის ერთერთი ღირსეული მემკვიდრე, რომელმაც

სამართლიანად დაიმკვიდრეთ პერინატალური პათოლოგიის ფუძემდებლის საპატიო სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

წინ შემოქმედებითი ცხოვრებით აღსავსე გზა გელით. გისურვებთ მხეობას და დიდ წარმატებებს ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საკეთილ-დღეოდ.

ღრმა პატივისცემით

ამირან გამყრელიძე

პარინატალური პათოლოგიის ფუძემდებელი

თვალსაჩინო მეცნიერს, მკვლევარს, მედიცინის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მედიკურ-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსს, აკად. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათომორფოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი დანელიას დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, აკადემიკოს ვლადიმერ ულენტის ხელმძღვანელობით, ბატონი გიორგი დახელოვნდა ზოგად პათოლოგიაში, ხოლო პედიატრიულ პათომორფოლოგიაში მისი მასწავლებელი იყო აკადემიკოსი მ. სკვორცოვი.

1957 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს სადოქტორო დისერტაცია. იგი არის პერინატალური პათოლოგიის ფუძემდებელი არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში.

გიორგი დანელიას კვლევები, ძირითადად ეხება პერინატალური პათოლოგიის საკითხებს. მნიშვნელოვანია მისი ექსპერიმენტულ და სექციურ მასალებზე ჩატარებული შრომები, რომლებიც ეძღვნება ფილტვის პათოლოგიის საკითხებს. მან პირველმა ჩატარა ახალშობილის ფილტვის მორფომეტრიული კვლევა და ჩამოაყალიბა ორიგინალური თეორია მისი გაშლის მექანიზმებზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი დანელიას მიერ ჩატარებული კვლევები ნაყოფისა და ახალშობილის ქალასში და არღვევების შესახებ. მის მიერ დადგენილია, რომ ნათხემის კარავის დაზიანება არ აიხსნება მხოლოდ მექანიკური ფაქტორის გავლენით, არამედ იგი ხშირად ვითარდება ნაყოფის მწვავე და პროლონგირებული ჰიპოანოქსიის შერწყმული ზემოქმედებით. მან დაასაბუთა ნაყოფისა და ახალშობილის თავის ტვინის პათოლოგიაში ვენური არქიტექტონიკის მნიშვნელობა.

გიორგი დანელიამ პირველმა მიაქცია ყურადღება ნაყოფის თავის ქალას გაძვალებისა და მათ თავისებურებებსა და მათ მნიშვნელობას მშობიარობის პროცესში, დაადგინა ქალასარქველის განვითარების დევიაციების როლი ნაყოფის თავის ქალასშიგა სისხლჩაქცევების განვითარებაში.

მრავალი წლის მანძილზე მის მიერ ჩატარებული შრომათა სერია, დაკავშირებული პლაცენტის პათოლოგიასთან, საფუძვლად დაედო პლაცენტის კომპენსატორული შესაძლებლობების როლის განსაზღვრას სამშობიარო სტრესის დროს ნაყოფის ადაპტაციაში.

აღსანიშნავია პროფესორ გ. დანელიას შრომები მიძღვნილი პლაცენტისა და ნაყოფის თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის

ურთიერთკავშირისა და მისი კომპენსატორული შესაძლებლობების შესახებ მწვავე და ქრონიკული ჰიპოქსიის პირობებში.

ცნობილია პროფესორ გ. დანელიას ღვანლი ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდაში. ის არის მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი. მის კალამს ეკუთვნის 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. ბატონი გიორგი ერთგულად და უმნიკვლოდ ემსახურება მედიცინის ურთულეს დარგს, პათოლოგიური ანატომიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვან სფეროს – პერინატალურ მორფოლოგიას.

გიორგი დანელიას შრომა არ დარჩა უყურადღებოდ საქართველოს ხელისუფლებას. ბატონი გიორგი დაჯილდოებულია მთავრობის მრავალი ჯილდოთი, მათ შორის ღირსების ორდენით.



ეს დიდობითი პიერა
ზორავრი სახელის ძე დავითიან

569 საქართველოს სრ მნიშვნელო საბ-
ჭოთან ასებული შეცნორებისა და
ტექნიკური დაგვინდის საქართველოს სრ
სახელმწიფო პრემიის კომიტეტის თვე-
მფლიბერებული, საქართველოს სრ შეცნო-
რებითი აუდიტორის ასამიტოს სრ
კავშირის შეცნორებისა აუდიტოს წევრ-
ობრივი სამსახური

ა. თავაღისა
კომიტეტის სწავლელი მღელი, მ-
ობის შეცნორებისა კანდიდატი
ს. ჯავახიშვილი




1990 წ. 6 ივნისი

საქართველოს ქა ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სრ მნიშვნელო საბჭოს
1990 წლის 27 მარტის № 174 დადგენილებით 1990 წლის საქართველოს სრ სახელმწიფი
პრემიის შეცნორებისა და ტექნიკური დაგვინდის მფლიბებით:

გამომართებული სახელობის სამინისტრო დაბაჟობის კლევიტით მიტრუტის კომიტეტის
შეცნორების; თავაღის არიტონის დებურების (სიკეთობის შემცვევი) გორგა ხელის დე-
დანდიან, შეცნორების შეცნორებისა დაგვინდის, არიტონის, საქართველოს სრ განმარტო-
დობისა და განვითარების სამინისტრის აუდიტორის ქ. ჩახავას სახელობის პრეზიდენტის შეცნორისა და
მართვისა-განვითარების სამინისტრო-კულტურის ამინისტრიული განვითა-
რისის ხელმძღვანელის; ნიმ მიზანის ახლ შეცნორების, შეცნორის შეცნორებისა და
აუდიტორის ამინისტრის თბილისის ექიმითა დახმარებელის მიზანით დახელოებუ-
რის სახელმწიფო ინსტიტუტის აღდევური დავალებისა კაულის მისამართი, იმავდა შელ-
ვა დე ნაფილიძე, შეცნორის შეცნორებისა დაგვინდის, საქართველოს სრ განმარტოდობის
დაცულის სამინისტრის აუდიტორი ინკორპორირებული სახელმწიფო კონტაქტის გან-
კუოფილების უფრო შეცნორ თანამდებობის; თავაღის კლევიტის გორგა ხელის საქართვე-
ლოს სრ განმარტობის დაცულის სამინისტრის თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუ-
ტის ბ-ვერთ კირურების კაულის ამინისტრი; ზემოამ აუდიტორების დე კოლოქის შეცნორის
შეცნორებისა დაგვინდის, პრეზიდენტის, სრ კუმინის განმარტობის დაცულის სამინისტრის
თბილისის ექიმით დახმარების სახელმწიფო ინსტიტუტის შეცნობისა და განკუოლიგიის
კოულის განვითარების;

— 1962-1988 წლებში გამოქვეყნებულ ნაშროვთა უკალისათვის — „თბილისის კომისი-
ზოდა სინდიకის თავმის შექმნა, მის პრაქტიკამდებარება, თავმის ტეორია და მეცნიერობის
შეცნოდების შემცვევა და დაურიგება კანკორდაში“.

ლიტერატურული მუზეუმი



მოწმობა № 01787

ბიორგი დანელია

საქართველოს პრეზიდენტის
1999 წლის 8 აპრილის

№ 246

განცარგულებით დაჯილდოვდა

ლიტერატურული მუზეუმი



უ შეგარდნაძე

პროფესორი გ. დანელია არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიკურ-ბიოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, პათო-მორფოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს წევრი.

მხოლოდ მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობით არ შემოიფარგლება პროფესორ გ. დანელიას ცხოვრება. ბატონი გიორგი არის არაორდინარული, ფართო ერუდიციის მქონე ადამიანი. იგი თავისუფლად ფლობს რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს.

საქართველო იცნობს და პატივს სცემს გიორგი დანელიას არა მარტო როგორც გამოჩენილ მედიკოსს, არამედ უყვართ იგი როგორც ხელოვანი, პოეტი, მუსიკოსი, ფილოსოფოსი და უბრალოდ ქართული ფენომენი – გიორგი დანელია.

გიორგი დანელია თბილისის კოლორიტია, თბილისში დაბადებული და გაზრდილი – საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების საამაყო წარმომადგენელი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს პათომორფოლოგთა საზოგადოება, აკად. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიე-

რო-კვლევითი ინსტიტუტი, გაზეთ „მედიცინის“ რედაქცია ულო-
ცავს ბატონ გიორგის სახელოვან იუბილეს და უსურვებს მომავალში
მისთვის ჩვეული შემართებით, კეთილსინდისიერებითა და მაღალი
პროფესიონალიზმით ემსახუროს ქართულ მედიცინას.

პალიკო კინტრაია
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე
(გაზეთი „მედიცინა“ 15.05.2003წ.)



საქართველოს მთავრობა, მინისტრის და მინისტრის მინისტრი
MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 1127-364

22. 01. " 2003 წ.

ს.ს. "აკადემიკოს ქაჩავას სახელობის
პერინატულური მედიცინისა და მეანობა-
განეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის" პათომორფოლოგიური განყო-
ფილების ზელმძღვანელს ბატონ გ.დანელიას

ბატონ გიორგი,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით მინდა გულწრფელად
მოგესალმოთ და მოგილოცოთ დაადგეიდან 80 წლის იუბილე.

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება, თქვენი კოლეგები
დიდად აფასებენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მიგიმდვით საქართველოს
მედიცინის განვითარების საქმეში. მეტად მნიშვნელოვანია ის დიდი
წვლილი, რომელიც თქვენ შეიტანეთ პერინატულური პათოლოგიების
დაავნოსტიკის თანამედროვე, მეთოდების დანერგვაში, ასევე საექიმო
სამედიცინო კადრების მომზადებასა და დახელოვებაში.

დიდ მაღლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გაწეული ამ დიდი
შრომისა და მოღვაწეობისათვის.

გისურვეთ ჯანმრთელობას, როგორძელობას, მზნეობას და დიდ
შემართებას თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში ჩერი ქვეყნის
საკეთილდღვეოდ.

უ

პატივისცემით,
ა.გამყრელიძე

ლომარ პაზივემული ბაზონო გიორგი!

აკადემიკოს კ. ჩახავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მენობა-გაინვეოლოგის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი დიდი სიყვარულით და პატივისკეშით გილოცავთ სახელოვან იუბილეს — დაბადებიდან 80 წელს.

სამოც წელშე მეტია რაც თქვენ ხელმძღვანელობთ ინსტიტუტის ერთ-ერთ ურთიულეს განყოფილებას. სამაგალითოა თქვენს მიერ განვილილი ცხოვრების გზა — ახალგაზრდა ექიმიდან აკადემიკოსამდე. თქვენ ბრძანდებით პერინატალური პათომოლოგიის ფუქტმდებელი არამარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც.

თქვენ ბრძანდებით ერთადერთი იმ ჩერეულ მეცნიერთა შორის, ვინც აღზარდა პერინატოლოგ-მოზოფოლოგთა მთელი პლეადა. თქვენი ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისტრქტაცია. თქვენ ღირსული წარმომადგენელი ბრძანდებით სახელოვანი ქართული პათოლოგ-ანატომიური სკოლისა, რომლის დიდების შარავანდედს ამშენებინ ისეთი კორიფეულის სახელები, როგორიცაა აკადემიკოსები — ვლადიმერ ქლინტი, ირაკლი ტატიშვილი, თამარ დეკანონიძე და მრავალი სხვა.

თქვენ პირველმა აღწერეთ ახალშობილთა პრევენციათიების პათოგენეზი, ნაყოფისა და ახალშობილის ქალაცვიდა პიპო-ანოქსიური დაზიანების მექანიზმები, თავის ქალის ქვეცების დევიაციების მნიშვნელობა მშობიარობის პროცესში, დაადგინეთ პლაცენტისა და ნაყოფის თირგმლისზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის ურთიერთკავშირი და მრავალი სხვა. თქვენს მიერ შემუშავებული უნიკალური მოდელი ნაყოფის და ახალშობილის გვამის შესწავლისა სახელმძღვანელო დოკუმენტია კველა პათომოზოლოგისათვის.

ბატონო გიორგი თქვენი შორის არ დარჩა უკრადლებოდ საქართველოს მთავრობას და დამსახურებულად მოგვინიჭათ ლიტერატური. თქვენ ბრძანდებით სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის ნამდგილი წევრი.

ჩემ ვასაკობთ იმით, რომ თქვენს გვერდით ვმუშაობთ, გვაქს შესაძლებლობა ვისწავლით თქვენგან.

ბატონო გიორგი თქვენ არაორდინალური, ფართო ერუდიციის მქონე ადამიანი ზრდანდებით. საქართველო იქნობს და პატივს ცემს გიორგი დანელიას არამარტო როგორც გამოჩენილ მედიკოსს, არამედ უყვარს იგი როგორც ხელოვნი, პოეტი, მუსიკოსი, ფილოსოფოსი და როგორც უბრალოდ ქართული ფენომენი — გიორგი დანელია.

და, დიდხანს ამშენებდეს ჩემს ინსტიტუტს თქვენ კოლორიტული ფიგურა!

უუსურევბო ბედნიერებას თქვენს ოჯახს და პირადად თქვენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ წარმატებებს.

ს.ს. „კუკუ ჩახავას სახ. აქონინატალური მედიცინისა
და მენობა-გაინვეოლოგის ს/კ ინსტიტუტის“
კანკელიის სახელო
სამეცნიერო სამუშაო თავმჯდომარეობა,

კ. ი. ჭავჭავაძე

აკადემიურს მიხარ ზონაშიავისილის სახალობს კადილიგის
სახალინის-კადილის ინსტიტუტის დირექტორი და მისი მართვისათვის
გერიულად მოხასახელის მეცნიერ, მათინო გიორგი და გილოვანერ
დაბადების 80 წლის იუბილეს და მცხოვრი საგონიეროზე, სამინისტრო,
აკადემიური და საეკონო-კუკულიო მფლობელობის 55 წლის მიზანის.

მე ჩვენს ყაზბეგ გარეს მისავად გამოიხას გაუძლი, ას მისი
გიგა სიმფერობის და ღისაღაბის ურა კიბეთას. ამ ღისაღაბის მომას,
დამიზ მოსახლეობის ნიშის, იმოციონ ჩვენი ირის აუდის სერატონის
ძარღვაზე. მათინი გიორგის სახით აკადემიურ აკადემიურ გერიული
სკოლას აკადემიურ გერიული, იუბილე და საგონიერო მეცნიერი.
საგონიერი აკადემიულ ცხოველის ყოველდღის გვასწორების. იმი ასე-
დას ადამიანის სედს და ადამიანის მის გერიულისას. სწორი,
მათინი გიორგის მოდენირების მისახლეობის საგონიეროს, იმოციო-
ნის გერიული აკადემიულ, მცხოვრი, იუბილე, აკადემიულ, იმით და
საგონიერო მოდენი.

მათინი გიორგი პრაქტიკას ის აკადემიულ, იმოციონი და გერიულის
ხარისხიარიბისა მომავალ მიზანისა გერიულის. ას ის აკადე-
მიულა, იმოციონი მიზანისა და კაცები-კაცობისა და გამა-
სამართლის ძვირების აკადემიულისა და ასასრულ გადაჭინის.

მათინი გიორგი აკადემიულ მოდენირების დაგადას მისავადი საგო-
ნიერ კონფერენციის, ყოველის, კონგრესის მეცნიერების. მისი ღისაღ-
ლისას გადას მისავადისა მისახლეობის და კაცები-კაცობისა და გამა-
სამართლის ძვირების კაცების აკადემიულის და გერიულის გადაჭინის.

მათინი გიორგის გიგი ადამიანის გერიულის განვისაზოვიდი მისამა-
ნო და კაცის საკაფი, სხვისი ზურგის გამისამართი, მარტო
დაგასამის წილი. ის კაცებობილი, სამართლი სერის მომა-
ნის აკადემიულა, მცხოვრი, იუბილე, აკადემიულ, იმით და
საგონიერო მოდენი.

დონიში არყოფნი, გამოიცემაში ხერს გამოაწევი, მომზადენი და
კატერი დამიღებელი.

ჩატონი გიორგის სახელის ცილიანის ხელი გვეძეო ასულარო
მისრა ინვაზია წილადიზელიაზ, ძილის მისრადიაზ და მცენები
ნარისყოფაზ, ასახა მისრა რიციანასასაზ, პროსის უნიკარობაზ და
პროდის მოყვანილობაზ.

ჩატონი გიორგის მოწვევისას საკართველოს სამართლის მინისტრი-
რაბაში საკართველო, და კართველი, ავრინალიმანი საკართველო-
მისას.

კარიბირობის ინსტიტუტის დირექტორი და მარკეტინგის განაკვე-
ბაზ კარიბირობი კარიბი დირექტორი სიცოდელის და ნაყოფის გამოწ-
მოვაზი მოწვევისას მაკაცეს მიერ არჩევ საკარ გვევი.


კარიბირობის მიზანი წილადი წილადი დირექტორის სარ. ა. მარკეტინგის

სამართლის მიზანი წილადი დირექტორი,

კარიბირობის მიზანი წილადი დირექტორი *J. M. M.*

85 წლის იუბილე

სუპერპროფესიონალი



გამოჩენილ ქართველ მედიკოსს, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი დანელიას 85 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსი გიორგი დანელია არის პერინატალური პათომორფო-ლოგიის ფუძემდებელი არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც.

გიორგი დანელიას როგორც საკან-დიდატო, ასევე სადოქტორო სადის-ერტაციო შრომებმა ახალი ეტაპი შექმნეს პერინატალურ მორფოლოგიაში (საკანდიდატო დისერტაცია – „ჭიბლარული სისხლის მიღების ასაკობრივი ცვლილებები ჭიბლარული სეფსისის პათოგენეზის და მისი თავისებურებების ჭრილში“, სადოქტორო – „ახალშობილთა პნევმოპათიების მორფოლოგია, პათოგენეზი და თანატოგენეზური მნიშვნელობა (კლინიკური-ანატომიური და ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი)“).

იგი ღირსეული წარმომადგენელია ქართული პათოლოგ-ანატომიური სკოლისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა ვლადიმერ ჟლენტმა.

გიორგი დანელია 60 წელიწადია ხელმძღვანელობს აკად. კ. ჩარიგას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა- გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათომორ-ფოლოგიურ განყოფილებას.

გიორგი დანელია არის პათოლოგიურ-ანატომიური სამსახურის პრაქტიკისა და თეორიის დანერგვის პიონერი საქართველოში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ გიორგი დანელიამ პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში, შეიმუშავა და დანერგა ნაყოფის და ახალშობილის პათოლოგ-ანატომიური გამოკვლევის პროცესით. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული კლინიკურ-ანატომიური კონფერენციები იყო ქართველი კლინიცისტებისთვის პროფესიული დაოსტატების სკოლა.

იგი დღეს საქართველოში პათოლოგანატომიური სამსახურის ერთერთი წამყვანი სპეციალისტია, რომელიც აღიარებულია, როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ევროპული ენების მცოდნე, ღრმა განათლების და აზროვნების, ფართო დიაპაზონის მქონე პრაქტიკო-სი და თეორეტიკოსი.

გიორგი დანელია არის აგრეთვე საქართველოს პათოლოგ-ანატომთა საზოგადოების პრეზიდიუმის და პათოლოგანატომიური სამსახურის საკუნძულოტაციო საბჭოს წევრი, სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

აკადემიკოს გიორგი დანელიას მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავს პრაქტიკულად მთელ პათოლოგიურ ანატომიას. არის 300–ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, რომლებსაც იცნობენ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მათ შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს კვლევები, მიძღვნილი ახალშობილთა ფილტვების არაანთებადი პათოლოგიისადმი, რომელთა საფუძველზე მიღებული შედეგები შევიდა მის სადოქტორო დისერტაციაში. კვლევები შესრულებულია დიდ სასექციო მასალაზე, მდიდარია მრავალმხრივი ექსპერიმენტებით (800–მდე სხვადასხვა ცხოველი), რაც თავის მხრივ მიღებული სამეცნიერო დასკვნების სარწმუნოებაზე მიუთითებს. მან პირველმა ჩატარა ახალშობილთა ფილტვების სასუნთქი გზების მორფომეტრიული კვლევა ტოტალურ ანათლებზე, დაადგინა ფილტვების გამლის ხასიათი, მექანიზმები და დაამტკიცა პიალინური მემბრანებით დაავადებული ბავშვების გადარჩენის შესაძლებლობა.

საინტერესო აღმოჩნდა მისი ნოვატორული კვლევები ნაყოფისა და ახალშობილის ქალასშიდა სისხლის მიმოქცევის მოშლის შესახებ. კერძოდ მან დაადგინა, რომ ნათხემის კარავის დაზიანების წარმოშობაში მექანიკურ ფაქტორთან ერთად დიდ როლს თამაშობს ჰიპოანოქსია.

ნაყოფის თავის ტვინში ვენური სისხლის მიმოქცევის შესწავლისას გიორგი დანელიამ პირველმა წარმოაჩინა თავის ტვინ-

ის ვენური არქიტექტონიკის თავისებურებათა როლი სისხლის სტაგნაციაში და სხვა ვასკულარულ გართულებებში. ამასთან მან მიუთითა გალენის ვენის კალაპოტის გადატვირთვაზე მშობიარობის პროცესში, რაც ამ სისხლის მიღის შედარებითი სივიწროვით არის გამოწვეული.

გიორგი დანელიამ პირველმა მიაქცია ყურადღება ნაყოფის ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბების ინდივიდუალურ თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ თავის ქალას სტრუქტურულ დევიაციებს (ოკლუზიურ და დიასტრაზურ ანომალიებს) და ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელობას ქალა-სარქველის კონფიგურაციული და პროტექციული ფუნქციის მოშლას, რის შედეგადაც ხშირდება ნაყოფის ქალას-შიდა სამშობიარო ტრამვა. მან შეისწავლა აგრეთვე ზურგის ტვინის სამშობიარო ტრამვული დაზიანებანი და დაადგინა ამ პათოლოგიის კავშირი ახალშობილის სუნთქვის მოშლის პროცესთან.

მრავალი წლის მანძილზე გიორგი დანელია იკვლევს პლაცენტის მორფოფუნქციურ ცვლილებებს. პლაცენტის მაკრო და მიკროს კოპული პარალელების საშუალებით მან პირველმა წარმოგვიდგინა პლაცენტის კომპენსაციის და დეკომპენსაციის მორფოლოგიური ექვივალენტები.

მრავალგვარი პერინატალური პათოლოგიის შესწავლის საფუძველზე გიორგი დანელიას მიერ შედეგნილია მათი შესაბამისი პათოგენეზური სქემები, რომლებიც დიდ სამსახურს უნივერს დაინტერესებულ ექიმებს დაავადებათა წარმოშობისა და განვითარების ღრმად შესწავლაში.

გიორგიდანელიას ძირითადი შრომებისა და მეცნიერული მიგნებების მოკლე მიმოხილვის კონტექსტში, შეუძლებელია არ ვახსენოთ, რომ მისი მორფოლოგიური კვლევების მონაცემები საფუძვლად დაედო ქალთა პათოლოგის – თრომბოკემორაგული სინდრომის თეორიის დასაბუთებას, ამ დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების შემუშავებას და დანერგვას პრაქტიკაში, რისთვისაც მას, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, 1990 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დიდია გიორგი დანელიას ღვანლი პათოლოგ-ანატომთა, ჰისტოლოგთა კადრების მომზადებაში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა 34 მეცნიერებათა კანდიდატი და 8 დოქტორი.

ბატონი გიორგი არის არაორდინალური პიროვნება, ფართო ერუდიციის მქონე ადამიანი. მისი ინტერესები მხოლოდ მედიცინით არ შემოიფარგლება. საქართველო იცნობს და პატივს ცემს გიორგი

დანელიას არამარტო როგორც გამოჩენილ მედიკოსს, არამედ როგორც ხელოვანს, პოეტს, მუსიკოსს, კეთილშობილებით გამორჩეულ ადამიანს.

საქართველოს მეანობა-გინეკოლოგთა და
პერინატალოგთა ასოციაცია,

სს აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური
მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგის ინსტიტუტი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
მეანობა-გინეკოლოგის დეპარტამენტი.



**85-тилетие академика ГЕОРГИЯ СЕРГЕЕВИЧА ДАНЕЛИЯ
не осталось вне внимания медицинского общества Грузии.
(«Сакартвелос республика», №76, 24.04.2008).**

СУПЕРПРОФЕССИОНАЛ Юбилей

Известному грузинскому медику, действительному члену медико-биологической академии, заслуженному деятелю наук, лауреату Государственной премии, кавалеру ордена почета, доктору медицинских наук, профессору Георгию Сергеевичу Данелия исполнилось 85 лет.

Академик Георгий Сергеевич Данелия является основоположником перинатальной патоморфологии не только в Грузии, но и в бывшем Советском Союзе. Как кандидатская, так и докторская диссертационные труды Г.С. Данелия создали новый этап в перинатальной морфологии (кандидатская диссертация – «Возрастные изменения пупочных сосудов, в связи с современными представлениями о патогенезе и некоторых морфологических особенностях пупочного сепсиса», докторская – «Морфология, патогенез и танатогенетическое значение пневмонозов у новорожденных детей» (Анализ клинико-анатомических и экспериментальных данных).

Он достойный представитель грузинской патолого-анатомической школы, основанной академиком Вл.Жгенти.

Георгий Сергеевич Данелия 60 лет руководит патоморфологическим отделением Научно-исследовательского института перинатальной медицины и акушерства и гинекологии им.акад. К.Чачава

Георгий Сергеевич Данелия пионер внедрения практики и теории патолого-анатомической службы в Грузии. Он первым, в бывшем Советском Союзе, разработал и внедрил протокол патологоанатомического исследования плода и новорожденного. Проводимые под его руководством клинико-анатомические конференции были школой профессионального роста клиницистов Грузии.

В настоящее время он является одним из ведущих специалистов патологоанатомической службы Грузии. Его признают как специалиста высокой квалификации, знатока европейских языков, хорошо образованного и глубоко мыслящего ученого, практика и теоретика широкого диапазона.

Г.С. Данелия член Президиума патологоанатомического общества и

консультативного совета патологоанатомической службы Грузии, член Ученого совета Тбилисского государственного медицинского университета.

Сфера научных интересов академика Г.С. Данелия охватывает практически всю область патологической анатомии. Он автор более 300 научных трудов, известных как в Грузии, так и за ее пределами. Из них стоит особенно отметить исследования посвященные невосполительной патологии легких у новорожденных, на основании которых полученные результаты вошли в его докторскую диссертацию. Исследования выполнены на большом секционном материале, работа богата многочисленными многосторонними экспериментами (около 800 разных животных), что в свою очередь доказывает достоверность полученных научных заключений.

Георгий Сергеевич Данелия первым провел морфометрические исследования дыхательных путей легких у новорожденных на тотальных срезах, установил характер раскрытия легких, его механизмы и доказал возможность спасения новорожденных с гиалиновыми мембранными.

Интересными оказались его новаторские исследования по нарушению внутричерепного кровообращения плода и новорожденного. В частности, он установил, что наряду с механическим фактором, в возникновении поражения намета можечка, большую роль играет гипоксия.

При изучении кровообращения венозной крови в мозге плода, Георгий Сергеевич Данелия первым выделил роль особенностей архитектоники венозной сети головного мозга плода в стагнации крови и разных васкулярных осложнениях. Вместе с этим, Г.С.Данелия указал на перегрузку вены галена при родах, что обусловлено сравнительной узостью этого сосуда.

Георгий Сергеевич Данелия первым обратил внимание на индивидуальные особенности формирования костной системы плода и связанных с этим структурных девиаций черепа (оклюзивные и диастазные аномалии) и подчеркнул их важность в нарушении конфигураций и защитной функции черепа, что учащает внутричерепные родовые травмы. Он также изучил родовые травмы спинного мозга и установил связь этой патологии с процессом нарушения дыхания новорожденного.

В течении многих лет Г.С. Данелия изучает моррофункциональные изменения плаценты. С помощью макро- и микроскопических парал-

лелей плаценты ученым первым представил морфологические эквиваленты компенсации и декомпенсации плаценты.

Изучив множество различных перинатальных патологий Г.С. Данелия составлены соответствующие им патогенезные схемы, которые оказывают большую помощь заинтересованным врачам, глубоко изучить возникновение и развитие болезней.

В контексте краткого обзора основных трудов и научных открытий, нельзя не отметить, что данные его морфологических исследований легли в основу обоснования теории женской патологии – тромбо-геморрагического синдрома, диагностики, разработки методов лечения этой болезни и внедрения в практику, за что Георгий Сергеевич Данелия , вместе с группой ученых , в 1990 году получил Государственную премию.

Г.С. Данелия внес большой вклад в воспитании кадров патологоанатомов, гистологов, цитологов Грузии. Под его руководством воспитаны 34 кандидата и 8 докторов науки.

Георгий Сергеевич Данелия является неординарной личностью, ученым широкой эрудиции. Его интересы не ограничиваются только медициной. В Грузии его знают и уважают не только как выдающегося медика, а как представителя искусства, поэта, музыканта, человека, одаренного благородными качествами.

Ассоциация акушер-гинекологов и перинаталогов Грузии,
НИИ перинатальной медицины и акушерства и гинекологии
имени акад. К.Чачава,
Департамент акушерства-гинекологии Тбилисского
Государственного медицинского института

Georgian medical society did not leave the 85 years anniversary of George Danelia without attention ("Republic of Georgia", N76, 2008).

His colleagues were preparing for celebrating his 90 years jubilee. Unfortunately, he lacked only three months before completing this anniversary.

Therefore, the congratulating speech published before turned to be farewell letter and we attach it to the presented collection, which is dedicated to the memory of George Danelia.

SUPER PROFESSIONAL

(Jubilee)

Famous Georgian doctor, the member of Medico-Biological Academy, the honored worker of science, the laureate of the State premium, doctor of medicine, Professor George Danelia is 85 years old.

Academician George Danelia is the founder of the perinatal pathomorphology not only in Georgia but also in the former Soviet Union.

The both dissertations of George Danelia created the new era in the perinatal morphology. The candidate dissertation was dedicated to "Changes of the blood tubes in the umbilical in the section of pathogenesis of the umbilical sepsis" and the doctoral dissertation - "The morphology, pathogenesis and the thanatogenesis meaning of the newborns pneumopathy".

George Danelia is the decent representative of the Georgian Pathological-Anatomical School founded by academician Vladimer Jgenti.

George Danelia is the head of the Pathomorphological department of the Chachava Scientific- Research Institute of Perinatal Medicine and Obstetrical- Gynecology for more than 60 years. He was the first, who introduced the practice and theory of pathologic-anatomical researches in Georgia. It should be mentioned, that George Danelia developed and implemented the protocol of the fetus and newborn's pathology-anatomical research in the former Soviet Union. Clinical-anatomical conferences held under his leadership had been the perfect school for the Georgian clinicians for developing their professional skills.

Today he is one of the leading specialists of the pathomorphological science in Georgia. He is recognized as the high level practitioner and theorist, deeply educated with wide scientific range and knowledge of the European languages.

George Danelia is also the member of the board of the Georgian Patho-

log-anatomical society and the member of the Advisory Council of Anatomical Service. At the same time he is the member of degree awarding Scientific Council of the Medical University.

In fact, the field of academician George Danelia's scientific interests includes the whole pathological anatomy. He is the author of more than 300 publications, which are popular in Georgia as well as abroad. Among them the researches dedicated to the pathology of the newborns have to be mentioned. The results of these researches are reflected in his M.D. These researches are based on the huge sectional materials and are rich by the variety of experiments (species of the animals up to 800), which indicates the reliability of the scientific conclusions. George Danelia was the first who conducted the morphometric research of the inhalation of lungs on the newborns with the total (), fixed the mechanisms and disposition of the spread of lungs and affirmed the possibility of saving the children with pial membrane disease.

His innovative researches concerning the disorder of the blood circulation of fetus and newborn in the cranial cavity have been worth of interest. Particularly he found out that together with mechanical factors hypoxia plays an important role in injuring the cerebellar tentorium.

While researching venous blood circulation in the cerebrum George Danelia was the first scientist who testified the role of venous architectonic peculiarities in the blood stasis and other vascular complications. He also indicated the overload of the vein of Galen during the process of childbirth, which is the result of relative narrowness of this drain.

George Danelia was also the first one who drew an attention to the individual peculiarities of bone system formation and the structural deviations connected to it (occlusive and diastasis anomalies) and marked their importance in the disorder of configurative and protective function of calvarium, as a result of which the frequency of cranial cavity disorder during the childbirth is increased. He also examined the disorders of the spinal cord during the childbirth and found out the connection between this pathology and expiration of breathing (exhalation) of the newborn.

George Danelia has examined morphofunctional changes during the several years. By means of macro and microscopic parallels of the placenta he was the first to represent the morphologic equivalents of placenta compensation and decompensation.

Based on the examination of various perinatal pathologies George Dan-

elia has compiled appropriate pathogenesis schemes, which are highly applicable for the doctors in order to deepen their knowledge in the arise and development of the diseases.

While making brief overview of the basic works and scientific achievements made by George Danelia we have to mention that the data of his morphologic researches became basis for the substantiation of the theory of thrombohemorrhagic syndrome (female pathology), elaboration of the diagnostic and treatment methods of this disease and realizing them in practice, for which State premium was awarded to him in 1990 together with the group of scientists.

George Danelia has made tremendous achievements in training the specialists of pathology-anatomy and histology. 34 Candidates of Sciences and 8 Doctors have been educated under his guidance.


Mr. Danelia is non-ordinary personality having broad erudition. His interests are not restricted only with medicine. George Danelia is famous and admired in Georgia as not only a medical scientist, but also as an artist, poet, musician and the person distinguished by his nobility.

Georgian Obstetrical and Gynecological Society
Chachava Scientific- Research Institute of
Perinatal Medicine and Obstetrical-Gynecology
Tbilisi State Medical University, Department of
Obstetrics and Gynecology

2013 წლის 25 აპრილს ბატონ გიორგის 90 წელი შეუსრულდებოდა. ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი პალიკო კინტრაია, იმუამად შეუძლოდ მყოფ გიორგის ამხნევებდა: „90 წლისთავთან დაკავშირებით იუბილე უნდა გადაგიხადოთ, შენს გამოჯანმრთელებას ველოდებით“. დასანანია, რომ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა... 3 თვით ადრე ბატონი გიორგი გარდაიცვალა.

2018 წელს, გიორგი დანელიას საიუბილეო – 95 წელთან დაკავშირებით, ჟურნალ **“Русский клуб”**-ის თებერვლის №2 ში (გვ. 26-29), მასზე დაიბეჭდა სტატია **“Знать и помнить”**, რომლის ქართულ თარგმანს ვთავაზობთ მკითხველს. ზემოხსენებული ჟურნალი, რომლის მთავარი რედაქტორია აღ. სვატიკოვი, საზოგადოებრივ-მხატვრული გამოცემაა, იძეჭდება თბილისში, მაგრამ სავაჭრო ქსელში არ შედის ხოლმე, რის გამოც ბევრისთვის ეს მრავალმხრივ საინტერესო სტატია მიუწვდომელი დარჩა.

იცნობდეთ და გახსოვდეთ



„მეცნიერების ისტორია მხოლოდ იდე-ათა განვითარებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს – იგი თანაბარნილად უნდა ეხებოდეს ცოცხალ ადამიანებს მათი თავისებურებების, ნიჭიერების, მათი ქვეყნისა და ეპოქის სოციალურ პირობებზე დამოკიდებულებების გათვალისწინებით...“

ამიტომ ნათელია, რომ მონინავე ადამიანების ცხოვრება და შემოქმედება – ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მეცნიერების განვითარებაში, ხოლო მათი ცხოვრებისა და შემოქმედების აღნერა მეცნიერების ისტორიის აუცილებელი ნაწილია.”

ეს სიტყვები გამოჩენილი მეცნიერ-გენეტიკოსის ნიკოლოზ ვავილოვის უმცროს ძმას, შესანიშნავ ფიზიოსის, საბჭოთა კავშირში ფიზიური ოპტიკის სამეცნიერო სკოლის დამაარსებელს, სერგეი ვავილოვს ეკუთვნის. ისინი არა მხოლოდ თანამედროვეებისადმი არის მიმართული, არამედ შთამომავლებისადმიც, მათდამი, ვინც დღეს ცოცხალია, და მათდამი, ვისაც მოუწევს შორეულ მომავალში შეაბიჯოს.. მეცნიერების, მეცნიერებაში მოღვაწეთა, პიონერების, ახალი აღმოჩენებისკენ გზის გამკაფავთა დავიწყება არ შეიძლება. მათი სახელები, შემოქმედება, ცხოვრების წესი, საქციელი, აზრები – ყველა შემდგომი თაობისთვის თავისებური ენციკლოპედიაა.

გიორგი დანელია იმ მეცნიერთა წარმომადგენელია, ვინც არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მედიცინის მეცნიერებასა და პრაქტიკაში წარუშლელი კვალიდატოვა. ამ არაორდინალურ, მრავალი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანზე მოგონებები მის ადამიანურ თვისებებზე, მის ცხოვრებისადმი, ადამიანებისადმი, ხელოვნებისადმი, წიგნებისადმი, მუსიკისადმი დამოკიდებულებით გვინდა დავიწყოთ – იმაზე, რაც მის მეტისმეტად სავსე და ნათელ, კაშკაშა ბიოგრაფიას შეადგენს.

როგორდაც თომას ედისონს სთხოვეს ეპასუხა კითხვაზე: „რით ინტერესდებით?“ მან მოკლედ უპასუხა: ყველაფრით. არის ასეთი კატეგორია ადამიანებისა, რომელთაც აინტერესებთ არა რომელიმე ერთი ან თუნდაც ბევრი, არამედ ყველაფერი. მრავალმხრივი და უწყვეტი ინტერესი ყველაფრისადმი, მე მგონია, განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლისადმი სიყვარულით. მისი მეგობრებისა და ახლობლების მოგონებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ხასიათის ეს თვისება იყო გიორგი დანელიაში მთავარი. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცნიერებაში თავისი „მეს“ მოთხოვნილებების, შემეცნების ყოვლისმომცველი და დაუოკებელი წყურვილის კვალდაკვალ.

მან პროფესიის არჩევაც ცხოვრებას მიუძღვნა, ცხოვრების უსაზღვრო სიყვარულს. სიკვდილის მიზეზების გაგება, მათი მრავალწახნაგოვანი და სიღრმისეული კვლევა პათოლოგ-ანატომისთვის სწორედ რომ სიცოცხლისთვის ბრძოლას უერთდება.

ოჯახი

ყოველი ადამიანის ბიოგრაფიის სათავეები – ოჯახშია, ბავშვობის გარემომცველ სამყაროში, იმ ოჯახურ ჩვევებსა და ტრადიციებში, ქცევათა წესებში, რომლებსაც საფუძველი ადრეულ ასაკში ეყრება. გიორგის ოჯახში ბიჭიკოს უძახდნენ, და ეს სახელი მას მრავალი წლის მანძილზე ახლობლებსა და მეგობრებში შემორჩა, იყო გამოჩენილი მეცნიერის, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის – სერგი დანელიას შვილი. საქართველოში ფილოსოფიის ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები პირველად სერგი დანელიამ შეიმუშავა. მისი „ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან“ პირველი სისტემატური კურსია ქართულ ენაზე. სერგი დანელიას კვლევები პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონთოვის, გოგოლის, ტურგენევის, ლ. ტოლსტოის ნანარმობთა ფილოსოფიურ ასპექტებს ეძღვნება. სერგი დანელია ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. იცოდა ლათინური და ბერძნული.

მუშაობა, მიზანსწრაფვა, ყველაფერში წესრიგისადმი სიყვარული, ჯანსაღი აზრი – ფილოსოფოს სერგი დანელიასთვის ეს ცნებები ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ მთავარ ადამიანურ თვისებად წესიერებას მიიჩნევდა.

თავისი ქმედებებით კიდევ ამართლებდა ამ არჩევანს. XX საუკუნის 30-იან წლებში ფილოსოფოს სერგი დანელიას ოჯახის ყოფა მცირედ თუ განსხვავდებოდა სხვა საბჭოთა ოჯახების მძიმე პირობებისგან, თუმცა მეცნიერის სახელი უკვე ცნობილი იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ხელისუფლებამ შესთავაზა ოჯახის უფროსს გადასულიყო ახალ, დიდ და კომფორტულ ბინაში. როდესაც მან გაიგო, რომ ბინა ეკუთვნოდა რეპრესირებულს და იმ ადამიანის ოჯახი გამოსახლებული იქნა ბინიდან, შეთავაზებულ წინადადებაზე კატეგორიულად უარი განაცხადა. მისი კოლეგა კი აღმოჩნდა ნაკლებად პრინციპული და იმ დღესვე გადავიდა ახალ ბინაში.

დანელიას ოჯახში – იმ საშინელ წლებშიც კი, როდესაც კარებზე გაუთვალისწინებელი კაუნი შეიძლება ცხოვრებიდან წასვლის მომასწავებელი ყოფილიყო, ბავშვებთან ყოველივე ამაზე საუბარი არ ეშინოდათ. გარემოსადმი კრიტიკული დამოკიდებულება, აზრების სიფართოვე და აზროვნების სრული თავისუფლება, რაც დამახასიათებელი იყო ძველი წრთობის ინტელიგენტისთვის,

ძველმოდური-დემოკრატიული შეხედულებებით ზრდიდნენ ბავშვებს, რომელთაც უნდა აღექვათ რეალობა, მაგრამ არ უნდა დაეკარგათ მათში ბუნებრივად ჩადებული საკუთარი ღირსების გრძნობა. ოჯახში მიღებული იყო აგრეთვე განსაკუთრებული დის-ციპლინა და სიმკაცრე. სიზარმაციისთვის – არავითარი შეღავათი. დილით ადრე, სკოლაში მეცადინეობამდე, უნდა ესწავლათ დედისა და მამის მიერ გუშინ საღამოთი მიცემული დავალება. ეს იყო ენები – ფრანგული, გერმანული და ინგლისური, ლიტერატურული ნაწარმოებები და... კიდევ მრავალი სხვა, რასაც ყველაფერს ვერ ჩამოთვლი.

დედამ, ლუდმილა ცინცაძემ, დაამთავრა ბესტუშევის უმაღლესი კურსები, სიტყვიერება-ისტორიის ფაკულტეტი. თბილისში იგი იყო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო, მცოდნე და ძალიან მომთხოვნი. მის მოსწავლებს, და რასაკირველია, ვაჟიმვილებს ზეპირად უნდა სცოდნოდათ რუსული (და არა მარტო რუსული) პოეზიის შედევრები. ლუდმილა ცინცაძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, იმ წლებში ყველაზე მაღალი და პრესტიული ჯილდოთი. მართლაც, ლირს გავიხსნოთ, რომ ბესტუშეველები, რომლებიც საქართველოში არც თუ ბევრი იყვნენ, გამოირჩეოდნენ ხასიათის განსაკუთრებული წყობით. რა სიძნელები და გაჭირვებები უნდა გადაეტანა გურიიდან ჩამოსულ ახალგაზრდა გოგონას პეტერბურგში უმაღლესი განათლების მისაღებად. რა სიმტ-

კიცეს უნდა ფლობდე, რომ ყველაფერი გადაღახო და დაარწმუნო ირგვლივ ყველა, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი თავი, რომ მხ-ოლოდ შრომასა და დაჟინებულობას მოაქვს სასურველი შედეგი.

უნარი – მყისიერად გამოეხმაურო საინტერესო იდეებს და იცოდე მიღებული ცოდნის გაზიარება – ასეთი იყო ამ ოჯახის განმასხვავე-ბელი თვისებები. ყვები რა ცხოვრების ყაიდაზე, გესმის, რომ მყარ-მა ოჯახურმა წესებმა ჩაუყარეს საძირკველიგიორგი დანელიას პიროვნებას და ისინი ძევს მისი ხასიათის საფუძველში.

უკვე ზრდასრული ადამიანის, ცნობილი მედიკოსის ჩანაწერებში შეგვხვდა ასეთი რამ: “ბავშვობიდან დამამახსოვრდა და მთელი სი-ცოცხლის მანძილზე ჩამრჩა გოეთეს სიტყვები: “ მხოლოდ ის არის სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსი, ვინც ყოველდღე მიდის ბრძოლაში მათ მოსაპოველად.” და ამ სიტყვების შემმართებელი ძალა ყოველთვის თან მდევდა და მეხმარებოდა ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც; არანაირი სიძნელეების დროს ფარხმალს არ ვყრი-დი, ვიბრძოდი გამარჯვებამდე!”

პროფესია



გ. დანელია კოლეგებთან ერთად

იმ ცოდნის გარდა, რასაც გიორგი თავის ძმასთან ალექსან-დრესთან (მომავალში მედიკოსი) ერთად ოჯახსა და სკოლაში იძენდნენ, მას ჰქონდა მრავალმხრივი ნიჭი, რაც ნებისმიერი პროფესიის არჩევანის სამუალებას აძლევდა. უპირველესად, მუსიკალურობა. გიორგი, თავისი შესანიშნავი მუსიკალური სმენით უკრავდა ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე. წლების შემდეგ მის საყვარელ ინსტრუმენტად გიტარა გახდა. მეორე მხრივ, ხატვა. იგი ბავშვობიდან შესანიშნავად ხატავდა. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა სამხატვრო აკადემიაში. თითქოს პროფესია არჩეული იყო. მაგრამ უფროსმა ძმამ აირჩია მედიცინა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მის მიერ მონათხრობმა, მისმა გარემოცვამ თავისი როლი შეასრულა. გიორგიმ გადაწყვიტა უფროსი ძმის გზით წასულიყო.

1946 წელს გიორგი დახელიამ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამურნალო ფაკულტეტი დაამთავრა. სწავლობდა ძალიან კარგად. ისე როგორც ყოველთვის ყველაფერს აკეთებდა. ასპირანტურა კითხვებს არ იწვევდა, ასარჩევი იყო სპეციალიზაცია. აქ კი უდიდესი მეცნიერის ვლადიმერ ულენტის ავტორიტეტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რომელმაც 1943 წელს დააარსა და სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს პათოლოგ-ანატომთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი. ეს საზოგადოება დღემდე მის სახელს ატარებს. ვლადიმერ ულენტი იყო პათოლოგანატომიის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, მეცნიერ-მედიკოსებზე ბიოგრაფიული ნარკვევების ავტორი, მონაცენილეობას იღებდა ქართულ ენაზე სამეცნიერო სამედიცინო ტერმინოლოგიის დამუშავებაში. მისი ყურადღება ნიჭიერი და დისციპლინირებული სტუდენტის მიმართ იყო სრულიად ლოგიკური და გამართლებული.

ის, რომ პათოლოგიური ანატომია ერთ-ერთი ძირითადი სამედიცინო დისციპლინაა, დანელიამ ჯერ კიდევ სტუდენტის დროს იცოდა, ხოლო ამ განსაკუთრებული დისციპლინის ფილოსოფიური შემადგენელი შეიცნო ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციებზე მუშაობისას. გზა ამ ორი სამეცნიერო მწვერვალ-ისკენ გადიოდა ნაყოფიერ და თავგადადებულ შრომაზე. მისმა დისციპლინირებული სტუდენტის მიმართ იყო სრულიად ლოგიკური და გამართლებული.

აი, ამ პერიოდის მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შევჩერდები. გიორგი დანელია მოსკოვში მონაწილეობას იღებდა მედიკოსების, მათ შორის ანთროპოლოგების სხდომაში. სხდომა მიჰყავდა ცნობილ ფიზიოლოგს, აკადემიკოს ილია არშავსკის. ერთ-ერთი მონაწილის მოხსენების შემდეგ სიტყვა მოითხოვა დანელიამ. მისი გამოსვლა იყო საკმაოდ კრიტიკული, რასაც თან ახლდა დამადასტურებელი ფართო ბაზა. წამოვიდა კითხვების, შეიძლება ითქვას, კორიანტელი. დანელია ისეთი ოსტატობით იგერიებდა და აბათილებდა მათ, რომ არშავსკი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. სხდომის ბოლოს ახალგაზრდა მეცნიერმა საქართველოდან არშავსკისგან, მისი ლაბორატორიიდან იმ დროისთვის “მეფური” საჩუქარი მიიღო: საცდელი ცხოველები მთელი წლისთვის კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად.

გიორგი დანელიამ თავისი სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში დაიცვა.

დაცვაზე ხალხმრავლობა იყო. დამსწრეთა შორის იყვნენ აკადემიკოსები, პროფესორები, წარმომადგენლები სამედიცინო მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. როდესაც დისერტანტმა დაამთავრა თავისი გამოსვლა, მისმა სამეცნიერო კონსულტანტმა, პროფესორმა, პათომორფოლოგ-პედიატრმა ელენა ტერ-გრიგოროვამ გამოაცხადა, რომ ოპონენტებს და მედიკოსებს შეუძლიათ კითხვები დაუსვან დისერტანტს არა მხოლოდ რუსულ, არამედ გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

აი რას ყვება მისი კოლეგა, პროფესორი თეიმურაზ ჯორბენაძე: “გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, ქ.ივანოვოში ტარდებოდა საპჭოთა კავშირის პათოლოგოანატომების მორიგი ყრილობა. სხდომის დამთავრების შემდეგ, რესტორანში ვახშმად შეიკრიბნენ არა მხოლოდ მედიკოსები. საუბარი ლიტერატურასაც შეეხო. ბატონმა გიორგიმ თანამოსაუბრენი მოხიბლა არა მარტო სიტყვაკაზმულობით, არამედ ბრწყინვალე, შეიძლება ითქვას მაღალი პროფესიონალიზმით, როგორც რუსული, ასევე ევროპული ლიტერატურული შედევრების ცოდნით. ერთ-ერთი დამსწრე დარწმუნებული იყო, რომ ბატონი გიორგი ლიტერატურისმცოდნე იყო.

ვკითხულობდი რა მის მრავალნლიან შრომებზე რეცენზიებს, ვაცნობიერებდი რამდენად რთულია არასპეციალიზირებულ გამოცემაში სრულად მოიყვანო მთელი სამედიცინო ტერმინოლოგია. შევჩერდები მხოლოდ მთავარზე – თითქმის ყველა გამოხმაურებაში არის სიტყვა “პირველი”. გიორგი დანელიამ პირველმა ჩაატარა მორ-

ფოლოგიური კვლევები.., პირველმა მიაქცია ყურადღება ინდვიდუალურ თავისებურებებს.., პირველმა წარმოაჩინა მორფოლოგიური ექვივალენტები.., პირველმა შეადგინა სხვადასხვა პერინატალური პათოლოგიების შესაბამისი პათოლოგენეზური სქემები... მის მიერ ჩატარებული მორფოლოგიური კვლევების მონაცემები დაედო საფუძვლად ქალთა პათოლოგის, დიაგნოსტიკის, მეურნალობის მეთოდიკის დასაბუთებას. ამ სამუშაოთა ციკლისთვის გ. დანელიას (მეცნიერთა ჯგუფთან ერთად) მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

გიორგი დანელია არის პათოლოგ-ანატომიური სამსახურის პრაქტიკოსა და თეორიის დანერგვის პიონერი. მან პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიმუშავა და დანერგანაყოფისა და ახალშობილის პათოლოგ-ანატომიური გამოკვლევის პროტოკოლი. გიორგი დანელიას მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა თითქმის მთელ პათოლოგიურ ანატომიას. იგი ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რომლებიც ცნობილია როგორც საქართველოში, ისე

მის ფარგლებს გარეთ. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული კლინიკო-ანატომიური კონფერენციები იყო საქართველოს კლინიცისტების პროფესიული სრულყოფისთვის ნამდვილი სკოლა. აკადემიკოსმა გიორგი დანელიამ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ღირსების ორდენის კავალერმა აღზარდა მედიცინის მეცნიერებათა 8 დოქტორი და 34 კანდიდატი. მის მაღლიერ მონაცეებს შორის არიან არა მარტო პათოლოგანატომები, არამედ გისტოლოგები და ციტოლოგები.

2003 წელს, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიქმ, გიორგი დანელიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მილოცვისას, აღნიშნა:

“თქვენ სამართლიანად დაიმკვიდრეთ პერინატალური პათოლოგიის ფუძემდებლის საპატიო სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც”.

90 წლის იუბილემდე 3 თვით ადრე გიორგი დანელია გარდაიცვალა. კოლეგებმა, მონაფეებმა, ახლობლებმა მოამზადეს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. იგი იხსნება მეცნიერის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტატიით, რომელიც დასათაურებულია მოკლედ და ტევადად: “სუპერპროფესიონალი”.

ჰორიზონტის ხაზი



გ. დანელია საყვარელი გიტარით

არიან ადამიანები, რომლებიც თითქოს მთელი სიცოცხლე მიდიან ჰორიზონტისკენ. ჰორიზონტის ხაზი კი შორდება და ეს მათ

მხოლოდ აღაფრთოვანებს. მრავალმხრივი ნიჭიერებისა და ინტერესების მქონეგიორგი დანელია აქტიურად შემოქმედებითი ადამიანების ამ მოდგმას ეკუთვნოდა. თუ მოუსმენ მასზე მონათხრობს, წაიკითხავ მისი ახლობელი ადამიანების მოგონებებს, ხვდები, რომ იგი დაუღლელად, მაგრამ გასაოცარი და ჭეშმარიტად არტისტული სიმსუბუქით იპყრობდა სიმაღლეს პროფესიაში.

როდესაც უკრავდა გიტარაზე და მღეროდა, უმაღლესი შთაგონების წუთებში – იგი იყო მუსიკოსი; როდესაც კითხულობდა საყვარელ ლექსებს, იცოდა კი ისინი უთვალავი რაოდენობით და თხზავდა თვითონაც – იგი იყო პოეტი; როდესაც ხატავდა, მართლაც პროფესიონალურად – იგი იყო მხატვარი.

„ბატონმა გიორგიმ ჯერ კიდევ პერინატალოგის გარიურაჟზე დარბაისლური ქართულით ჩამოაყალიბა ადამიანის ნაყოფისა და ახალშობილის პათოლოგიური მეთოდოლოგის ტერმინოლოგია“ – ეს სიტყვები ეკუთვნის აკადემიკოს პალიკო კინტრაიას.

„ბიჭიკო გამოირჩეოდა განსაკუთრებული ხალისით, ადამიანური ურთიერთობების დამყარების ოსტატი იყო. ყოველთვის ამაღლებულისა და მშვენიერისკენ მიიღებოდა. ნებისმიერ საზოგადოებაში შეეძლო საზემო განწყობის შექმნა. ბიჭიკოს შევადარებდი დაჭიმულ მშვილდს, საკმარისი იყო შეხებოდი ლარს და იგი ელვისებრ სწრაფად აიჭრებოდა მაღლა, მაღლა ცაში – ჩვენდა გასახარად“ – თქვა მისმა კოლეგამ, პროფესორმა ივერიელმა.

„ბატონი გიორგი იყო ახალი იდეების გენერატორი. თავისი ნოვა-

ტორული და ორიგინალური მიდგომებით პრობლემის შესწავლისას ყოველთვის ჩანდა მისი აშკარა უპირატესობა მრავალ გამოჩენილ მეცნიერთან შედარებით” – ასე დაახასიათა თავისი ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ფაილოძემ.

მან ხანგრძლივი ცხოვრება გაიარა. სიცოცხლის ბოლომდე – თითქმის 64 წელი ხელმძღვანელობდა პათომორფოლოგიურ განყოფილებას აკად. კ. ჩაჩავას პერინატალური მედიცინის, მეან-გინე-კოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

მრავალი და, როგორც მან თვითონ მითხრა, ბედნიერი ნლები მის გვერდით იყო მისი მეუღლე ბელა გრიგოლაშვილი. მათი დაოჯახების ისტორიაც არაორდინალური იყო. ქალბატონი ბელა სა-დოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა. ეს იყო მოსკოვში, სადაც იგი მის ნათესავთან ცხოვრობდა ბინაზე. ნათესავი შეძლებისდაგვარად ზრუნავდა მასზე, განიცდიდა რომ იგი დღისით და ღამით საწერ მაგიდასთან იჯდა და წიგნებს ჩაკირკიტებდა. ერთხელ საღამოს განუცხადა, რომ მისთვის გუნებაში ჰყავს ერთი ადამიანი, რომელსაც ისევე უყვარს წიგნები, როგორც მას. და თუ შემთხვევით დაეკარგება იგი, მხოლოდ წიგნებში იძოვნის. ბელამ მაშინ გულიანად გაიცინა ამ ფრაზაზე, თუმცა ნათესავმა თავისი სიტყვა შეასრულა. საქმაოდ მალე თავიანთი ბედი ამ ორმა წიგნისმოყვარულმა ერთმანეთს დაუკავშირა.



გ. დანელიას ნახატი „დონ კიხოტი და სანჩო პანსა“

გიორგი დანელიამ დატოვა არა მარტო სამეცნიერო შრომები, მრავალი ნახატი, ლექსები, არამედ ჩანაწერები უამრავ წაკითხულ წიგნზე უაღრესად საინტერესო ნააზრევითურთ, რომელიც კითხვისას უჩნდებოდა.

ასევე მრავალი სხარტი და ბრძნული გამონათქვამები თავისი

პროფესიის შესახებ:

“პათოლოგიური ანატომია, ეს ასთვალიანი არგუსია, რომელიც აფიქსირებს პათოლოგიის ხასიათს და ავლენს ექიმის შეცდომას”.

“პათომორფოლოგია – ეს არის წმინდა ჭეშმარიტებასთან სოლი-დარობა კლინიკის ინტერესებში კოლეგიალობის მაღალ პრინციპებზე (წინასწარშექმნილი აზრის, შემრიგებლობისა და კონფრონტაციის გარეშე), იმის შეგნებით, რომ სიმართლეს უნდა შეხედო თვალებში და ექიმის შეცდომები, თუნდაც ძალიან საწყინი, არ დაიმალოს, არ-ამედ გამოსწორდეს, უკუგდებულ იქნეს ანგარებიანი ინტერესები და პატივმოყვარე ამბიციები”.

“როგორც თვითმფრინავს სჭირდება ასაფრენი მოედანი, ასევე ახალი იდეისთვის საჭიროა მეცნიერების ზოგადი დონე, სხვაგვარად ეს იდეა არ დაიბადება, და მით უმეტეს, მისი გამოჩენის შემთხვევაში იგი ფეხს ვერ მოიკიდებს”.

“თუ ჩემი შრომები უმეტეს შემთხვევაში აღმოჩენები არ არის, ჩემი ღრმა რწმენით, ისინი ასე თუ ისე, რაღაცა ხარისხით აფხვიერებენ ნიადაგს და შეალამაზებენ მას შემდგომი ძიებებისთვის”.

“ბოლოსდაბოლოს – ადამიანი ცხოვრობს იმ საქმისთვის, რომელ-საც ის ემსახურება და სიკეთისთვის გარემონტატვის”.

გიორგი დანელიამ სწორედ ასე იცხოვრა. ამა წლის აპრილში შეს-ანიშნავ მეცნიერსა და ნიჭიერ ადამიანს 95 წელი შეუსრულდებოდა.

**მარინა მამაცაშვილი,
დამსახ. უურნალისტი**

17.07.2022 წ. სატელევიზიო არხზე - „პულსი ტვ“ მომზადდა გად-აცემა რუპრიკით „კვალი ნათელი“, გიორგი (ბიჭიკო) დანელია. ([You tube.<https://www.facebook.com/pulsitv/videos/>](https://www.facebook.com/pulsitv/videos/))

აქვე უნდა ალინიშნოს, რომ აკადემიკოს თამარ დეკანოსიძის ინიციატივით ჩამოყალიბდა მოძრაობა “კვალი ნათელი”, რომელ-იც იძიებს ყველა იმ პირის მოღვაწეობას საქართველოში და მის გარეთ, ვინც უშუალო წვლილი შეიტანა საქართველოში მედი-ცინის განვითარებაში.

„სამეცნიერო ცოდნის უმაღლესი მიზანი სწორედ ფაქტებს შორის არსებული შეგა კავშირების აღმოჩენაშია; რაც უფრო ღრმადაა ჩამაღლული ეს კავშირი მით ნაკლებად ხვდება ივი დამკვირვებლის თვალს და მით უფრო მნიშვნელოვანია შრომა განხული მის გამოსავლენად“.

სერგი დანელია

„უდიდესი სარგებელი, რომელიც შეიძლება მოიპოვო - ეს არის დახარჯო ცხოვრება საქმეზე, რომელიც შენზე მეტ ხანს იცოცხლებს“.

**უილიამს ჯეიმსი,
პალეონტოლოგი**

„იცოდე რაც შეიძლება მეტი და გააკეთო სულ მცირეოდენი ახალი - სჯობს, ვიდრე არ იცოდე არაფერი და იმედი მხოლოდ შენს გენიალობაზე დაამყარო“.

პოლ ვალერი

IV. გიორგი დაცელია

მოკლე აცოტაციები ჩემ მიერ გამოკვლეული პროპლემების მთავარ ასპექტებზე

60 წლიანი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე გამოქვეყნებულ ჩემს შრომებში განიხილება პათოლოგიის სხვადასხვა ასპექტები.. გამოვყოფ იმ ძირითად პრობლემებს, რომელთა გადასაწყვეტად საჭირო გახდა ამა თუ იმ საკითხის ახლებურად წარმოჩენა, საინტერესო ნოვატორული მიგნებების საფუძველზე კვლევათა წარმართვის სრულიად ახალი ორიგინალური მეთოდების შემუშავება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შესრულებულმა კვლევებმა განაპირობა შრომათა შედეგების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

1. ფილტვების არაანთებადი პათოლოგია

დიდ სასექციო მასალაზე (300 შემთხვევა) და ერთობ მრავალფეროვან ექსპერიმენტზე დაყრდნობით (600 სხვადასხვა ცხოველზე) საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ ერთ-ერთმა პირველთაგანმა შევისწავლე ნაყოფებისა და ახალშობილების ფილტვების გაშლის მექანიზმები, მათი მორფომეტრია. კვლევების საფუძველზე დავამტკიცეთ, რომ შესაძლებელია პიალინური მემბრანებით დაავადებული ცხოველების (ბავშვების) გაჯანსაღება, რაც იმ დროისთვის ჯერ კიდევ საკამათო იყო.

ჩვენ მიერ პირველად ჩატარდა ახალშობილთა ფილტვების მიკრომეტრიული (მორფომეტრიული) კვლევა და სათანადო ილუსტრაციებით (მათ შორის ტოტალურ ანათლებზე), შესაძლებელი გახდა აიროვანი გზების ჩვენებით ფილტვების გაშლის ხასიათისა და მექანიზმების დასაბუთება.

ამ შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა ცნობილი ამერიკელი პათოლოგის ე.პოტერის მიერ. სახელმძღვანელოებში ეს პათოლოგია distress სინდრომის სახელით შევიდა.

2. ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ:

ა) ერთერთმა პირველთაგანმა საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ, მივაქციე ყურადღება და აღვწერე ნაყოფის ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბების ინდივიდუალური თავისებურებები და

მასთან დაკავშირებულ მკვდრადშობილთა თავის ქალის განვითარების სტრუქტურული დევიაციები (ე.ნ. ოკულუზიური და დიასტაზური ანომალიები). მივუთითე მათ მნიშვნელობაზე ქალა-სარქველის კონფიგურაციული და პროტექციული ფუნქციის მოშლაში. სასექციო მასალაზე და გაკვეთის მრავალრიცხოვან შემთხვევათა კლინიკო-ანატომიური ანალიზის საფუძველზე დაყასაბუთეთ მათი უდიდესი მნიშვნელობა სამშობიარო ტრამვის გენეზში. შემთხვევათა 50%-ში აღწერილი დევიაციები ასოცირდება თავის ქალის ტრამვასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მონინავე ქვეყნებში დღეისთვის სამშობიარო ტრამვების სიხშირე მინიმუმამდეა დაყვანილი, ჩვენი აზრით, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი რეზერვი მათი შემდგომი შემცირებისთვის, რაც ზემოთ აღნიშნული პათოლოგიის-დევიაციის დროულ (მშობიარობის დაწყებამდე) დიაგნოსტიკაში მდგომარეობს.

ბ) ნაყოფის თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის თავისებურებანი.

ხანგრძლივი პათომორფოლოგიური კვლევების საფუძველზე შევიმუშავე მოსაზრება, რომ ადამიანის ონტოგენეზის დონეზე, თავის ტვინის დიდი ჰემოსფერონების ნახტომისებრი ზრდის პარალელურად, ტვინის ვასკულარიზაციაში იქმნება გარკვეული დისკორელაციური ნინამძღვრები. კერძოდ, სწორედ ადამიანის ნაყოფებში არსებობს გარკვეული „locus minoris resistentio“. ტვინის სისხლის გამომტან მადრენირებელ ვენურ სისტემაში, სახელდობრ, ტვინის ვენური სისხლის კოლექტორი – გალენის ვენა ადამიანთა ნაყოფებში შედარებით ვიწროა და ვერ უზრუნველყოფს სისხლის გამოტანას ექსტრემალურ სიტუაციებში, რომლებიც იქმნება მშობიარობის პროცესის გაჭიანურებისას. აღნიშნულ ანატომიურ არასრულფასოვნებას მოჰყვება ინტენსიური ვენური სტაზი დიდი ჰემოსფერონების სუბსტანციის ლრმად მდებარე ნაწილებში, თვით ტვინის სუბსტანციის მძიმე ჰიპოქსიური დაზიანებით.

3. ზურგის ტვინის გარსების და სუბსტანციის მაკრო- მიკრო- მორფოლოგიური კვლევები.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთერთმა პირველთაგანმა მივაქციე ყურადღება ხერხემლის ტრავმულ დაზიანებას, რასაც მოჰყვა ათეული წლების მანძილზე, ჩემი უმუალო ინიციატივით, ხერხემლის სავალდებულო გაკვეთა ზურგის ტვინის დაზიანებათა დინამიკის

და მათი ლოკალიზაციის დეტალურად შესასწავლად. გარდა ამისა, ყურადღება მივაქციე ზურგის ტვინის ამ პათოლოგიის კავშირს ახ-ალშობილთა ფილტვების გაშლის პროცესთან. შევისწავლეთ ხერხების არტერიების მდგომარეობა ზურგის ტვინის არხში სისხლჩაქვის დროს.

ამ საკითხებზე კვლევათა შედეგები საბჭოთა ლიტერატურაში გა-მოქვეყნდა ჩვენი კვლევების შემდეგ 5–10 წლის დაგვიანებით (რატ-ნერი).

4. პლაცენტის პათომორფოლოგიური ცვლილებები

შეიძლება თამამად განვაცხადო, რომ ერთერთმა პირველმა მი-ვაქციე ყურადღება პლაცენტის მაკროსკოპულ (მორფოფუნქციურ) ცვლილებებს და სწორედ მათ დავუკავშირე ფეტოპლაცენტარული ვასკულარიზაციის მოშლა. ამდენად ჩემს შრომებში ნაყოფის მრავალი პათოლოგია განხილულია სწორედ პლაცენტის ვასკულარიზაციის მოშლის კუთხიდან, რითაც საფუძველი ჩავუყარე პლაცენტის ფუნქციური (მორფოლოგიური) აქტივობის ახლებურ განსაზღვრას. დავადგინე, რომ პლაცენტის ვასკულარიზაციის ქსელში ცენტრალური ადგილი ღერძისეულ ბუსუსებს უჭირავს. ერთი მხრივ, ისინი აკავშირებენ ვასკულარიზაციის სხვადასხვა დონეს, ხოლო მეორე მხრივ, მათში განვითარებული მეორადი ცვლილებები მნიშვნელოვნად ცვლის ღერძისეული ბუსუსების სისხლმომარაგებას, რაც თავისთვად იქცევა პლაცენტის მორფო-ფუნქციური აქტივობის განმსაზღვრელ ფაქტორად. პათოლოგიური პროცესი არ მოქმედებს ამ მხრივ ქორიონის ფირფიტის სისხლმილებზე, რომლებიც გამოირჩევიან დიდი ოდენობით, ხოლო ღერძისეული ბუსუსების მომდევნო წვრილი ბუსუსები ახორციელებენ პლაცენტის კავშირს დეციდუასთან, მთლიანად არიან დამოკიდებული ღერძისეული ბუსუსების ვასკულარიზაციაზე. სწორედ ამ კანონზომიერების გათვალისწინებით გახდა შესაძლებელი ზუსტად დაგვედგინა პლაცენტის, როგორც ნაყოფის მკვებავი მორფო-ფუნქციური აქტივობა და მისი მნიშვნელობა მუცლადმყოფი ნაყოფის განვითარებაში. ჩვენს მიერ პლაცენტაში დადგენილი ვასკულარიზაციის ფენომენი (ე.წ.კავერნოზი და სკლეროზი) შეიტანს თავის ჯეროვან წვლილს, როგორც პლაცენტის პათომორფოლოგიის შემდგომ გამოკვლევებში, ასევე მკვდრადშობადობის და ნაყოფის განვითარებაში ჩამორჩენის მიზე-ზების დაზუსტებაში.

5. დედის სიკვდილიანობის მიზეზები. თრომბო-ჰემორაგული სინდრომი.

ათეული წლების მანძილზე დიდ სასექციო (150 შემთხვევა) და ექსპერიმენტულ მასალებზე ვსწავლობდი დედის სიკვდილიანობის მიზეზებს და ორსულობის დროს თრომბო-ჰემორაგული სინდრომის გამოვლინებებზე.

ამ საკითხებისადმი მიძღვნილ შრომათა სერიისთვის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მომენტა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1990 წ.).

სამწუხაროდ, ზოგიერთი მოგონების ავტორი სამუდამოდ განეშორა ამ წუთისოფელს. მითუმეტეს მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათ მიერ დაწერილი წერილებიდან ნაწყვეტები, ზოგჯერ კი სრული სახით მიგვეწოდებინა მკითხველისთვის შემოთავაზებულ წინამდებარე კრებულში. ვძეჭდავთ შემომატებულ ახალ წერილებსაც.



კაცი – აღმაფრენა

მხოლოდ ასე შეიძლება მოიხსენიო ადამიანმა ბატონი გიორგი დანელია, იმდენად მრავალფეროვანი და აღმაფრთოვანებელი იყო იყი როგორც პიროვნება. ყოველი შეხვედრა მასთან, და თუნდაც უბრალო საუბარი განსაკუთრებულ განწყობას ქმნიდა.

აკადემიკოს გიორგი დანელიას მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა თითქმის მთელ პათოლოგიურ ანატომიას, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება პერინატალურ მედიცინაში. ბატონი გიორგი იყო პირველი მთელ საბჭოთა კავშირში, ვინც შექმნა ნაყოფისა და ახალშობილის პათოლოგოანატომიური შესწავლის მეთოდოლოგია. დღესმოდაშია საუბარი „გაიდლაინებზე“, „პროტოკოლებზე“ და მოდასაყოლილი ვაიმეცნიერები უმოწყალოდ ამასინჯებენ როგორც ქართულ ენას, ასევე ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიას. ბატონმა გიორგიმ ჯერ კიდევ პერინატოლოგიის გარიერაჟზე დარბასისლური ქართულით ჩამოაყალიბა ადამიანის ნაყოფისა და ახალშობილის პათოლოგიური მეთოდოლოგიის ტერმინოლოგია და ამით კიდევ ერთხელ მიაგო პატივი თავისი დიდი მასწავლებლის მიერ შექმნილ ტრადიციას. საყოველთაოდ ცნობილია აკადემიკოს ვლადიმერ ულენტის და მისი სკოლის დამსახურება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში აკადემიკოს ა. ნათიშვილის სკოლასთან ერთად...

საოცრად რთული და „მრისხანე“ დარგის წარმომადგენელი - პათოლოგოანატომი, ანუ მსაჯული ყველა დარგის პრაქტიკოსი ექიმის მოღვაწეობისა, გიორგი დანელია იმდენად ჰუმანური, იმდენად ადამიანური იყო, რომ მისი უმკაცრესი შენიშვნაც კი ადვილად ასატანი ხდებოდა.

მის საოჯახო არქივში ინახება კლინიცის ტებისადმი მისი დამოკიდებულების ამსახველი ასეთი ჩანაწერი:

პათოლოგოანატომი კლინიცისტს

მე არ მინდა შენი მტრობა,
შემიძლია ვიყო მხოლოდ
საუბრის დროს ცენზორი,
საქმეში კი მეგობარი
და არასდროს მენტორი.

ეს მიტომ, რომ კარგად ვიცი,
არ არსებობს ექიმი,
ვისაც ავადმყოფისათვის
არ გაელოს თვისი სისხლი
თვისი ღვიძლი, თვისი გული,
თუნდაც ფილტვი სასუნთქი,
რასაც ზღაპრებში აკეთებს
თვით ღვთიური ფასკუნჯი.

პალიკო კინტრაია
აკადემიკოსი, საქართველოს
მეან-გინეკოლოგთა
ასოციაციის პრეზიდენტი

ბატონ პალიკოს!

მეანობის ვერძს შენ უვლი,
აბალახებ მაღალ მთაზე,
ბევრი მეანი აღზარდე,
ბარაქიან შენს კალთაზე,
ინსტიტუტის სახელი რომ
კიაფობდეს დუნიაზე.

გიორგი დანელია

ლვაცლმოსილი პიროვნება და მეცნიერი

(ჩემი სიყრმის მეგობარი გიორგი დანელია)



2023 წლის 25 აპრილს ბატონ გიორგი დანელიას 100 წელი შეუსრულდებოდა. 90 წლის ასაკამდე მას მხოლოდ სამი თვე დააკლდა. გიორგი ჩემი უახლოესი მეგობარი გახლდათ. ვისენებ გულისტკივილით, რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებოდა ბატონ გიორგის, მის მიერ განვლილი გზა არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. ღვთის მაღლით ბევრი სიძნელე, პირადული თუ საზოგადოებრივი, წარმატებით დაუქმდევია. ესეც მისი მომადლებული ნიჭის, მუხლჩაუხრელი შრომის, საქმისადმი დიდი ერთგულების და,

რაც მთავარია, დიდი ოჯახიშვილობის შედეგი იყო. ვწუხვარ, რომ ჩემი სიყრმის უახლოესი მეგობარი თვალს მოეფარა, წავიდა ამ ქვეყნიდან, დაგვიტოვა შემაწუხებელი სიცარიელე, რაც დაუსრულებელი სევდის მომგვრელია...

ბატონი გიორგის სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყის პერიოდში ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა პავლოვის ე.წ. ნევრიზმის მოძღვრება. მთელი მაშინ დელი კვლევა-ძიებანი ამ მიმართულებით მიმდინარეობდა. ბატონი გიორგის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გვერდი აუარა ამ პოპულარულ პრობლემას და ბავშვთა და პერინატალური პათოლოგიის აქტუალური და ურთულესი პრობლემების შესწავლას შეუდგა.

გიორგი დანელიას როგორც საკანდიდატო („ჭიპლარის სისხლის მილების ასაკობრივი ცვლილებები ჭიპლარული სეფსისის პათოგენეზის და მისი თავისებურებების ჭრილში“ (1958 წ.), ასევე სადოქტორო სადისერტაციო („ახალშობილთა პნევმოპათიების მოწოდებისა, პათოგენეზი და თანატოგენეზური მნიშვნელობა („კლინიკურ-ანატომიური და ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი“. 1972წ.)

შრომებმა ახალი ეტაპი შექმნეს პერინატალურ მორფოლოგიაში.

ამ ორივე დასახელებული ფუნდამენტური მრავალნლიანი კვლევის შედეგები შეიძლება მივიჩნიოთ აღმოჩენად, რადგან თეორიული კვლევა, რომლის შედეგები დაუყოვნებლივ აისახება პრაქტიკაში, ეს უკვე დიდი მიღწევა. ჭიპისმიერ სეფსისს, რომელსაც საქართველოს სინამდვილეში იმ დროისთვის ბავშვთა სიკვდილობაში წამყვანი თუ არა, ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა; აღნიშნული ნაშრომის მონაცემების პრაქტიკაში დანერგვის შედეგად ბავშვთა სიკვდილობამ მნიშვნელოვნად იკლო.

რაც შეეხება მეორე პრობლემის – „ფილტვების ალვეოლების უანთებო დაზიანების“ შესწავლას, მისი მნიშვნელობაც უაღრესად დიდია. ალვეოლების ანუ ფილტვების სასუნთქი ზედაპირის დაფარვა ვითარდება ფირფიტოვანი შემაერთებელი ქსოვილით, რომელიც აბრკოლებს ჟანგბადის გადაცემას სისხლის კაპილარებში არსებულ ერთოროციტებზე. ეს გამოკვლევა ბატონი გიორგის მიერ პირველად იქნა ჩატარებული ამერიკელებმა ამ შემზღუდავ ფირფიტებს დაარქვეს **distress-სინდრომი** და მათ, ბატონი გიორგის აღმოჩენიდან დიდი ხნის შემდეგ დაადგინეს და გამოაქვეყნეს ანალოგიური რეზულტატები.

ამის შემდეგ გ. დანელიამ მისთვის ჩვეული ენერგიით, დაუღლელად, დიდი ენთუზიაზმით ახალი მიგნებებით გაამდიდრა მისი სამეცნიერო კვლევების არეალი.

ბატონი გიორგის ასეთი წარმატებული და ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის საქმეში არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პერიოდი, როდესაც ინსტიტუტის თავკაცი და დირექტორი აკადემიკოსი კონსტანტინე ჩაჩავა იყო. ამ დროს ბატონი გიორგის შემოქმედებით მა ნიჭმა და ენერგიაზ თითქოს ახალი ძალით იფექტა, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში. არც შემდგომში დაპირდის ბატონ გიორგის და მის ლაბორატორიას ყურადღება, როდესაც ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა, სამწუხაროდ ეხლახან გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერი, მეან-გინეკოლოგიის შესანიშნავი პროფესიონალი, პროფესორი პალიკო კინტრაია. ბატონმა პალიკომ საფუძვლიანად იცოდა პათოლოგიური ანატომიის ფასი, ღირებულებები მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების საქმეში...

ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის ნიმუში იყო გიორგი დანელის გამოსვლები პერინატალური დაავადებების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებზე. მის გამოსვლებში

ხშირად სრულიად მოულოდნელი სიახლეები იყო, აქტუალური, საოცრად ღრმადმეცნიერულად გაჯერებული, გააზრებული დებულებებით გამდიდრებული. აქ ჩანდა მისი ღრმა ცოდნა, ერუდიცია და ანალიტიკოსის მომადლებული ნიჭი....

ამ თვალთახედვით თვალს თუ გადავავლებთ მის ნაშრომთა ბიბლიოგრაფიას, რაც საკმაოდ სოლიდურია, დავრწმუნდებით მისი მეცნიერული კვლევების პროდუქტიულობაში, სადაც დედათა და ბავშვთა პათოლოგიის აქტუალური საკითხებია წარმოდგენილი.

ბატონი გიორგის სამეცნიერო შრომების დახასიათება ცალკე განხილვის თემაა. ალბათ ჩვენს შორის გამოჩნდება პიროვნება, ვინც ამ მისიას პირნათლად და ბატონი გიორგის საკადრისად გააკეთებს.

ბატონი გიორგის სამეცნიერო სარბიელზე თვალსაჩინო მოღვაწეობის სფეროში დიდია მისი მეულლის, ქალბატონი ბელა გრიგოლაშვილის დამსახურება. ის უქმნიდა თბილ სამუშაო და სააზროვნო გარემოს ირგვლივ გამეფეხული დისპარმონის პირობებშიც კი. ქალბატონი ბელა ინტელიგენტი, პროფესიონალი და კარგი ოჯახიშვილია. ასე რომ, აქაც დიდად გაუმართლა ბატონ გიორგის....

რამდენიც არ უნდა ვწერო ჩემი ძვირფასი მეგობრის წარმატებებისა და დამსახურების შესახებ ქვეყნისა და ხალხის, თეორიული და პრაქტიკული მედიცინის წინაშე, მაინც ვერ ამოვწურავ იმ ღრმა შთაბეჭდილებებს, რომლებიც ნათელ სხივებად გასდევს მის შემოქმედებით მიღწევებს. დიდად კმაყოფილი ვარ თუნდაც იმით, რომ რამდენიმე ათეული წელი ერთად ვზიდეთ ამ ცხოვრების, ჩვენი ყოფის მძიმე ჭაპანი. ვიზრდებოდით, ვშრომობდით სასიამოვნო ატ-მოსფეროში. ისეთ პიროვნებასთან მეგობრობა, როგორიც ბატონი გიორგი ბრძანდებოდა, ალიბეჭდა ჩემი სულის სილრმეში.

ერთსაც ვიტყვი: ასეთ პიროვნებებზე მოგონების წერა ერთხელ კიდევ მიგვახედებს იმ ფესვებისკენ, რომლებსაც განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა ესაჭიროება, რათა მათგან მძლავრი და ჯანსაღი ყლორტები ამოიზარდოს და მომავალი თაობებისთვის სწორი გზის მაჩვენებელი გახდეს.

რევაზ კაპანაძე

სამხარაულის სახ. სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი,
მეცნ. დამსახ. მოღვაწე

ღვაცლეოსილი მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება

აკადემიკოს ვლადიმერ ულენტის მიერ შექმნილი ქართული პა-თოლოგანატომიური სკოლა თავისი არსებობის 90 წლიანი ისტორი-ის არც ერთ ეტაპზე არ განიცდიდა ორიგინალური აზროვნებისა და განსაკუთრებული პიროვნული თვისებების მქონე მეცნიერთა ნაკ-ლებობას. ამ სკოლის ნებისმიერ თაობას ამშვენებდა მრავალი საინ-ტერესო პიროვნება, რომელთა შორის პროფესორი გიორგი დანელია აქარად გამორჩეულია.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი თვისება, რომლითაც იგი განსხ-ვავდებოდა თავისი თაობის პათოლოგანატომებისგან, იყო მოვ-ლენებისადმი არასტანდარტული დამოკიდებულება, ფაქტებისა და მოვლენების შეფასების დროს ჰიპერპოლიზებისა და იმპროვიზირე-ბის განსაკუთრებული უნარი. იგი ამ თვისებას ავლენდა ნებისმიერ სიტუაციაში – როგორც ფართო საზოგადოებრივ თავყრილობებზე, ისე ვიზრო წრეში – პირადი საუბრების დროსაც, მაშინაც კი, როდე-საც საუბარი იმართებოდა, ერთი შეხედვით, არც თუ განსაკუთრე-ბული მნიშვნელობის თემებზე. მისი საუბრები არასდროს მთავრ-დებოდა მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციით, იგი ცდილობდა ნებისმიერი ფაქტისა თუ მოვლენის ინტერპრეტაციის დროს მოეხ-დინა იმპროვიზებული, ზოგჯერ ჰიპერპოლიზებული განზოგადება. ლოგიკური აზროვნების ეს დამაგვირგვინებელი ეტაპი წარმოადგენ-და მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს, სადაც საშუალება ეძლეოდა ფართოდ წარმოეჩინა უბადლო ინდივიდუალური, ინტელექტუალუ-რი შესაძლებლობები და ამავე დროს მოეხდინა ამა თუ იმ მოვლენით განპირობებული ემოციური განწყობის სუბლიმაცია.

ბატონი გიორგი თავისუფალი პიროვნება იყო. ჩემი აზრით, იგი ცხოვრობდა თავისი მრნამსისა და შეხედულებების მიხედვით, ამაყად და თავისუფლად. არასდროს უცხოვრია ნესით – “რას იტყვის ხალხი”. ჰქონდა თავისი პიროვნული გატაცებები, რასაც არასდროს არ ღალატობდა. უზომოდ უყვარდა მუსიკა, შესანიშნავად ფლობდა გიტარაზე დაკვრის ხელოვნებას, (გიტარა განუყრელად თან ჰქონ-და, მათ შორის, როგორც გადმოცემით ვიცი, სამსახურშიც). თავ-ისუფალ დროს საზეიმო სუფრაზე შინაურულ წრეში ააჟღერებდა ხოლმე კლასიკურ ჰანგებს. ამისთვის ის არ ირჩევდა აუდიტორიას და სულაც არ აინტერესებდა ის, თუ რას იტყოდნენ მავანი ამაზე.

ბატონმა გიორგიმ თავისი ღრმადშინაარსიანი მეცნიერული და

საზოგადოებრივი მოღვაწეობით, უნიკალური პიროვნული თვისებებით სამუდამო და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული პათოლოგოანატომიური სკოლის ისტორიაში, მის ნამოღვაწარზე მრავალი თაობა შეიძლება აღიზარდოს.

ვუსურვებ გიორგი დანელიას უახლოეს მოწაფეებს, მისივე ლაბორატორიის წევრებს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს მარინა ფაილოძეს, მედიცინის დოქტორებს რუსუდან ლორიას, ჯენეტა ნანიკაშვილს და სხვებს, გაუფრთხილდნენ მათი დიდებული მასწავლებლის ნამოღვაწარს და სამომავლოდ ამრავლონ იგი.

ომარ ხარძეიშვილი
მედ. მეცნ.დოქტორი,
თსსუ პათანატომიის (დეპარტამენტის) პროფესორი.



ლაბორატორიის წევრები, პირველ რიგში მარცხნიდან: მ. ფაილოძე,
ა. პეტროვი, გ. წიკლაშვილი, მეორე რიგში: ლ. როკიტიანსკაია, რ. ლორია,
ნ. ხუნდაძე, ჯ. ნანიკაშვილი

ენერგიის უშროფი ცყარო

ბატონი გიორგი იყო „ვულკანი“, ენერგიის უშრეტი წყარო და ეს ყოველთვის იგრძნობოდა – საუბრის, მოხსენების, თუ მიკროპრეპარატების სინჯვის დროს.

ბატონი ბიჭიკო მუდამ კეთილგანწყობილი იყო ახალგაზრდების მიმართ. ამის მაგალითი იყო ისიც, რომ დისერტაციის დაცვის დროს დიდი გულისყურით უსმენდა დისერტანტს და კამათს ყოველთვის ასე იწყებდა: გაამახვილებდა ყურადღებას სადისკუსიო საკითხებზე, ჩამოაყალიბებდა ჩატარებული შრომიდან გამომდინარე სამომავლო კვლევის პერსპექტივებს და აუცილებლად შეაქებდა ახალგაზრდას ჩატარებული შრომისთვის. ერთხელ ბატონმა ბიჭიკომ ამიხსნა რატომ აკეთებს ამას: მან მითხრა, რომ ახალგაზრდამ იშრომა და ამას დაფასება უნდა, ყველაზე დიდი დაფასება კი ამ ნაშრომის მიმართ ინტერესია, რომელიც დისერტაციის დაცვის დროს აუცილებლად უნდა გამოჩნდეს. აი, მეც ამიტომ ვიწყებ დისკუსიას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არავის არ დავაჩაგვრინებ ახალგაზრდას, არ დავუშვებ ვინმემ მას კვლევის ინტერესი დააკარგვინოსო.

ბატონი ბიჭიკო დანელია გამორჩეული ერუდიციის მქონე, ჭეშმარიტი ინტელიგენტი ქართველი, ადამიანურობის ეტალონი გახლდათ



რამაზ ჩიხლაძე

პროფესორი, მ.მ.დ.,
თსსუ პათანატომიის და
ციტოპათოლოგიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

დაგვაკლდება პატონი გიორგის სითბო

გავიხსენებ, რომ მამაჩემი, გიორგი ცაგარელი, ახლოს იცნობდა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს სერგი დანელიას, მის ოჯახს და ბუნებრივია, თავადაც ბევრი მსმენია ბატონ გიორგიზე, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდაზე და პერსპექტივულ მევლევარზე. ალბათ ყოველივე ამან განაპირობა, რომ ინსტიტუტის დირექტორად ყოფნის დროს, მამამ უპირობოდ მისცა რეკომენდაცია გიორგი დანელიას პათოლოგონაგომიის ლაბორატორიის გამგის თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე ეკავა....

მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი. ქალაქ მოსკოვში, სამედიცინო ბიბლიოთეკაში მეცადინეობის დროს, შევხვდი ბატონ გიორგის, რომელიც იმსანად სადოქტორო დისერტაციის თემაზე მუშაობდა. საოცარი შრომისმოყვარება და გულმოდგინება ახასიათებდა მას. ჩვენ, ახალგაზრდები, ხშირი შესვენების, „პერეკურების“ მოყვარულები, გაოცეპულები ვიყავით მისი ნებისყოფით, ნიჭიერებითა და ერუდიციით, ვხუმრობდით: დანელიამ ჩინელებსაც კი აჯობაო...

ბატონ გიორგის, საოცარი გულისხმიერება ახასიათებდა პაციენტების, კოლეგების მიმართ, განურჩევლად მათი ცენზისა და თანამდებობისა, იყო უზომოდ თავმდაბალი, ჩუმი და მოკრძალებული პიროვნება, თუმცა სამეცნიერო დისკუსიებსა და პროფესიულ საუბრებში მუდამ გამოსჭვიოდა მისი ძლიერი „ეგო“.

ბატონი გიორგი დანელია იყო ადამიანი, რომელიც დააკლდება თავის თანამშრომლებს, მთელ სამეცნიერო საზოგადოებას, მეგობრებს. იგი იყო ევროაზიური ინტელექტუალი, ესთეტი, იმავდროულად ქართული კულტურის ნიადაგზე აღზრდილი მეცნიერი პატრიოტი.

ერთი რამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ გასული ათწლეულის შემდეგაც კი, ის კვლავ ჩვენთან არის...

ზურაბ ცაგარელი
საქ. მა ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული
მორფოლოგიის ინსტიტუტის ციტოლოგიის
განყოფილების გამგე, პროფესორი

არასდროს დაგვავიცყდები...

“ბიჭიკო გამოირჩეოდა განსაკუთრებული ხალისით. ადამიანური ურთიერთობების დამყარების ოსტატი იყო. ყოველთვის ამაღლებულისა და მშვენიერისკენმიილტვოდა. ნებისმიერ საზოგადოებაში შეეძლო საზემო განწყობის შექმნა. ბიჭიკოს შევადარებდი დაჭიმულ მშვილდს, საკმარისი იყო შეხებოდი ლარს და იგი ელვისებრ სწრაფად აიჭრებოდა მაღლა, მაღლა ცაში – ჩვენდა გასახარად” ...

ივერიელი
მედიც მეცნ. დოქტორი, პროფესორი



დაუვიცყარი საღამო

„ქ. ლენინგრადში, დისერტაციის დაცვის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, ბატონმა გიორგიმ, როგორც დისერტანტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და სუფრის თამადამ, თავის მოვალეობად ჩათვალა საინტერესოდ წარმართულიყო ეს საღამო... რუსი პოეტების ლექსების შემდეგ, ორიგინალიდან ზეპირად დეკლამირებდა მსოფლიო პოეზიის შედევრებს (გოეთე, შექსპირი, რილეკ, პიუგოდან და სხვ.). ბანკეტის ბოლოს კი მან სტუმრებს მათი პორტრეტების ნაჩქარევად ჩახატული ესკიზები გადასცა.

იმ საღამოს ბატონმა გიორგიმ მოხიბდლა სტუმრები თავისი მჭერ-მეტყველებით, მუსიცირებით, სიმღერით“.

დ. ხეროდინაშვილი
მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფესორი



გ. დანელია თავის დისერტანტ შ. ნაცვლიშვილთან ერთად ქ. პეტერბურგში

ბატონი გიორგი დანელია


ბატონი გიორგი დანელია ჩემი სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი იყო. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გახლდათ ლირსეული ოჯახიშვილი, უდიდესი პატრიოტი, დახვეწილი არისტოკრატი, უაღრესად გალანტური, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ერუდირებული, შრომისმოყვარე, ენერგიული, კეთილშობილი, ერთგული, მეგობრული, მოსიყვარულე, თავმდაბალი, იოლი ურთიერთობებში, ყოველთვის მზადმყოფი სწავლებისა და დახმარებისათვის...

კათედრაზე ერთწლიანი სამუშაო ადგილის დაკავების შემდეგ დამევალა, მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, პათოლოგანატომიური სამსახურის საოლქო ცენტრის ჩამოყალიბება, რაც, ალბათ დამეთანხმებით, ახალგაზრდა ექიმისთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გახლდათ. აღნიშნული საქმის განხორციელებაში მხარს მიჭერდა და მეხმარებოდა მთელი პათოლოგანატომიური საზოგადოება. ამ პერიოდიდან იწყება ჩემი, როგორც მოსწავლისა და მეგობრის განსაკუთრებული ურთიერთობა ბატონ გიორგი დანელიასთან. აღნიშნული საქმის შესრულებისას იგი ჩამოსული იყო ქ.ცხინვალში და გვერდით მედგა ცენტრის ანყობისას. კიდევ უფრო დიდი და საპასუხისმგებლო საქმის, კერძოდ, ქ. ქუთაისში პათოლოგანატომიური სამსახურის საკვლევი-დიაგნოსტიკური ცენტრის ორგანიზებასა და აწყობაში, როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო მიმართულებითაც არასდროს არ დამავიწყდება მისი უშურველი დახმარება. ბატონ გიორგის კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ამით რესპუბლიკისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმე კეთდებოდა ქ-ნი თამარ დეკანოსიდისა და მისი ერთობლივი ჩანაფიქრითა და მონდომებით. მთელი ცხოვრების მანძილზე ვარ მომსწრე ბატონი გიორგის საოცრად თბილი და მზრუნველი ურთიერთობისა მის თანამშრომლებთან, რაშიც ყოველთვის მულავნდებოდა მისი მაღალი კულტურა და დიდი ადამიანობა..

ბატონი გიორგის გამოჩენა ყოველთვის, ყველა თავყრილობაზე

გახლდათ ზეიმი სულიერი სიმაღლის, კულტურის, ერუდიციის, განათლების, კეთილშობილების და კაცომოყვარეობისა.

მაგული ჩხობაძე
ექიმი-პათანატომი,
მედიც. მეცნ. დოქტორი, პროფესორი



გიორგი დანელიას გახსენება

გიორგი დანელია დიდი მამულიშვილი, ენციკლოპედიური განათლების მქონე, ფართო სპექტრის მეცნიერი, უკეთილშობილესი პიროვნება გახლდათ, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული პათოლოგიური ანატომიის და საერთოდ, პათოლოგიური და ნორმალური მორფოლოგიის განვითარებაში. გიორგი დანელია ჩემი პედაგოგი იყო, პედაგოგი, რომელიც მუდმივ მონიტორინგს უწევდა ჩემ მიერ განვლილ გზას, თითოეულ ნაბიჯს, თითოეულ შრომას, დისერტაციას თუ სახელმძღვანელოს. ჩვენი ურთიერთობა ჩემი ასპირანტურის წლებიდან (1973-1975) დაიწყო და არ შეწყვეტილა ბატონი გიორგის გარდაცვალებამდე. ბატონი გიორგი, მიუხედავად თავისი უდიდესი გახათლებისა, ძალზედ თავმდაბალი პიროვნება გახლდათ. მას განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ურთიერთობა ჰქონდა თავის მოწაფებთან, ასპირანტებთან და მკვლევარებთან. ის ყოველთვის ცდილობდა ჩასწვდომოდა კვლევის ორგანიზაციის პრობლემებს, ცდილობდა და ხშირად უშუალოდ მისი ჩარევით წყვეტდა ისეთ საკითხებს, რომლებიც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მკვლევრის, როგორც სამსახურეობრივი, ასევე კვლევის პირობების შექმნისთვის. ბატონი გიორგი, ძალზედ ობიექტური, კეთილსინდისიერი, ზნეკეთილი დიდი მეცნიერი გახლდათ, რომელიც თავის მოწაფეებში ყოველთვის ნათლად ხედავდა მათ მომავალს, უნერგავდა მათ შრომის სიყვარულს. ის მთელი თავისი განვლილი გზის მაგალითზე გასწავლიდა, რომ მთავარია მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომა და ადამიანური ურთიერთობები, ზედმიწევნით ხარობდა, როდესაც მისი მოწაფე წარმატებას აღწევდა; ის სწორუპოვარი მოკამათე იყო — არასდროს დაგეთანხმებოდა თქვენ მიერ წარმოთქმულ აზრში, თუ მას არ ჰქონდა სათანადო მტკიცებულებები, ექსპერიმენტით ან ჰისტოლოგიური მასალით დადასტურებული ფაქტები. საინტერესო იყო, როდესაც რაიმეში ეჭვი ეპარებოდა, მოკრძალებით გთხოვდა, მოდი, ერთხელ კიდევ გავიმეოროთო და როცა დარწმუნდებოდა შენს სიმართლეში, ამბობდა, რაკარგია, რომ ეს საკითხი უფრო ღრმად შევისწავლეთო. ამით ბატონი გიორგი გვასწავლიდა, რომ სამეცნიერო კვლევის დროს სრულად უნდა განთავისუფლდე ემოციისგან, არ უნდა იყო წინასწარ ორიენტირებული მოსალოდნელ შედეგზე, შედეგი უნდა დადგეს, როგორც ობიექტური რეალობა.

ბატონმა გიორგიმ აღზარდა პათოლოგონატომთა, ჰისტოლოგთა, ციტოლოგთა და სხვა მრავალი დარგის მედიკოსების მთელი პლეადა და, რაც განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს, მან ჩამოაყალიბა პრაქტიკული მუშაობისა და კვლევის კლინიკურ-ანატომიური მიმართულებები.

საბედნიეროდ, ბევრი სხვა სასიკეთოც სამუდამოდ დაგვა-მახსოვრდა...

რამაზ ხეცურიანი

თსსუ ნორმალური ანატომიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი
აკადემიკოსი, მედ. მეცნ. დოქტორი



გიორგი დანელიას ფენომენი

ქართულ სამედიცინო სკოლას მუდამ ამშვენებდნენ ნიჭიერი, ფართო დიაპაზონის და ერუდიციის მქონე, მულტიდისციპლინარულად მოაზროვნე მეცნიერ-მედიკოსთა სახელები. ისინი იყვნენ ეპიქალური პიროვნებები, რომლებმაც დასავლეთის ქვეყნებისგან თოთქმის სრული იზოლაციის პირობებში, არა მარტო შეინარჩუნეს შემოქმედებითი ინდივიდუალობა, საკუთარი ხელწერა, არამედ ყოველთვის დასავლური, ევროპული ორიენტაციის მკვლევარები გახდნენ. მათ რიგებში ქართული პათოლოგოანატომიური სკოლის ერთერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჩვენს ქვეყანაში პერინატალური მორფოლოგიის ფუძემდებელს, მეცნიერს, მკვლევარსა დაპედაგოგს გიორგი დანელიას გამორჩეული ადგილი ეკავა.

ბატონი გიორგი, დიდებული ოჯახის შთამომავალი, ჩამოყალიბდა როგორც ჭეშმარიტი ფილოსოფიური მრნამსის შემოქმედი, უნიკალური ერუდიციის მქონე მეცნიერი, მკვლევარი მუდმივად ახლის ძიების ჟინითა და სწრაფვით შეპყრობილი, განსაკუთრებული პიროვნული ხიბლითა და მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი თვისებებით... წლების განმავლობაში ჩვენ ბატონ გიორგისთან ერთად ვთანამშრომლობდით თსსუ ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. იგი განუმეორებელი ოპონენტი და სამეცნიერო საბჭოს აქტიური წევრი გახლდათ. ბატონი გიორგი დაჯილდოვებული იყო მეტყველების მაღალი კულტურითა და ორატორული ნიჭით. ლათინური ფრთიანი სიტყვის თანახმად „გონიერი ადამიანი - მეტყველი ადამიანია“. ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება ბატონი გიორგის უნიკალურ პიროვნებას. მისი ყოველი საჯარო გამოსვლა სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში იყო ფეიერვერკი, სადაც აშკარად ჩანდა არა მხოლოდ მისი პროფესიული ერუდიცია, არამედ ზოგადი ფართო განათლებაც...

და ბოლოს, სახარება გვამცნობს: „ყოველი, რომელიც სიკეთეს იქმს, მასვე მიიღებს“. გიორგი დანელია უანგაროდ და თავდაუზოგავად ემსახურა თავის სამშობლოს. ოფიციალური სტრუქტურების მიერ წოდებული რეგალიების გარდა, მან მიიღო პატივი, აღიარება,

დიდი სიყვარული და არდავიწყება არა მხოლოდ სამედიცინო, არ-ამედ მთელი ქართველი საზოგადოებისგან. ასეთი ჯილდო კი მხ-ოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ნინო მანჯავიძე
თსსუ პროფესორი,
პედიატრიის დეპარტამენტის უფროსი



გ. ჯაშის ნახატი

დაგვაკლდება ყველას, ყველას, ყველას...

მინდა ერთხელ კიდევ გავიხსენო ზოგიერთი საინტერესო რამ ბატონ გიორგიზე. ყოველთვის მაოცებდა რამდენად ამოუწურავი იყო მისი მრავალმხრივი მეცნიერული ინტერესები. ხშირად, ერთიდან გვივე პერიოდში, იგი პარალელურად მუშაობდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პრობლემაზე, რაც უდავოდ მის ფართო სამედიცინო განათლებასა და მასშტაბურ აზროვნებაზე მეტყველებდა; ჰქონდა არაჩვეულებრივი მეცნიერული აღლო და კონკრეტულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, თავისი ორიგინალური მიგნებებით, ამ თუ იმ საკითხს სრულიად ახლებურად წარმოაჩენდა ხოლმე შესაბამისი დასკვნებით.

ასეთებს განეკუთვნება: 1. ნაყოფისა და ახალშობილთა პათოლოგიებიდან თავისა და ზურგის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა: ნათხემის კარვისა და დიდი ნამგლის დაზიანების პათოგენეზი; ნაყოფის სხვადასხვა სამშობიარო ტრაგმული დაზიანებები; განვითარების თანდაყოლილი მანკები; ენდოკრინული სისტემისა და ფილტვების დაავადებები; ნაყოფის ენდოკრინული სისტემის და პლაცენტის მორფოლოგიური ცვლილებების კორელაციური კავშირების დადგენა; ნაყოფის თირკმელზედა ჯირკვლის კომპენსატორულ-ადაპტაციური პროცესები და მისი მექანიზმები.

2. პლაცენტის პათომორფოლოგიური ცვლილებები დედის სხვა-დასხვა სომატური და ინფექციური დაავადებების დროს;

3. დედათა სიკეთების მიზეზებიდან სანაყოფო წყლებით მასიური ემბოლიისა და საძილე არტერიების შევიწროების მნიშვნელობის გამოვლენა;

4. ნაყოფის ძვლოვანი სისტემის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, ტვინის ქალას კონსტრუქციის ასაკობრივი ნორმები, მათზე დაყრდნობით ქალასარქველის ინდივიდუალური სტრუქტურული დევიაციის დადგენა და მათი მნიშვნელობის შესწავლა სამეანო თვალსაზრისით;

5. თრომბო-ჰემორაგული სინდრომის თეორიის მორფო-ლოგიური დასაბუთება, რაც საფუძვლად დაედო აღნიშნული სინდრომის პროფილატიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების შემუშავებას...

ბატონი გიორგი ბევრს ფიქრობდა ქვეყნის მომავალზე. ღრმად იცოდა საქართველოს ისტორია და პატივს სცემდა ძველ ტრადიც-

იებს, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა სიახლე; ჩემი აზრით, იგი თავისი მრნამსით და მსოფლმხედველობით წინ უსწრებდა ახლან-დელ თაობას და ძალიან პროგრესული პიროვნება გახლდათ. მის ხასიათში გამჯდარი იყო ქართული ვაჟკაცური ბუნება, რაინდული შემართება და მაღალი ზნეობრივი ნორმები.

ამავე დროს, თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ნამდვი-ლი ევროპელი იყო. ბატონ გიორგის შეეძლო ხშირ შემთხვევაში თვა-ლი დაეხუჭა ადამიანურ სისუსტეებზე, არასოდეს შეეხებოდა სხვის პირად ცხოვრებას და არასოდეს ნარმოაჩენდა ცუდი კუთხით მის მიერ შენიშნულ სხვათა ნაკლოვან მხარეებს.

რუსუდან ლორია

სს ჩაჩავას კლინიკის გენ. დირექტორის მოადგილე
პათომორფოლოგიის დარგში,
მედიცინის დოქტორი



გიორგი დანიელია

ზოგიერთი რამ პატონ გიორგი დანელიაზე

ბატონი გიორგისა და ჩემი სამეცნიერო თუ მეგობრული ურთიერთობის მრავალ წახნაგზე არაერთხელ მისაუბრია, დამიწერია. ყველა მოგონება მახსოვს და ჩემთან არის. ამჯერად კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი.

ჩემი სადოქტორო დისერტაცია ბატონი გიორგის კონსულტაციით შესრულდა.

სადოქტორო თემის შესარჩევად მრავალი საღამო გავატარეთ მსჯელობაში და ბოლოს მისი დაუინებული მოთხოვნით გადაწყდა, რომ შემესწავლა დედათა სიკვდილობის ურთულესი პრობლემა. მითხა, ეს საკითხი კაცობრიობას აწუხებს, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. წელიწადში 0,5 მილიონი პრაქტიკულად ჯანმრთელი ახალგაზრდა ორსული ქალი კვდება. ქალთა ეს რაოდენობა კატასტროფაში რომ დაღუპულიყო, ყოველ 4 საათში 250 ქალის სიკვდილს ერთი წელი დასჭირდებოდა; ერთი რეისის ავაკატასტროფაც კი ფეხზე დააყენებდა მსოფლიო საზოგადოებას, მაგრამ თითოეული ორსული და მშობიარე ქალის სიკვდილი, მიუხედავად პრობლემის მასშტაბურობისა, ნაკლებად იწვევს მსოფლიო საზოგადოების ფართო ინტერესს. ეს შემთხვევები კი რეალურად მხოლოდ გაუბედურებულ ოჯახებზე და დაობლებულ ბავშვებზე აისახება.

ბატონი გიორგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოწმობდა იმას, რომ დისერტაციის მიერ შესრულებული სამუშაოს რეზულტატებს გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა საყოველთაოდ არსებული პრობლემის გადაწყვეტაში....

ბატონ გიორგის შესანიშნავი მექსიერება ჰქონდა. ზეპირად იცოდა მსოფლიო პოეზიის მრავალი ნიმუში, ბიოლოგიისა და მედიცინის სხვადასხვა სფეროში თანამედროვე მიღწევები. ჰისტოლოგიური პრეპარატების მიხედვით უტყუარად სვამდა პათომორფოლოგიურ დიაგნოზებს, რასაც ათასობით მორფოლოგიური სურათის დამახსოვრება სჭირდება...

როგორც ყველა დარგში, განსაკუთრებით ხელოვნებასა და მეცნიერებაში, უცხო არ არის კოლეგებს შორის შური. ზოგი დამსახურებულად, ზოგი კი დაუმსახურებლად წარმატებას რომ მიაღწევს; ბევრჯერ შევსწრებივარ ზურგს უკან მათზე საუბარს. არ მახსოვს შემთხვევა, ბატონ გიორგის ვინძეზე ცუდი ეთქვას. ცხოვრება რთულია, მასაც შეხებიან უსამართლოდ, დაუმსახურებლად, მაგრამ არც მაშინ აპყვებოდა მათ, იმწამსვე გამართლებას მოუძებნიდა და მაინც

კარგს იტყოდა. მასში მხოლოდ სიყვარული სუფევდა...

გიორგი დანელია მაღალი სულიერი და ინტელექტუალური კულტურის მქონე, დიდად განათლებული, უნიჭიერესი პიროვნება იყო; სიცოცხლით სავსე, ემოციური, კეთილმოსურნე, ენერგიული, ულალატო.

მის გარშემო მუდამ ნიჭის ზეიმი იყო.

ბესარიონ კილასონია
თსსუ სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, მედ. მეცნ. დოქტ. პროფესორი



არაორდინარული პიროვნება

მე მქონდა ბედნიერება არაერთხელ მესაუბრა ბატონ გიორგისთან პროფესიულ თემებზე. მას ცალკეული პრობლემების ორიგინალური ხედვა ჰქონდა, არსებული მონაცემების განზოგადოების საოცარი უნარი, რაც მკაფლევარის დიდ ღირსებას წარმოადგენს.

მეტად ფართო იყო ბატონი გიორგის მეცნიერული ინტერესების სფერო. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პერინატალური პათოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლების კვლევაში. ამ მიმართულებით მიღებულმა შედეგებმა მას საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

ბატონი გიორგი არაორდინარული პიროვნება იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ბატონი გიორგის არაორდინარულობის შესახებ, მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი. 1977 წლის სექტემბერში ქ. ივანივოში ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის პათოლოგანატომთა მეექვსე ყრილობა. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ, საღამოს, სასტუმროს რესტორანში რუს კოლეგებთან ერთად ვახშმობის დროს ბატონმა გიორგიმ სიტყვაკაზმულობით, ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე საუბრით, მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიდან ნაწყვეტების ციტირებით მოხიბლა საზოგადოება. ერთ-ერთი რუსი კოლეგა შემეტითხა: **“Кто он такой, литературовед, искусствовед или оба вместе?”** ადვილი წარმოსადგენია მისი გაოცება ჩემი პასუხის შემდეგ...

მინდა დავესესხო დიდებულ მურმან ლებანიძეს: “ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! — გალაქტიონმა ბრძანა“.

თეიმურაზ ჯორბენაძე
კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული
ცენტრის დირექტორი, პროფესიონი

НЕЗАБЫВАЕМЫЙ ГЕОРГИЙ СЕРГЕЕВИЧ ДАНЕЛИЯ

Есть личности, память о которых, надолго остается в обществе людей. Одним из таких представителей является Георгий Сергеевич Данелия. Человек большой культуры, неимоверной интеллигентности, ученый, труды которого, всегда были актуальными, вносили большой вклад в медицинскую науку....

Будучи молодым врачом, я познакомился с ним в рабочей обстановке – Научно-исследовательском институте акушерства и гинекологии. С первых же минут, я почувствовал его коммуникабельность, простоту отношений его с сотрудниками института, и сразу же показало мне, что передо мной личность большого ума, высочайшей культуры, образования и интеллигентности.

Вам известно, что чем проще человек в отношении слюдьми – тем больше он как личность, и это соответствовало правилам Георгия Сергеевича.

После моего знакомства с Георгием Сергеевичем, в течение многих лет, проводя общую работу в клинике, я научился правильной интерпретации при введение больных, зная, что каждая больная, беременная, роженица и родительница требовала индивидуального подхода в методиках исследования, лечения или хирургического вмешательства.

Как правило, приходя к нему в лабораторию, при получении гистоморфологического диагноза, я всегда получал от него те основы патологоанатомической дисциплины, которые мне в будущем, давали широкие горизонты, позволяющие правильно интерпретировать научные или практические вопросы в моей специальности-акушер-гинеколога.


Обязан отметить, что эти встречи проходили в дружеской обстановке, несмотря на разницу наших возрастов и цензов. Можно сказать, что при этом, стиралась пространственная граница между большим ученым, а тогда еще и молодого врача...

Очень много можно вспомнить из жизни Георгия Сергеевича. Как можно не свидетельствовать, что кроме академичности в науке, он всегда оставался прекрасным собеседником по разным темам бесед, куда входили классическая и современная литература как отечественная, так и зарубежная, искусство во всех его видах, языкознание (прекрасно знающий немецкий, русский и конечно большой знаток родного грузинского), музыка и большой спорт. Душой всех дружеских компаний, ублажая всех своим темпераментом, и способностью, исполняя при этом с гитарой, многие известные произведения и романсы. Георгий Сергеевич, не представляя себя без занятий спортом, считая это каждодневным правилом, всегда был веселым

и радостным человеком.

Все, кто его знали, очень долго и часто будут вспоминать как эталон большого ученого, рафинированного интеллигента, широко образованного и культурного гражданина своей родины.

Александр Мачавариани
Акушер-гинеколог. Докт. мед. наук



თ. ეუბანეიშვილის ფოტო

გასახსენებელი ქალიან პევრი გვაძვს...

ბატონი გიორგი ჩემთვის ინტელექტითა და ინტელიგენტურობით, ვაჟვაცობით გამორჩეული ადამიანი, უდიდესი პროფესიონალი, მეცნიერი, მხატვარი, პოლიგლოტი, უფროსი მეგობარი გახლდათ. მე, ჯენეტა ნანიკაშვილმა, მისი, როგორც უშუალო ხელმძღვანელის დაქვემდებარების ქვეშ მუშაობა დავიწყე 1988 წლის მიწურულს. მანამდე კი ორი წლის მანძილზე, ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ორდინატორი გახლდით აკად. თ. დეკანონიძის კათედრის გამგედ ყოფნის დროს.

ყველასთვის მისაბაძი იყო ბატონი გიორგის შესაშური, ამოუნურავი შრომისუნარიანობა. მან ეს ჯერ კიდევ მისი სადოქტორო თემაზე მუშაობის დროს დაამტკიცა. სადოქტორო დისერტაცია ქ. მოსკოვში, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში დაიცვა. დაცვაზე, ნაშრომში დასმული საინტერესო, ორიგინალური და ნოვატორული პროლემების დასმისა და მათი გადაწყვეტის ავტორის მიერ შემოთავაზებულ მეთოდიკებზე მაღალი შეფასების გარდა, ოპონენტებისა და საბჭოს წევრების მიერ ერთხმად აღინიშნა თვით სადისერტაციო შრომის ბრწყინვალედ გაფორმებული და დაწერილი ტექსტის სტილი, მკაფიოდ გადმოცემული სამეცნიერო იდეები, გადმოცემის სიზუსტე და ლაკონიურობა. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ერთობლივად გამოთქვეს სურვილი: „Эта диссертация должна стать настольной книгой для каждого патоморфолога“. ამას ჰყვებოდნენ თბილისელი კოლეგები, რომლებიც ესწრებოდნენ ბატონი გიორგის დაცვას ქ. მოსკოვში, მათ შორის, თვით ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი აკადემიკოსი კონსტანტინე ჩაჩავა...

მისი ნაყოფიერი შრომა და უნივერტი პროფესიული საქმიანობა აისახა იმ 300-ზე მეტ, საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში, მისი უშუალო ავტორობითა და მის კოლეგებთან თუ აღზრდილ მოწაფეებთან თანაავტორობით. ბატონმა გიორგიმ მედიცინის სხვადასხვა დარგის მთელი თაობა აღზარდა: მისი უშუალო ხელმძღვანელობით 38-მდე საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია დაცული. ეს ხომ მთელი სკოლა! მაგონდება მის მიერ არაერთხელ გამეორებული ბერძნების ნათქვამი ფრაზა: „ახალგაზრდა დამწყები მეცნიერი ცარიელი ჭურჭელი კი არ არის რომ აავსო, არამედ ჩირალდანია, რომელიც უნდა აანთო“. იგი ცდილობდა, ახალგაზრდა, თემატიკაში არსობრივად გაეცნობიერებინა და დაეინტერესებინა,

რომლის დაუფლებასაც ხალისით უნდა მოკიდებოდა პრაქტიკული, საასპირანტო თუ სადისერტაციო მოღვაწეობისას, რაც შემდგომში

ბატონ გიორგის კონსულტაციისთვის სხვადასხვა პროფესილის ექიმები მიმართავდნენ, იგი ხომ ფართო მასშტაბის პროფესიონალი იყო, პათოლოგიური ანატომია კი მედიცინის სხვადასხვა დარგების შემკრები ფუნდამენტური საგანია. ექიმების გარდა, ბატონ გიორგის მუდამ თავს ეხვია ურიცხვი რაოდენობა დისერტაციებისა, ხარისხის მაძიებლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და არა მხოლოდ საქართველოდან. ამ განყოფილებაში განცლილი 25 წელი საკმარისი დროა იმისთვის, რომ განყოფილებაში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და სასექციო სამეცნიერო სამუშაოების დონე კვალიფიციურად შევაფასო, ზოგიერთი რამ გადავაფასო კიდეც და სწორი დასკვები გავაკეთო იმ უზარმაზარი განეული შრომის შესახებ, რაც ამ განყოფილებაში ტრადიციად ჩამოყალიბდა. ამ კოლოსალური შრომის დასტურად განყოფილებაში არსებული საარქივო მასალებიც კმარა, სადაც შენახულია ათი ათასობით შემოსული შემთხვევების აუტოფსიის – გაკვეთების დაწვრილებითი ანალიზები, რაც სწორი დიაგნოზის დასმის წინაპირობას წარმოადგენდა. ბატონ გიორგის ძალიან ჰუმანური, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა პაციენტებისა და მათი პატრონებისადმი. იგი ზედმინევნით ფრთხილად და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მის მიერ ყოველ ნათევამ სიტყვას. როდესაც მას ავადმყოფის პატრონისთვის უნდა ეცნობებინა მძიმე დიაგნოზის (სიმსივნის) შესახებ, ძალზე ნერვიულობდა, ადამიანურად განიცდიდა ამას და ისე შენიღბულად, ცხოვრებაში არსებული არგამართლებული დიაგნოზების მაგალითების მოყვანით, მაინც იმედს ჩაუსახავდა პატრონს და ისე გაუშვებდა ხოლმე...

ასეთი საოცარი ადამიანი, როგორიც ბატონი გიორგი დანელია იყო, მე ჩემი 48 წლიანი საექიმო მოღვაწეობის განმავლობაში არ შემხვედრია. საოცრად ღვთისმოშიში ადამიანი იყო, სწამდა და პატივს სცემდა განგებას, ამიტომ ბოროტებას არავის უსურვებდა და როცა თვითონ სხვისგან მიყენებულ ზიანს შეეჯახებოდა ხოლმე, ყოველთვის უზენაესის იმედი ჰქონდა.

ჯენეტა ნანიკაშვილი-კერვალიძე
რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი „უნივერსის“
დირექტორის მოადგილე,
პათომორფოლოგიური სამსახურის უფროსი ექიმი,
პათოლოგანატომი

ПАМЯТЬ О ДОСТОЙНОМ ЧЕЛОВЕКЕ

Трудно говорить о Георгии Сергеевиче Данелии в прошедшем времени. О человеке, так любившего жизнь и не просто жизнь, а активную, насыщенную событиями жизнь. Георгия Сергеевича трудно было представить без дела, он если не читал, то писал, а на утренних конференциях в институте рисовал портреты врачей, выступавших на трибунах. У меня где-то есть его рисунок с моим профилем в высоком врачебном колпаке (был у меня такой), рядом всадник на коне с копьем, летящим в небо.

Георгий Сергеевич был разносторонним человеком, ему удавалось все – был прекрасным гитаристом, играл на рояле, у него был свой круг музыкантов-друзей, с кем он часто общался. Он всегда был душой компании, заразительно смеялся, пел, танцевал и радовался жизни. Прекрасно рисовал (кстати, мой профиль на маленькой бумажке очень похож на оригинал), надо было видеть его рабочий журнал, где наряду с записями протоколов повседневной работы попадались зарисовки интересных случаев, его мыслей и предложений. Георгий Сергеевич был добрейшим человеком, он любил людей и общение с ними, с увлечением мог говорить с ними часами на интересующие их вопросы. Был галантным кавалером, все женщины в его присутствии подтягивались, старались выглядеть стройнее, он любил говорить им комплименты, от которых дамы таяли. А он сам всегда подтянутый в строгом костюме и галстуке и знаменитой шляпой. Слегка набекрень (что ему очень подходило), был воплощением интеллигентности, доброты и обаяния.

Георгий Сергеевич был очень спортивным человеком, всегда был в хорошей физической форме, ежедневно занимался гимнастикой и бегом. В последнее время дома на балконе выполнял бег на месте не менее часа и всем нам советовал делать то же самое, если не удастся побегать где-нибудь в парке.

Георгий Сергеевич был интеллектом, надо было слушать его выступления на научных съездах и конференциях, когда он с увлечением говорил о своих уникальных исследованиях по перинатальной морфологии, пересыпая свою речь немецкими, французскими и английскими словами. Этими языками он владел в совершенстве. Классиков зарубежной поэзии и литературы он читал в оригинале. Любил писать сонеты и стихи, словом, был всесторонне одаренным человеком.

Был родом из прекрасной семьи, его отец Георгий Данелия был известным учёным, философом в Грузии.


Акушерам, в их трудной и непредсказуемой практической работе, всегда можно было надеяться на высокий профессионализм и дружеское расположение Георгия Данелия. Он всегда, по мере возможности, становился на сторону врача, когда у последних случались неприятные ситуации в акушерство-гинекологической практике. Благодаря Георгию Сергеевичу мы узнали, что внезапная гибель новорожденного может произойти от таких труднодиагностирующих осложнений, как недостаточность функций вилочковой железы, разрыва мозжечкового намета и т.д. И эти диагнозы ставились в те трудные минуты для врача, когда его обвиняли в непрофессионализме и ошибках в ведении родов. Многие акушеры с благодарностью вспоминают помочь Георгия Данелия в казалось бы безвыходных ситуациях.

В последние дни жизни, уже тяжело больной Георгий Сергеевич, по словам его преданной и нежно любящей супруги Беллы, не хотел уходить из этого мира, где для него все было так интересно и увлекательно.

И очень грустно думать о том, что среди нас уже нет жизнерадостного, человеколюбивого, всегда готового прийти на помощь человека, который умел дружить, любить и доставлять радость окружающим. Пусть будет вечная память и царствие небесное достойному человеку, потомственному интеллигенту и выдающемуся ученому – академику медико-биологических наук, лауреату Государственной премии Грузии, кавалеру ордена почета, доктору медицинских наук, профессору Георгию Сергеевичу Данелия.

Мы, его сослуживцы и друзья гордимся, что жили и работали в одно время с ним.

И. Мамамтавришвили
Докт. Мед. наук., профессор



ჩემი ძვირფასი, დაუვიცყარი მასშავლებელი

მიმძიმს ჩემთვის საყვარელი და დაუვიწყარი ადამიანის, მეგობრის, მასნავლებლის მოგონება.

მტკიცნეულია შევეგუო იმას, რომ დღეს აღარ არის ჩვენს რიგებში ქართული პათოლოგიური ანატომიის სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გამოჩენილი მეცნიერი და არაჩვეულებრივი ადამიანი პროფესორი გიორგი დანელია.

ძალზედ რთულია წარსულ დროში ისაუბრო ადამიანზე, რომელიც ყოველთვის ცოცხლად გყავს წარმოდგენილი აქტიური როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში, თბილისის ნამდვილი კოლორიტი, ლამაზი, მუდამ გემოვნებით შემოსილი, მომღიმარი და სათხო.

ბიჭიკო ბიძია, ასე ვეძახდით მე და ჩემი და მაია მას, სანამ იგი ჩემი სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტი გახდებოდა, ხოლო შემდეგ კი, „ბატონი გიორგი“ – ასე მივმართავდი ხოლმე, რაზეც ყოველთვის ელიმებოდა. იგი გახლდათ მამაჩემის უახლოესი მეგობარი. მის ხელში გავიზარდე და მისი სიცოცხლის ბოლომდე მქონდა საქმიანი, მეგობრული და მამა-შვილური ურთიერთობა. ადვილად ვამყარებდი კონტაქტს ბავშვობაშიც და შემდეგაც, როცა მამა აღარ იყო ცოცხალი. მიყვარდა მასთან საუბარი არა მარტო სამეცნიერო, არამედ ცხოვრებისეულ და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. ბევრი საიდუმლო გამინდია მისთვის, როგორც უახლოესი ადამიანისთვის...

ბატონი გიორგი ბრძანდებოდა ქართული სამედიცინო ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. იგი იყო ექსტრაორდინარული პიროვნება ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, უაღრესად ნიჭიერი, მრავალმხრივ ერუდირებული და განსწავლული ადამიანი, დაუშრეტელი ენერგიის პატრონი, შრომისმოვარე და ამავე დროს კეთილი, მოსიყვარულე, გულისხმიერი, უბრალო, უპრეტენზიონ და თავმდაბალი.

მიძნელდება გამოვყო რომელიმე განსაკუთრებული ეპიზოდი და-კავშირებული ჩვენს ურთიერთობასთან, ვინაიდან ყველა მოგონება ერთნაირად ძვირფასია ჩემთვის... გავიხსენებ მხოლოდ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ეპიზოდს მამას და ბატონი ბიჭიკოს ცხოვრებიდან, რაც ჩემთვის მეგობრობის, გულშემატკივრობის, გვერდში დგომის, თავგანწირვის, სიკეთის და სიყვარულის მაგალითია. ეს მე მთელი

ცხოვრება მემახსოვრება. ვცდილობდი და ვცდილობ, მეც ისე მეცხოვრა, როგორც მამაჩემა და ბატონმა პიჭიკომ იცხოვრეს.

მამა მე-4 კურსის სტუდენტი იყო, როდესაც მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათანატომიის კათედრაზე. კათედრის გამგე და მისი მასწავლებელი გახლდათ აკად. ვლაძიმერ ჟლენტი, მრისახანე და მეტად მომთხოვნი პიროვნება, რომელიც ძალიან აფასებდა ლუარსაბის (მამაჩემის) ნიჭსა და შესაძლებლობებს; სისტემატიურად ავალებდა მას ახალ-ახალი შრომების დაწერას... და ერთ მშვენიერ დღესაც, 1949 წლის 31 დეკემბერს, მამას, ბატონი ვლ. ჟლენტის დავალებით მორიგი შრომა უნდა დაეწერა, დაემთავრებინა და ჩაებარებინა ახალ წლამდე.

ლუარსაბი სახლში მუშაობდა, თვალებჩალურჯებული და საბანმოხვეული იჯდა საწერ მაგიდასთან... სტუმრად მოსულ ბიჭიკოს უყითხავს: „ლულუ (ასე ეძახდენენ მამას მისი ახლობლები და მეგობრები), რა გჭირსო?“ რაზეც მამას უპასუხია: „მშიაო, სახლში მხოლოდ ერთი ტომარა სიმინდი გვაქვს, მაგრამ დღეს აუცილებლად შრომა უნდა ჩავაბარო ვლ. ჟლენტს და არ მცალია რომ დასაფქველად წისქვილში წავილოო“. ბიჭიკოს თურმე გული აუჩუყდა, არაფერი უთქვამს მისთვის. მოუკიდებია ზურგზე სიმინდის ტომარა და ჩვენი სახლიდან, რომელიც უნივერსიტეტის პირდაპირ მდებარეობს, ვარაზის ხევის ბოლოში, ცირკუთან არსებულ წისქვილში დასაფქველად ფეხით ჩაუტანია. გარკვეული დროის შემდეგ ისევ ფეხით, ზურგზე ტომარამოკიდებულს, მამასთვის სახლში მიუტანია დაფქვილი სიმინდი. გახარებულ ბებიაჩემს, სასწრაფოდ მჭადები გამოუცხვია და სამივე გემრიელად მიურთმევიათ. დანაყრების შემდეგ, მამას უთქვამს ბიჭიკოსთვის: „შენ გაიხარე ბიჭიკო, თვალებში მიპნელდებოდა და ეხლა გამოვიხედე, ამ ნაშრომშიაც დროულად დავამთავრებ და ჩავაბარებო.“ მამა ხშირად იხსენებდა ამ ისტორიას და გვეუბნებოდა, რომ მას შემდეგ მჭადი ბევრჯერ მიჭამია, მაგრამ ისეთი გემრიელი არასოდესო. ამ ისტორიის გახსენებაზე ყოველთვის ცრემლები მომდის, გული მტკივა და თან მეამაყება, რომ მიუხედავად გაჭირვებისა, შრომისთვის არასდროს უღალატნიათ...

კიდევ ერთი ამბის გახსენება მინდა. 2001 წელს შევისყიდე თბილისის 1 სამშობიარო სახლი, რომელიც მრავალპუროვილურ, 120 სანოლან კლინიკად გადავაკეთე. იმ დროისათვის საქართველოში იგი რიგით მეორე პრივატიზებული, კერძო კლინიკა გახლდათ და 2002 წელს, ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად საზეიმო ვითარებაში გავხსენით. ბატონი გიორ-

გი ძალიან გახარებული და ამაყი იყო ჩემი მიღწევებით და წარმატებით. საზეიმო გახსნაზე მითხრა: „ვაჟკაცებს არ უსახელებიათ ისე მამა, როგორც შენ ასახელე. მართალია, ლუარსაბი არ არის დღეს ჩვენთან ერთად, მაგრამ ის ყველაფერს ხედავს, ბედნიერია და „იქიდან“ გლოცავსო“. მე ბევრი მასწავლებელი და ხელმძღვანელი მყავდა, მაგრამ ასეთი სიტყვები არავის არასოდეს უთქვაშს ჩემთვის.

გიორგი დანელიას, ლირსეული მოქალაქის, ვაჟკაცი და გულისხმიერი ადამიანის ნათელი სახე მუდამ იარსებებს ჩვენს გულებში.

მანანა შარაშიძე
მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
2022 წ.



ლ. შარაშიძე, ნახატი გ. დანელიასი

კვალი ნათელი

გიორგი დანელია გამოჩენილი ქართველი მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური და სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ლირსების ორდენის კავალერი.

აღნიშნული რეგალიების მინიჭება განაპირობა იმან, რომ ბატონი გიორგი გახლდათ ძალზედ მაღალი დონის პროფესიონალი მედიცინის ისეთ რთულ დარგში, როგორიც პათოლოგიური ანატომიაა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი დანელია 64 წელი ხელმძღვანელობდა აკად. კოტე ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათომორფოლოგიურ განყოფილებას. ეს უკანასკნელი შემდგომში გადაკეთდა ბავშვთა და პერინატალური პათოლოგიისა და გინეკოლოგიის, ორსულ-თა და გინეკოლოგიურ დაავადებათა პათოლოგ-ანატომოგიურ განყოფილებად, რომელსაც იყი სიცოცხლის ბოლომდე წარმატებით ედგა სათავეში.

ბატონი გიორგი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტითა და ინტელიგენტურობით, ვაჟეკაციობით, მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარულით, კეთილსინდისიერებით, კაცომიყვარეობით, მეგობრობის განსაკუთრებული ნიჭით, უბრალოებითა და ბავშვური გულუბრყვილობით.

როგორც პოლიგლოტმა, მან ზეპირად იცოდა ყველა ფრთიანი გამოთქმა, სტროფი, ტაეპი ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ლათინურად, რუსულად. ეს ფრაზები მის მიერ უბრალოდ, ლამაზად და საინტერესოდ იყო ხშირად გამოყენებული საუბრისას.

ერთი საინტერესო ამბავი მიამბეს. როდესაც ბატონი გიორგი სადოქტორო დისერტაციას იცავდა 1972 წელს ქალაქ მოსკოვში, სსრკ სამედიცინო აკადემიის სააქტო დარბაზში, მისმა სამეცნიერო კონსულტანტმა ელენა ტერ-გრიგოროვამ აუდიტორიას აცნობა: „დღეს ჩვენ ჩვეულებრივი დისერტანტი არ გვყავს. იგი მრავალ ენაზე საუბრობს და რომელ ენაზეც გსურთ, შეგიძლიათ იმ ენაზე ეპაექროთ, გარდა ჩინური და იაპონური ენებისაო“. ეს განცხადება იქ დამსწრე პოლიგლოტი მეცნიერების საყურადღებოდ იყო გაკეთებული. ერთერთ მათგანს, როგორც ჩანს, პაექრობის სურვილი გაუჩნდა, სხვადასხვა ენაზე საკმაოდ რთული კითხვები დაუსვამს, რომლებზე-დაც დისერტანტმა სრულყოფილად გასცა პასუხი და დამსწრე საზო-

გადოების დიდი მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა.

სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის სალექციო აუდიტორიაში, თვეში ერთხელ იმართებოდა საქართველოს პათოლოგანატომთა საზოგადოების სხდომები, დისერტაცითა აპრობაციები, რომლებზეც პათოლოგანატომთა დასწრება სავალდებულო იყო. ბატონი გიორგი დანელიას გამოჩენა აღნიშნულ შეხვედრებზე დღესასწაული იყო ღვანლმოსილი და ახალგაზრდა კოლეგებისთვის. მისი გამოსვლა მუდამ საინტერესო და საკითხის ღრმა ცოდნის დამადასტურებელი გახლდათ. ბატონი გიორგი ყოველთვის ჯდებოდა აუდიტორიის პირველ რიგში, მარცხენა პირველ სკამთან, მოიმარჯვებდა სანერ კალამს, ფურცელს და იწყებდა ჩანანერების გაკეთებას. ძალიან ბევრი დისერტაციის ავტორეფერატზე სამუდამოდ დარჩა მისი ჩანანერები და ჩანახატები, დისერტაციის პორტრეტები, დისერტაციისთვის დასმული საინტერესო შეკითხვები.

გიორგი დანელია ფენომენალური ნიჭის მრავალმხრივი პიროვნება იყო. ბუნებით ხელოვანი ადამიანი საუკეთესოდ უკრავდა ფორტეპიანოსა და გიტარაზე, როგორც კლასიკურ მუსიკას, ასევე ჯაზური მუსიკის საკუთარ იმპროვიზაციებს. შესანიშნავად ხატავდა, მისი მუზა უხშირესად ულაყი ცხენები იყო. ერთხელ ჰკითხეს რატომ ხატავდა იგი ასე ხშირად ცხენებს. „რატომ? ნახეთ მათში რა დინამიკაა. რა მოძრაობაა, დაუცხრომლობა და ნინძნრაფვის სურვილი“...

ეს პატარა წერილი მინდა დავასრულო პროფესორ ზურაბ ძონენიძის სიტყვებით, რომლებსაც აბსოლუტურად ვიზიარებ: “შევეცადე ნანილობრივ ამესახა პროფესორ გიორგი დანელიას პირვენული სიდიადე. გადმომეცა მეცნიერის, ინტელექტუალის, მუსიკოსის, მეგობრის სახე. ჩვენ ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობა გვქონდა, ახლაც გვათბობს, გვანათებს, სულიერად გვამაღლებს, უკეთესებს გვხდის გიორგი დანელიას განუმეორებელი პიროვნება“.

სამარადისო ხსოვნა!

ქალბატონ ბელა გრიგოლაშვილს კი მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, მეუღლის სახელის სადიდებლად.

ილია თავზარაშვილი
მედიცინის დოქტორი

გახსენება

ყოველთვის სასიამოვნოდ მახსენდება ბატონ გიორგი (ბიჭიკო) დანელიასთან ურთიერთობა. იგი გახლდათ ძირძელი ქართველი, თბილისის კოლორიტი, ექსტრავაგანტური, მჭერმეტყველი, განსხვავებული ქცევითა და მანერებით, დიდი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. იგი, როგორც მაღალი დონის მეცნიერი თავის პროფესიაში, ცნობილი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში. ფლობდა რამოდენიმე ენას ბრწყინვალედ.

გიორგი დანელიას ხასიათის განსაკუთრებული საუკეთესო თვისება იყო ამბიციის სრული დათრგუნვა, სხვისი გამარჯვებებისა და წარმატებების გულწრფელი გაზიარება, ამხანაგებისა და კოლექტივის ინტერესების თავგამოდებული დაცვა...

ბატონი გიორგი, როგორც ხელმძღვანელი, იყო მზრუნველი და დაუზარელი. ჩემი სადისერტაციო შრომა ეხებოდა კუჭქვეშა ჯირკვლის მორფოლოგიას. ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად მან მოსკოვში გამაგზავნა პროფესორ იაგლოვთან, რომელმაც დიდი პატივით მიმიღო, ნაშრომი მოიწონა და თანამშრომლობის სურვილიც კი გამოთქვა. დიდი პატივისცემით მოიხსენია თვით ბატონი გიორგი დანელია...

ერთხელ, დისერტაციის დაცვის წინა პერიოდში, ოჯახში სამუშაოდ ვეწვიე. კარი მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ბელამ გამიღო. საოცრად ნაზი, თხელი და კარგი აღნავობის, სასიამოვნო გარეგნობის, სითბოთი და სისპეტაკით აღსავსე ქალბატონმა გამიღიმა და შინ მიმიპატიუა.

– ბიჭიკო, დისერტანტი მარინა ჯაფარიძე გენვია! მოულოდნელად ჩემს წინ მექსიკელი, სომბრეროს ქუდში და მექსიკურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცი გამოემართა, ხელში გიტარით. უცებვერ ვიცანი და გავიფიქრე, სხვაგან ხომ არ მოვხვდი—მეთქი. მაგრამ როცა მომიახლოვდა მომლიმარი სახით, ხელი გადამხვია და მომესალმა, დავრწმუნდი, რომ იგი ბიჭიკო დანელია იყო. შემიპატიუა თუ არა თავის სამუშაო ოთახში, სამუშაოს დაწყებამდე დამათვალიერებინა თავისი ნახატები, განსაკუთრებით უყვარდა ულაყი ცხენების ხატვა. შემდეგ გიტარაზე დაუკრა და იმღერა. სიამოვნებით ვუსმენდი მას და გაოცებული ვფიქრობდი, რაოდენ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული და პატივსაცემი ხელმძღვანელი მყავდა.

მასთან ურთიერთობის პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარი და ძალ-ზედ საამაყოა.

მარინე ჯაფარიძე,
მედიც. დოქტორი



განუმეორებელი გიორგი დანელია

გიორგი დანელია მეოცე საუკუნის გამორჩეულ ადამიანთა თაობას ეკუთვნის. ის იყო ქართული პათომორფოლოგიური სკოლის ლირსეული წარმომადგენელი, პერინატულური პათომორფოლოგის ფუძემდებელი. რამდენი კარგი რამ შეიძლება ითქვას ამ ადამიანზე.

ვიხსენებ სამეცნიერო საბჭოს სხდომებს მისი მონაწილეობით. როგორ საინტერესოდ იცოდა ბატონმა გიორგიმ საკითხის წარმოჩენა, მისი ცოდნა იმდენად ფუნდამენტური იყო, იმგვარად მოიცავდა მედიცინის ყველა სფეროს, რომ ვფიქრობდი: სად ეტევა ამხელა ინფორმაცია? მის გამოსვლებში ისმოდა ლათინური, გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული გამონათქვამები ორიგინალის ენებზე, როცა ის ამა თუ იმ უცხოურ ლიტერატურაში წარმოდგენილ მონაცემებს მოიხსენიებდა.


ამავე დროს არ შეიძლება არ გავიხსენო, რომ ის ჩუმად, თითქოს თავისთვის იჯდა საბჭოზე, უსმენდა და თან ხატავდა საბჭოს წევრების, მომხსენებლების პორტრეტებს, მეც ბევრჯერ დამხატა, სხვათაშორის ჩანახატები პროფესიულად გამოსდიოდა, რაც ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.



არ დაცულა დისერტაცია და არ შესრულებულა სამეცნიერო ნაშრომი, ბატონ გიორგის თავისი წვლილი რომ არ შეეტანოს მასში. ყოველთვის მზად იყო დახმარება გაეწია ახალგაზრდა ექიმებისათვის.

როდესაც ბატონი გიორგი და ქალბატონი ბელა ახალი შეულებულები იყვნენ, სოხუმში, სინოპში ისვეებდნენ და მე ისინი ჩემი მშობლების ოჯახში დავპატიუე. ეს საღამო მთელი ცხოვრება მახსოვს. ჩემს მეზობლებს ეგონათ, რომ სტუმრად პრიოფესიონალი მუსიკოსი მყავდა, ისე მოხდენილად მღეროდა და უკრავდა ფორტეპიანოზე...

მახსოვს, ინსტიტუტში საიუბილეო საღამო მოვუწყვეთ (მაშინ 70 წლის გახდა). ბატონმა გიორგიმ გიტარაზე დაუკრა, იმღერა, წაიკითხა ლექსები გერმანულ და ფრანგულ ენებზე და ისევ ვფიქრობდი, რამდენი შეიძლება ადამიანმა იცოდეს? არა, ბატონი გიორგი დანელია, განუმეორებელი იყო, გამორჩეული მედიკოსი, პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი, მრავალი ენის მცოდნე. ის იყო მოვლენა, ქართული ფენომენი – გიორგი დანელია.

დოდო სიგუა
„შპს ჩაჩავას კლინიკა“ მედ. მეცნ. დოქტორი







1268 №

1. ლუკართ

სამიერო მარიანი და გამარჯვენი
ასაკის მარიანი და გამარჯვენი

2) ვაკების ფოტ.

ზ/63.

26/8

3) ტელეფონ, ბიჭებული
+ 03747911.

ასაკის მარიანი და გამარჯვენი
მარიანი და გამარჯვენი - კამერას მონაცემი
მუსა არამონაშვილი ხარისხის მონაცემი აღიარებული
აქცენტი გადაცემი

1268 №

1. ლუკართ 1268 №
2. ლუკართ ლუკართ ზე ლუკართ
3. ლუკართ ზე ლუკართ ლუკართ

უ. ლიც. ლისტის 1 რაბ. აღ.

Подписано к

печати 27. II. 89.

3. ლუკართ ლუკართ ლუკართ ლუკართ

БЕСПЛАТНО

ლუკართ ლუკართ

Тираж 100

Заказ № 2200

УЗ 04492

27. II. 89.

ТВИЛИСКАЯ КНИЖНАЯ ФАБРИКА ИМ. ИЧАВЧАВАДЗЕ

ГОСКОМИЗДАТА ГССР

ДРОГИЕ ПРИЧИНЫ № 7

5. ლუკართ ლუკართ ლუკართ ლუკართ

ლუკართ ლუკართ (ლუკართ)

ლუკართ ლუკართ (ლუკართ)

6. ლუკართ ლუკართ ლუკართ ლუკართ

მუსიკალური ტალანტის ახლებური გამოპრემიინება

კლასიკური მუსიკის კვალიფიციურ და გამოცდილ პედაგოგებს, სოლისტებს ყოველთვის გვაინტერესებდა მოყვარული შემსრულებლების გაცნობა.

საქართველოს სახალხო მხატვარმა, ნიკოლოზ მეტონიძემ გიორგი (ბიჭიკო) დანელია 80-იან წლებში გამაცნო. ბატონი კოლია შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე, ყოველი მისი ფრაზა საოცარი მელოდიურობით, ხოლო ბგერა არაჩეულებრივი ულერადობით გვატყვევებდა.

ბატონ ბიჭიკოსთან დაახლოების შემდეგ გავიგე, რომ მუსიკი-სადმი სიყვარული, და რაც მთავარია, ნიჭი მამისგან გამოჰყოლია. მისი მამა, სერგი დანელია, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დარგში დიდი მეცნიერი, თურმე კარგად უკრავდა გიტარაზე, მღეროდა როგორც კლასიკურ, ასევე ხალხურ სიმღერებსაც.

ბატონ ბიჭიკოს მუსიკის სწავლა ვიოლინზე დაკვრით დაუწყია. მართალია, იგი ახალგაზრდობიდან უკრავდა ფორტეპიანზე, გიტარაზე, აკორდეონზე, მაგრამ თავისი მუსიკალური ნიჭის სრული რეალიზება გიტარას დაუკავშირა. ხშირად იხსენებდა გამოჩენილი ესპანელი გიტარისტის ანდრეს სეგოვიას სიტყვებს: „მუსიკა წააგავს ოკეანეს, ხოლო მუსიკალური ინსტრუმენტები შიგ მიმობნეულ კუნძულებს. ჩემი კუნძული გიტარაა“. ამ სიტყვებით შთაგონებულმა ბიჭიკომ თავის კუნძულად ექვსსიმიანი გიტარა მიიჩნია.

ჩვენი გაცნობისას, მისი რეპერტუარი საკმაოდ ფართო და საინტერესო იყო. ის მოიცავდა რუსულ და ქართულ რომანსებს, ქართულ და ინგლისურ სიმღერებს, პოპულარული კინოფილმიდან „მზიური ველის სერენადა“, დიდი გემოვნებით შედგენილ პოპულრებს ქართული თუ უცხოური მელოდიებისგან, საკუთარ კომპოზიციებს. მართალია, იგი მოყვარული შემსრულებელი იყო, მაგრამ მაქსიმალურად დახვეწილი იყო მისი დაკვრის მანერა. სხვა მოყვარული გიტარისტებისგან განსხვავებით, ბატონი ბიჭიკოს შესრულების სტილი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი გიტარას იყენებდა არა როგორც მხოლოდ თანმხლებ საკრავს (არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აკომპანემენტით), არამედ გიტარას წამყვან ფუნქციას აკისრებდა, სოლირებდა, თვითონა მიჰყავდა მელოდიური ხაზიც და აკომპანემენტიც, თვითონვე მღეროდა, რაც საკმაოდ დიდ ეფექტს ახდენდა.

ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ადრეული ყმაწვილკაცობის შემ-

დეგ, ბატონი ბიჭიკო არასოდეს არ იყენებდა საფაბრიკო, სერიული წარმოების ინსტრუმენტებს. ხშირ შემთხვევებში მისი გიტარები ცნობილი თბილისელი ოსტატის, ვ. პოკლეპას მიერ იყო დამზადებული, მეც მიჩუქებია მისთვის ჩემ მიერ გაკეთებული გიტარა.

ერთ-ერთი ჩვენი შეხვედრისას ბიჭიკომ გამიმხილა, რომ გიტარაზე კლასიკური რეპერტუარიდან ნაწარმოებების შესწავლა გადაწყვიტა და დახმარება მთხოვა. ამ გადაწყვილებამ ძალიან გამაოცა: ვიცოდი, რომ ბიჭიკო თავის რთულ პროფესიაში მთლიანად, არსებითად იყო ჩართული, წიგნის გარეშე ხომ არცერთი დღე არ არსებობდა მისთვის, თან ხატავდა, მუზიცირებდა. ყოველ დილით, როგორც წესი, სპორტს უთმობდა, ვარჯიშობდა, დარბოდა.

გავითვალისწინე რა მისი დაკავებულობა, მისი ასაკი ახალი საქმის წამოწყებისთვის, მე, როგორც პედაგოგმა, ნათლად დავინახე მთელი რიგი სირთულეებისა: დროის დეფიციტი, სკურპულოზური, ყოველდღიური ხანგრძლივი მეცადინეობის აუცილებლობა, ნებისყოფის სრული მობილიზება და ამდენად, ცოტა სკეპტიკურად შევხედე ამ წამოწყებას.

მაგრამ ყველაზე დიდი სირთულე ჩემთვის იცით რა იყო? ბიჭიკო რა სტილშიც უკრავდა, იქ შესრულების მწვერვალებს იყო დაუფლებული. გიტარაზე კლასიკური რეპერტუარის შესწავლა კი ზულიდან უნდა დაეწყო, მე ამ ინსტრუმენტაზე შეხების სხვა კულტურასთან უნდა მეზიარებინა იგი. ვალდებულად ჩავთვალე თავი, ყოველივე ამის შესახებ გამეფრთხილებინა. მან კი, არ ვიცი, ჩემ, თუ თავისი თავის გასამხნევებლად მამამისის, სერგი დანელიას ერთ-ერთი წერილიდან ასეთი სიტყვები გაიხსენა: „მე დიდად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ არაა ისეთი სიმაღლე (სულ ერთია, კულტურის რა სფეროშიც უნდა აიღოთ), რომელსაც ქართველი მისთვის მიუწვდომლად ჩათვლიდათ“. „მე, როგორც ქართველს, არა მაქვს უფლება ეს ვარაუდი არ გავამართლოთ“, დაამატა ბიჭიკომ თავისი გადაწყვეტილების დამადასტურებელ არგუმენტად.

დავიწყე მასთან ნოტური სისტემით მეცადინეობა. მივაყარენოტები, გამები, არპეჯიოები, ლეგატოს შესრულების ტექნიკა და კიდევ სხვა მრავალი ინსტრუმენტული ხერხები, რაც მის თითებს შეჰმატებდნენ მაქსიმალურ დამოუკიდებლობას, ძალასა და რწმენას.

ნაწარმოების შესრულებაში ხომ ერთნაირად იღებს მონაწილეობას გიტარა, ხელები და სული. მაიმედებდა მისი ოპტიმიზმი და ურ-

ყევი რწმენა თავის შესაძლებლობებში.

გავიდა რამდენიმე თვე და მან ორივესთვის, ჩემთვისაც და თავისთვისაც, ფრიად სასურველ შედეგს მიაღწია. ჩემი აზრით, მან შეუძლებელი შეძლო. მისმა მუსიკალურმა ნიჭმა ახალი რაკურსით გაიბრნებინა.

მე მეამაყებოდა, რომ ბიჭიკომ თავისი ისედაც მდიდარი რეპერტუარი სერიოზული და რთული კლასიკური ნაწარმოებებით გაამდიდრა. დაუზოგავმა ყოველდღიურმა ვარჯიშმა შედეგი გამოილო. მისი მუშაობის კრედიტი, ყველა სფეროში სრულყოფილებისკენ სწრაფვა იყო. იგი თითქმის პროფესიულ დონეზე ასრულებდა ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა: „ანიდოს” „არგენტინული ხალხური მელოდია”, ალბენისის „ლეგენდა”, ჯულიანის „ეტიუდი”, ვილა-ლობის „პრელუდი”, ლაურის „კრეოლის ვალსი”, ტარეგას „მოგონებები ალპამბრაზე“ და სხვ. სწორედ ამ დროს დავასაჩუქრე ბიჭიკო ჩემი გაკეთებული გიტარით, რომელიც ძალიან შეიყვარა და სიცოცხლის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია.

ბიჭიკომ თავის ახლო მეგობრებს, ექიმ-ანატომ ლადო აბაშიძეს, მოყვარულ გიტარისტ-შემსრულებლებს, საქართველოს დამსახურებულ მხატვრებს ნიკოლოზ მეტონიძეს და თეიმურაზ ყუბანეიშვილს, სიურპრიზი მოუმზადა და კლასიკური გიტარის რეპერტუარი მხოლოდ მას შემდეგ მოასმენინა, როცა თითქმის პროფესიულ დონეს მიაღწია. ქალბატონმა ბელამ გაიხსენა, რომ ბატონმა კოლიამ, აღელვებულმა და ცრემლმორეულმა, უთხრა: „ბიჭიკ, შენს ნიჭში არასდროს მეპარებოდა ეჭვი, მაგრამ შენმა დაკვრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო”...

ბიჭიკოს ირგვლივ მუდამ გამორჩეული ადამიანები იკრიბებოდნენ და ყოველთვის მემახსოვრება მათთან საინტერესო საუბრები და სასიამოვნოდ გატარებული დღეები.

თენგიზ გამიდაძე
ფილარმონიის სოლისტი,
ინსტრუმენტალისტი, გიტარისტი




ფოტო ჯ. ელიაშვილის

„მუსიკის ჰანგები“

მამაჩემი, თეომურაზ ყუბანეიშვილი და გიორგი (ბიჭიკო) დანელია სიყრმის მეგობრები იყვნენ. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: ორი შემოქმედი, ესთეტი და ატლეტი, მეცნიერული სიღრმისეული ხედვა, ერთნაირად შეჰყორბილი ხელოვნების სიყვარულით. განსხვავებული მხოლოდ ტემპერამენტი და პროფესია ჰქონდათ. მხატვარი და პათოლოგანატომი. მეგობრობის საფუძველთა-საფუძველი კი ერთ-მანეთის პატივისცემა და ალიარება იყო.

ТЕЙМУРАЗУ

Ты мужчина элегантный
Сластолюб, но не развратный,
Ты красив собой, силён,
Как художник превосходен,
И от комплексов свободен.
Любишь дело и гитару,
А последнюю на пару,
С другом добрым и лихим,
Гитаристом не плохим.



Г. Данелия

ნახატი გ. დანელიასი

ძნელბედობის უამი, რომელიც ჩვენს ოჯახს ედგა 70-ანი წლების დასაწყისში, შეიძლება ითქვას, რომ ბიჭიკო დანელიამ გადაგვატანინა. იმ წლებში იგი საცხოვრებლად ჩვენს მეზობლად გადმოვიდა ლევან ცომაიას ბინაში (მხატვართა სახლში).

მინდა გავიხსენო დაუვინყარი საღამოები. ბიჭიკო ფაქტიურად ჩვენი ოჯახის წევრი გახდა. სამსახურიდან ჩვენთან მოდიოდა. გვიან ლამემდე ისმოდა სამზარეულოს ფანჯრებიდან გიტარისა და სიმღერის ხმა. ბიჭიკომ დაგვიბრუნა „მუსიკის ჰანგები“ და სიცოცხლის ხალისი.

დედაჩემი, ნიცა დვალი, მუსიკის მასწავლებელი იყო. „ნიცა ჩვენი უჩიტელნიცა“ - ასე მონათლა ბიჭიკომ იგი. დედა სრულყოფილად ფლობდა სანოტო სისტემას და ფორტეპიანოზე ნებისმიერი სირთულის ნაწარმოების ფურცლიდან დაკვრა თავისუფლად შეეძლო. მე კი

– „საგანგებო“ მისია მქონდა დაკისრებული: შუალამის შემდეგ, ბიჭიკოს ფეხქვეშ ჩუმად შემეცურებინა ხალიჩა ისე, რომ თვითონ ვერაფერს მიშვდარიყო. მეზობლები ჩიოდნენ, რაოდენ შემაწუხებელი იყო მათვის ბიჭიკოს მიერ რითმს აყოლილი ფეხის განუწყვეტელი ბაკუნი...

რაც შეეხება დუეტს, ბიჭიკო უფრო სოლისტი იყო, თანაც პროფესიონალი. როცა ისინი მუსიცირებდნენ, ხშირად ისმოდა: „**подожди Бичико**“, მაგრამ აქაც მეგობრობა იმარჯვებდა. ჰარმონიას ურთიერთობაშიც ხომ აბსოლუტური სმენა ესაჭიროება! მათ ეს ნიჭიც მომადლებული ჰქონდათ.

მათი დუეტი ერთგვარი ოაზისი გახდა, რომლის გარშემოცდაირაზმა ბევრი გამოჩენილი გიტარისტი და მუსიკის მოტრფიალე: ოთარ რამიშვილი, კოლია მეტონიძე, თენგიზ გამიდაძე, ლევან ცომაია, ნოდარ ქუთათელაძე, ზურაბ ლეუავა, გოგი ცაგარეიშვილი, ვაჟოკლეპა, ნოდარ ოდიკაძე და მრავალი სხვა.

გაჩინდა იდეა დაარსებულიყო გიტარისტთა კლუბი, რომლის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს თემო, როგორც მასპინძელი. ამასთან დაკავშირებით მამა ხუმრობდა:

„მე საუკეთესო გიტარისტი ვარ მხატვრებს შორის და საუკეთესო მხატვარი გიტარისტებს შორისონ“. მან საჭირო ინსტრუმენტებითა და ტექნიკით აღჭურვა თავისი სახელოსნო, სადაც კლუბს უნდა ეფუნქციონირა. სამწუხაოდ ეს იდეა არ განხორციელდა...

ბიჭიკოს დასახასიათებლად ეპითეტები არ იღევა: ინტელიგენტი, ერუდიტი, ქარიზმატული, იუმორით სავსე, ეპიკურიელი, მეცნიერი, ექიმი, მხატვარი, პოეტი, პოლიგლოტი... თავადაც



ბელა გრიგოლაშვილი

პოეტს, სულ თან დაპქონდა ზეპირად (მისივე სიტყვებია) „მსოფლიო შედევრთა სრული ანთოლოგია, რაც არც თუ მონაგონია“.

ის იყო ნამდვილი ფეიერვერკი – ხალასი ენერგია, უშურველი და კეთილშობილი.

ნამდვილი სიკეთე და სიყვარული არ ქრება. მოგონებათა ეს წიგნიც ხომ ამის დასტურია.

ნამდვილმა „სიყვარულის ჰანგმა“, რომელიც ბელას სახით მოევლინა ბიჭიკოს, გაათბო და გაალამაზა მისი ცხოვრება.

დღეს ბელა ჩემი მეგობარია.

ნათელი სულები კი სამანს გალმიდან გვინათებენ და გვათბობენ...

პიროვნება

ვუძღვნი ვიორგი სერგის ძე დანელიას

მედიცინის დოქტორია,
ხასიათით ერთობ კარგით,
ყველაფერში ძლიერია,
ხელოვნების ყველა განხრით.
ლირსეული მემკვიდრეა,
გამოჭრილი მამის თარგით.
ზნეობრივი ესთეტია,
ფიცხი კოლხი შუბლზე ძარღვით.

მხატვარი
ლენა ყუბანეიშვილი
2022წ

პიროვნება და ეპოქა (ვპეჭდავთ შემოკლებით)

ბატონმა ბიჭიკომ, თუმცა XXI საუკუნეშიც 12 წელი სრულფასოვანი ცხოვრებით იღვანა, იგი მაინც XX საუკუნის კუთვნილებაა, იმ საუკუნის გამორჩეულ ქართველთა დასის ერთერთი ბრნყინვალე წარმომადგენელია.

გასული საუკუნე, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა საუკუნე, ქართველი ერისათვის არ იყო მარტივი, უფრო მეტიც, იყო ძალიან მძიმე და ტრაგიკული. საუკუნის შემადგენელი ათწლეულებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სასიხარულო თუ სამწუხარო მოვლენებით და ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში მდგომი ადამიანებით. სწორედ ადამიანები ქმნიან თავისი ცხოვრებით, არსებობით, საქმიანობით, ღვანლით თავისი ათწლეულის ფერადოვნებას, უდერადობას, სულისკვეთებას, რაც ქმნის განუმეორებელ ფრაგმენტს საუკუნის დიდ მოზაკურ სურათში.

იმ საუკუნის გამორჩეული ათწლეული, პირველ რიგში თავისი ადამიანებით, ჩემი, ალბათ სუბიექტური, აზრით 50-იანი წლები იყო. ამ ათწლეულში ორმოციანი წლების მინურულიდან გადმოაბიჯა ახალგაზრდა თაობამ, რომელმაც შექმნა ორმოცდაათიანი წლების საქართველოს განუმეორებელი სახე, ამ ათწლეულის აღმავალი ქართული სული. მე ვერ ვიხსენებ სხვა ასეთ ათწლეულს, რომელსაც ამდენი გამორჩეული ახალგაზრდა მწერალი, პოეტი, მხატვარი, მოქანდაკე, მეცნიერი, მსახიობი, მუსიკოსი, მოცეკვავე, სპორტსმენი თუ უბრალოდ პოპულარული ადამიანი გამოეყვანოს საქვეყნო ასპარეზზე.

ამ თანავარსკვლავედში ბატონ ბიჭიკო დანელიას თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ტელევიზია, სახელმწიფო გაზეთებისა და უურნალების მწირი რაოდენობა მხოლოდ ოფიციოზის მიერ ცენზურაგამოვლილ ინფორმაციას აქვეყნებდა. ამდენად, არ არსებობდა რაიმე ხელოვნური საშუალება, რომელიც ადამიანს აქცევდა ცნობად სახედ, ქვეყნის პოპულარულ პიროვნებად (გარდა ხელოვნების მუშაკებისა და სპორტსმენებისა) და მხოლოდ არაორდინალური, გამორჩეული ადამიანები იმკვიდრებდნენ ადგილს იმ საზოგადოებაში, რომელიც აერთიანებდა ქვეყნის და მისი ქალაქების პოპულარულ სახეებს, ლეგენდებს, სიამაყეებს, მშვენებებს.

ასეთი პიროვნება იყო ჩემი თაობის ახალგაზრდობისათვის ბიჭიკუ დანელია. მის ქარიზმატულობას განაპირობებდა ყველა ის გამორჩეული პიროვნული ღირსება, რაც ღმერთმა ასე უხვად დააბერტყა მას. იგი იყო უნაკლო გარეგნობის ვაჟკაცი, ოქროსფერ-ქოჩინი, ცისფერთვალება, მაღალი, ტანწერწეტა, მხარბეჭიანი, სხარტი მოძრაობებით, ყოველთვის უაღრესად დიდი გემოვნებით, ხაზგასმულად ევროპულად, ელეგანტურად ჩაცმული; ბრწყინვალედ უკრავდა გიტარაზე, ფორტეპიანოზე, ხატავდა პროფესიონალურად, თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას.

რამდენად რომანტულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს წარსული, როგორც ყოველ სხვა დროს, მასაც თავისი შუქჩრდილები ახლდა. იმდროინდელ თბილისში ჯუნგლის კანონი აქტიურად მოქმედებდა (დღეს ეს „ქუჩის აკადემიად“ იწოდება), გამორჩეულობას ქუჩა ასე უბრალოდ არავის აპატიებდა, ეცდებოდა ასეთი კაცი გადაეთელა, დაემცირებინა, ყველასთვის დაენახვებინა, რომ მიუხედავად უამრავი ღირსებისა, ადვილად გადასათელი, დასამცირებელი ადამიანი ხარ. ბიჭიკუ დანელიამ თავისი სიდიადით, რაინდული შემართებით თავად გადათელა ეს ჯუნგლები თავისი ბინადრებით და მისი მუშტის ძალა და სისხარტე იმდროინდელი ქუჩის მრავალმა მეტრმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა და შეაფასა.

ამდენად ბატონი ბიჭიკუ ჩემი თაობისათვის იყო ვაჟკაცური სრულყოფილების, რაინდობის იდეალი. მისი გამოჩენა რუსთაველის პროსპექტზე ყოველთვის იწვევდა ახალგაზრდობის (განსაკუთრებით გოგონების) ცოცხალ ინტერესს, ბევრი ცდილობდა მის მიბაძვას. ალბათ, ასეთი მისაბაძი პიროვნება სხვა ათწლეულების ახალგაზრდებსაც რომ ჰყოლოდათ, შეიძლება გაცილებით უკეთესი თაობები გვყოლოდა.

მოგვიანებით, ჩემდა საბედნიეროდ, ბედმა ნათესაური ურთიერთობით დამაკავშირა ბიჭიკუ დანელიასთან, როცა იგი დაქორწინდა ჩემს ახლობელ, ჩემი თაობის ერთერთ გამორჩეულ ქალბატონზე, ბელა გრიგოლაშვილზე. ბიჭიკოსთან მეგობრულ ურთიერთობაში მე აღმოვაჩინე უამრავი ახალი წახნაგი მისი ადამიანური ღირსებისა, ინტელექტუალური ბრწყინვალებისა. შორიდან ბატონი ბიჭიკუ ჩანდა მკაცრი, პირქუში, ამაყი. ახლოდან კი იგი აღმოჩნდა ძალიან გულთბილი, მოყვარული, მხიარული, უბრალოებით გამორჩეული ადამიანი, რომელიც არასდროს არავის არ აგრძნობინებდა თავის უპირატესობას, ბავშვურად გულუბრიყვილო, მიმნდობი.

ბატონი ბიჭიკო, ალბათ მუსიკოსად იყო დაბადებული. ყოველი შესაძლებლობისას იგი ან ფორტეპიანოს მიუჯდებოდა ან გიტარას აიღებდა და უკრავდა სრული თავდავიწყებით, გატაცებით, დაუღლელად. ამასთანავე იყო ჭეშმარიტი პოლიგლოტი, შესანიშნავად იცნობდა ევროპულ კლასიკურ ლიტერატურას, განსაკუთრებით უყვარდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური ლიტერატურა, საუბარში ზეპირად მოიხმობდა ვრცელ ციტატებს ორიგინალის ენაზე ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით.



მიუხედავად ასე მკაფიოდ გამოხატული ტალანტისა მუსიკაში, დიდი სიყვარულისა ხელოვნებისადმი, ლიტერატურისადმი ბატონმა ბიჭიკომ საქმიანი ცხოვრება მიუძღვნა მეცნიერებას, კერძოდ მედიცინას. მან აქაც სრულად გამოავლინა ტალანტი, მეცნიერული ანალიზის და სიღრმისეული წვდომის უნარი, დააარსა ახალი მეცნიერული მიმართულება ქართულ პათანატომიაში, შექმნა შესაბამისი მეცნიერული სკოლა, აღზარდა მრავალი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. თავად პროფესორმა, მეცნიერებათა დოქტორმა დიდი ღვაწლი გაიღო სამედიცინო მეცნიერებისათვის. და მაინც, ჩემი რწმენით, გიორგი დანელიამ, ამ დიდმა ადამიანმა, ვერ შეძლო, ალბათ იმ უკეთური ეპოქის გამო, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება, გადაელახა საზღვრები და საერთაშორისო აღიარება მოეპოვებინა თავისი უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალით, უსაზღვრო ნიჭიერებით. ის ამას იმსახურებდა.

გმადლობთ, ბატონო ბიჭიკო, რომ იყავით ასეთი კეთილშობილი, ნათელი, ნამდვილი კაცი.

ზურაბ ძონენიძე
ქიმიურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი

მადლიერება!

ჩემთვის დიდი პატივი იყო ბატონი გიორგი (ბიჭიკო) დანელიას ხელმძღვანელობით მუშაობა. არ არის იოლი მის მიმართ მადლიერების სიტყვის და დიდი პატივისცემის გამოხატვა, რადგან მე, და არა მხოლოდ მე, დავალებულები ვართ აზროვნების და საზოგადოების შეგრძნების იმ ფასეულობების ჩამოყალიბებით, რასაც სხვისადმი განსაკუთრებული პატივისცემა, კაცთმოყვარეობა, კეთილგანწყობა, მტრობის და შურის დაგმობა ჰქვია. შინაგანად, მისი თავისიუფალი ხასიათიდან და ხედვიდან გამომდინარე, მუდმივად და ყოველდღიურად გვმოძღვრავდა დარიგებებით.

დიდი პასუხისმგებლობაა მისი გამორჩეული, სრულიად განსხვავებული პიროვნების, რთული პორტრეტის სრულყოფილად შეფასება. ბატონი გიორგიმიერულებოდა იმ მეცნიერთა კატეგორიას, რომლებიც მუდმივად არღვევდნენ დაკანონებულ სტერეოტიპებს: ცხოვრობდა ჩვენთანაც და იმავდროულად სხვა სამყაროშიც, არ უსწორებდა თვალს რეალობას, არ არსებობდა მისთვის ჩარჩოები, ხედავდა და ქმნიდა განსხვავებულად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენციკლოპედიური განათლების მქონე მოაზროვნე, მედიკოსი, ხელოვანი, ლინგვისტი, მუსიკოსი მეტად დაუმორჩილებელი და ჯიუტი იყო. მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე ვერავინ შეძლო გიორგი დანელიას გადაკეთება. არ არსებობდა ისეთი კოლეგა თუ ხელისუფალი, ვინც გაბედავდა მასთან პაექრობას. ან კი ვინ შეძლებდა ამას, როდესაც გიორგი დანელიას შეეძლო მსოფლიო შედევრებიდან საჭირო „ფრაზების“ ზეპირად ციტირება, მათი ორიგინალში წარმოთქმა, რაც ძალიან საამაყო და დიდი ინტელექტის მაჩვენებელიც იყო.

დუმილით პასუხობდა მისთვის მიუღებელ, უსამართლო გადაწყვეტილებებს. ჩვენს გაკვირვებულ ვიშვიშს კი პასუხობდა მშვიდად – „ეს მათი პრობლემაა, ჩვენ არ გვეხება“, დაიმახსოვრეთ „დუმილი ოქროა“, „დრო მიდის, გაუფრთხილდით მას“, „მიეცით დროს დრო“ და კიდევ ბევრი ასეთი ბრძნული დარიგებანი, მიიხურავდა კაბინეტის კარს და ახალი შემართებით იწყებდა თავისი საქმის გაგრძელებას, თითქოს არაფერი მომხდარა.

მისი ასეთი ქმედება იყო გაკვეთილი ჩემთვის, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როდესაც ვინჩეს შენი დამოუკიდებელი, შეუპოვარი, თავდადებული საქმიანობა აღიზიანებს და ცდილობს მოგაქციოს და-

კანონებულ ჩარჩოებში. დღეს ვაკეთებ რა ანალიზს, მისი პიროვნული ჩვევებიდან გამომდინარე, ვხვდები, რომ გიორგი იყო თავისუფლების მოყვარე კაცი, რომელიც ძალიან ღრმად წვდებოდა ქვეცნობიერს, რომელიც თავისუფალ საქართველოსაც მოიცავდა, ყოველ შემთხვევაში მას ასე სურდა და ასე სჯეროდა მომავლის.

განსაკუთრებით ემიჯნებოდა სიცრუეს. იგი ისე წავიდა ჩვენგან, რომ არცერთი აუგი სიტყვა არავის მიმართ არ დასცდებია. ეს იყო შესანიშნავი მაგალითი იმისა, რომ ადამიანში ხედავდე მხოლოდ კარგს... ცუდსაც ამჩნევდა ალბათ, მაგრამ ამას ტოვებდა უკომენტაროდ...

ერთი კი ნამდვილად ვიცი, ყველაფერს, რასაც მივაღწიე (ჩემს მოკრძალებულ ცოდნას და გამოცდილებას ვგულისხმობ), გიორგი დანელიასთან ხანგრძლივი და დიდი მუშაობის შედევრი იყო. მაძლევდა მოტივაციას, რომ ამელი მისგან მაგალითი და ჩემი, თუნდაც პროტესტი გარემო პირობების მიმართ, ასახულიყო მხოლოდ შრომასა და არაფერ სხვაში. შეცდომებიც ბევრი მექნებოდა ურთიერთობაში, მაგრამ შემჩნევას მაძლევდა პირდაპირ, რომელსაც იწყებდა ასე:

„თუ ვინატრებდი ოდესმე მყოლოდა ქალიშვილი, ვისურვებდი ყოფილყო მხოლოდ შენნაირი, შენი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. კარგი იქნება თუ ჩემს რჩევას მიიღებ“.

მახსოვს ერთერთი ასეთი კამათი დამთავრდა ჩემი პორტრეტის დახატვით და საოცარი უნაკლო ლექსით, რომელმაც ნამდვილად დამანახა საკუთარი პრობლემები. მათ, როგორც რელიქვიას დღემდე ვინახავ. ასეთ ჩანახატებს და ლექსებს თითქმის ყველა თანამშრომელს უძღვნიდა.



მარინას!

ჰარმონიამ შენთვის მოიცალა,
ღმერთმა გშობა ულამაზეს ქალად,
მეგობრობაც სანაქებო იცი,
თვით თამართან დაგიდვია ფიცი.
უცნაური შეგხვდა ჰოროსკოპი,
დაგებედა შრომა , მიკროსკოპი,
გონი მოგცა, განსჯაც გეხერხება,
თუმც ცხოვრება შენ არ გეფერება,
ჯიუტად სულ მწვერვალისკენ იღვნი,
ვით სანთელი ორივ მხრიდან იწვი!

გიორგი დანელია

21.02.2011.

ბატონი გიორგის დავიწყება შეუძლებელია. მისი მოწაფეების ცნობიერში თუ ქვეცნობიერში, მუდმივად ვცხოვრობთ მასზე მოგონებებით და ვითვალისწინებთ რა ბატონი გიორგის რჩევებს, ვრწმუნდებით, რომ საზოგადოდ არ არსებობს კარგი და შესაფერისი დრო და გარემო, მაგრამ არსებობს ამ დროისთვის შესაბამისი სწორი აზროვნება და ქმედება, რაც ხელს გიწყობს მიზნის მიღწევაში.

დღეს, როდესაც სამწუხაროდ აღარ ფუნქციონირებს „დანელიას ლაბორატორია“ და გავედით „გარეთ“, ქალაქის სხვა კლინიკებში, ცოტა გაგვიჭირდა, ვინაიდან აღარ გვყავდა ქომაგი და მფარველი. პირადად მე, რამდენიმე წელი დამჭირდა ახალ რეალობასთან შესაგუებლად.

გადავწყვიტე შეძლებისდაგვარად გამეგრძელებინა ბატონი გიორგი დანელიას ხელმძღვანელობით დაწყებული საქმიანობა საშვილოსნოს ტანის პათოლოგიებთან, პლაცენტის და განვითარების მანკების პრობლემებთან დაკავშირებით. უხერხულია ამ თემებზე საუბარი, მაგრამ მხოლოდ ერთს ვიტყვი, მიმაჩნია, რომ ამჟამად ვმოქმედებ სწორად. რის გაკეთებას შევძლებთ და რა შედეგს დავდებთ ახალ გუნდთან ერთად, ამას ალბათ დრო გვიჩვენებს...

ნამდვილად გამიმართლა, რომ მეცხოვრა, მეშრომა და ჩამოვყალიბებულიყავი იმ ფასეულობებით, რომლებიც ბატონი ბიჭიკოსთვის მუდამ შეუცვლელი იყო. მის ხსოვნას მივუძღვენი ორი ლექსი, მოკრძალებულ რითმებად ვაქციე ჩემი სათქმელი.

გიორგი დანელიას ხსოვნას! მარინა ფაილოძე

უპრეტენზიოდ, მდუმარებაში განვლილი წლები,
თავმდაბლობით და სულიერებით რჩეული სახე,
ლვანლმოსილი და შემოქმედი, ბრძენი, მეტყველი,
კაცთამოდგმისთვის თავდადებული, ბავშვივით წრფელი.
ყველასთვის მუზა, შთაგონების და ზეობის წყარო,
ამოუწურავ პალიტრით სავსე უცხო ფერებით,
უცხო ჰანგებით, ზღვა ემოციით და იმპულსებით,
კაცი - ლეგენდა, ამოუცნობი და უსასრულო...

2021წ.

„იყო პოეტი არაპოეტი!“

მარინა ფაილოძე
(ეძღვნება გიორგი დანელიას ხსოვნას)

ფუფუნებაა კარგი აღმზრდელი, გზის შუქურაა მანათობელი,
მხოლოდ მის კვალზე თუ მოახერხებ, იყო პოეტი არაპოეტი!

პოეტი ხარო მეუბნებიან,
მე კი ვამბობ, რომ არ ვარ პოეტი,
თავისით მოდის ემოცია და
თვით ინერჯება ლექსი ყოველი.
ემოციებს კი,- მე მას არ ვმალავ,
აქ გამომაწრთო ბედმა ჭიდილში.
მადლობა ძალებს რომ მე გამხადეს,
ვითომ პოეტი არაპოეტი.
განგებამ შექმნა წამი ყოველი,
გონებამ მისი კონტროლი შეძლო.
მე გავიარე უმძიმესი გზა და
თავად ვიგრძენი ჯვარი ცხოველი.
ცხოვრება გზაა დაუნდობელი,
მესაჭე მე ვარ ვმართო ყოველი.
ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო,
განა ტყუილ არს თქმული ყოველი?

განვლილი გზები ზღვაა უძირო,
ტალღები მისი დაუნდობელი,
მასთან ბრძოლა კი არის ამაო,
უნდა დანებდე, თუნდაც მოეშვი.
ვერას დაგაკლებს ზვირთების ძალა,
თუ მსუბუქი ხარ განვლილ ცხოვრებით.
მე მის კალთაზე მაფარფატა და
თავად მომეშვა, რადგან მოვეშვი.
დუმილის ცოდნა თვით შეგნებაა,
ოქროზე მეტად ფასობს ყოველი,
საქმემან შენმან გადაგარჩინოს,
განა ტყუილ არს თქმული ყოველი?
დიდხანს სიცოცხლე ბედისწერაა,
მას არ ვემდური, მეტსაც მოველი,
რადგან ყოველთვის ბრუნდება უკან,
რასაცა გასცემ შენგან ყოველი.
ცხოვრება თავად იძლევა პასუხს,
ვინც რასა დასთესს, იმკის ყოველი.
ამიტომ ხომ არ დავიმსახურე,
ვიყო პოეტი არაპოეტი.

2022 წ.

გიორგი (ბიჭიკო) დანელია – ქართული მოაზროვნე საზოგადოების კოლორიტი, მრავალმხრივ ამოუცნობი ფენომენია... მისი განვლილი ცხოვრება – სირთულეებით სავსე „ეკლიანი“ გზაა, რომელიც უეჭველად მიდის „ტაძრამდე“...

მენატრებით, ვამაყობ თქვენით, გამიმართლა თქვენით.
მარადიული ძილით, სამუდამო სასუფეველში განისვენეთ მართალო, კეთილო და მიმტევებელო ადამიანო.

მარინა ფაილოძე
სამეანო პათოლოგიისა და გინეკოლოგიური
მიმართულების წარმომადგენელი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
თსსუ ასისტენტ-პროფესორი

ბატონმა ოთარმა გიორგისთვის ნაჩუქარ წიგნზე ასეთი წარწერა გააკეთა:

„ბავშვობაში დამალობანას ვთამაშობდით. ვინც ბოლო გამოჩნდებოდა, გაიძახოდა: „Стук, стук за всех“. აი ასეა დღესაც. ბატონი ბიჭიკო დანელია დღემდე ყველაზე თავდადებული, მზრუნველი და პასუხისმგებელია, რისთვისაც ჩვენი საზოგადოება გულწრფელად მადლიერია მისი, და რა თქმა უნდა, რომ მეც“.

ოთარ (ტონი) კალანდარიშვილი
საქ. დამსახ. არქიტექტორი

„გიორგის ნიჭიერება თან სდევდა მის პიროვნულ ხიბლს. არ მა- გონდება არცერთი შემთხვევა, რომ მას ვინმესთვის ეწყენინებინოს. იგი იყო პირუთვნელი, მართალი, ვაჟკაცური, რაინდული“.

თამარ დეკანოსიძე
აკადემიკოსი

სხვა რაც ურსა

მიუხედავად გარდაცვალებიდან გასული ათი წლისა, ჩვენი საუკეთესო წლების მეგზურის და თანამონაწილე ბატონ გიორგი დანელიაზე მოგონებები არ გვტოვებს, ხან ერთგვარ სევდას გვგრის, ხან კი ერთგვარად გვახალისებს კიდეც... მეითხველსაც ამიტომ გვინდა გავუზიაროთ მისი, როგორც გამორჩეულად ნიჭიერი ადამიანის თანმდევი ზოგიერთი ე.წ. „შეუსაბამოებები“ თუ უცნაურობები...

ზოგიერთი რამ, მართლაც რომ გასახსენებელია...

კოლეგებისა და მეგობრების მოგონებებში ერთხმადაა აღნიშნული ბატონი გიორგის უზადო მეხსიერება, ეხებოდა ეს მის პროფესიას, ლიტერატურისა თუ ძუსიკის სხვადასხვა მხარეებს. ჩვენ კი აქ გვინდა გავიხსენოთ ის სახალისო შემთხვევები, ყოფით ცხოვრებაში, ან არასტანდარტულ სიტუაციებში ხანდახან, როგორ „უმტყუნებდა“ ხოლმე ეს ნაქები მეხსიერება.

ბესიკ კილასონია: ერთხელ უადგილო ადგილას დაყენებულ მის ავტომობილს ნომერი მოხსნეს. პოლიციაში რომ გამოცხადდა, მანქანის სახელმწიფო ნომერი ჰქონდეს. ვერ გაიხსენა... სახლში დარეკე და ქალბატონი ბელა გეტყვისო, ვურჩიეთ. “ტელეფონის ნომერი ახალი გამოცვლილია, სახლში კი მე იშვიათად ვრჩეკავ და არ მახსოვსო. გამოსავალი მაშინვე იპოვნა: “არა უშავს, ჩემი ლაბორატორიის გოგოებთან დავრცეკავ და ისინი მეტყვიანო.”

ინსპექტორმა ალმაცერად გახედა ბატონ გიორგის, მიხვდა რომ არასტანდარტულ ადამიანთან ჰქონდა საქმე, ალბათ ამიტომ ავტომობილის ნომერი უპრობლემოდ დაუბრუნა...

...ბატონი გიორგი, იყო რა ჩემი ოპონენტი, დეტალურად განიხილა სამეცნიერო ნაშრომი, მომცა მრავალი რჩევა, დაცვის წინ გამაცნ 30-მდე შეკითხვა, რომელსაც საჯარო დაცვისას მკითხავდა. იმ პერიოდში ეს ფორმა მიღებული იყო. მეორე დღეს, ბ-მა გიორგიმ წარმოთქვა რა ოპონენტის სიტყვა, გადავიდა შეკითხვებზე. მე გადმოვიდე წინასწარ მომზადებული შეკითხვები და მოვემზადე პასუხების გასაცემად, მაგრამ ეს რა მესმის!! არცერთი წინა დღით შეთანხმებული კითხვა არ გაუმჯორებია ოპონენტს. დაცვის შემდეგ რომ ვკითხე, ეს რა მიქენით ბატონი გიორგი-მეთქი, მიპასუხა: “შენი

კითხვები სახლში დამრჩა და ზეპირად ხომ არ მეცოდინებოდაო? და თან დაურთო, ასე ჯობდა, კიდევ უკეთ წარმოჩინდა პასუხებში შენი კვალიფიკაცია“...

...ერთხელ ჩემს შრომაზე მუშაობის დროს მთხოვა: სწრაფად ჩაინერეო და სხარტად მეარნახობდა ტექსტს. მე ვერ ვასწრებდი ჩანერას. უცებ წამართმევდა ფურცელს და თვითონ გააგრძელებდა წერას. ისე სწრაფად აზროვნებდა, რომ ზოგჯერ თვითონაც ვერ ასწრებდა აზრის ფურცელზე გადატანას და თითოეულ სიტყვას ერთი ან ორი ასოთი აღნიშნავდა ხოლმე. მე ეს ჩანანერი მეორე დღისთვის დაბეჭდილი უნდა მიმეტანა, მაგრამ მის ნაწერს ხშირად ვერ ვარკვევდი და „ხელცარიელს“ რომ დამინახავდა, მისაყვედურებდა, ამის წაკითხვას რა უნდოდაო! გამომართმევდა ფურცელს, მაგრამ თვითონაც რომ ვეღარ გაარჩევდა ამა თუ იმ სიტყვას, „დამარცხებული“ გამომხედავდა, რაზედაც ძლიერ ვხალისობდი...

ომარ ხარძეიშვილი: ბატონი გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ საუბრის დროს ხშირად იყენებდა რუსულ ფრაზეოლოგიას და არა მარტორუსულს, იყოპატრიოტული გრძნობით მთლიანად გამსჭვალული ადამიანი. მახსენდება ერთი ეპიზოდი: ვისხედით ქალბატონი თამარ დეკანოსიძის სამუშაო ოთახში. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ სავარაუდოდ შეკრებილი ვიყავით პათოლოგანატომიური სამსახურის რაღაც პრობლემასთან დაკავშირებით. ქალბატონმა თამარმა საუბრის დროს მოიყვანა რამდენიმე აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან“, რასაც მოჰყვა მანამდე მდუმარედ მჯდომი ბატონი გიორგის გამოცოცხლება და უცებ მან საუბარი პოეზიის გენიოსებზე გადაიტანა, რამდენიმე სტროფი წარმოთქვა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“, თან დაუმატა:

– „ხომ გენიალურიაო, “ წამით შეჩერდა, თვალები გაუბრწყინდა და დასძინა: ”იცით თუ არა თქვენ, რომ პუშკინი ქართველია?“ ყველას გაგვეცინა და ვიკითხეთ: ”ეს როგორ?! რანაირად?!“ ბატონმა გიორგიმ არ დააყოვნა და დაიწყო ახსნა: პუშკინი, მისი გარეგნობიდან ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ რუსი არ იყო, მაგრამ ამავე დროს არც ზანგი იყო. ასეთი ცეცხლოვანი ლექსის წერა ზანგის ბუნებას არ მიესადაგება. იგი კრეოლია, ანუ მასში ჩქეფს ესპანური სისხლი, ესპანელები კი ვინ არიან? ხომ დამტკიცდა, რომ ესპანელები, ბასკები, ჩვენი სისხლით მონათესავე ერია. აქედან გამომდინარე, პუშკი-

ნის ძარღვებში ქართული სისხლიც ჩქეფს, ანუ პუშკინი ქართველია". ყოველივე ამას ბატონი გიორგი ისეთი ვნებით ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ლოგიკით პუშკინის ქართველობა არც ჩვენ და ვფიქრობ, არც თვითონ ბატონ გიორგის მაინცდამაინც არ სჯეროდა, მაგრამ შეკამათების სურვილი არ გიჩნდებოდა, რადგან ამ ლოგიკის უკან კარგად ჩანდა კეთილშობილი, სპეტაკი და მეოცნებე ესპანელი აზნაურის, მიგელ დე სერვანტესის დონ კი ხოტ ლამანჩელის ქართველი პროტოტიპი – თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, რომელსაც სურდა, რომ ყველაფერი კარგი, რაც მსოფლიოში არსებობდა, ქართული ყოფილიყო.

ლაბორატორიის წევრების მოგონებებიდან:



პირველ რიგში მარცხნიდან: რ. ლორია, ე. რაკიტიანსკაია, გ. დანელია, ნ. გოგია; დგანან: ნ. ხუნდაძე, ც. გურგენიძე, ა. ბეტროვი, მ. ფაილოძე, ჯ. ნანიკაშვილი

ნანა ხუნდაძე, ციტოლოგი, იხსენებს: ერთხელ, ბატონმა გიორგიმ მთხოვა წავსულიყავი ექიმ-სტომატოლოგთან და განეული სამსახურისთვის სიმბოლური პრეზენტი – შოკოლადების ასორტი გადამეცა. ამ ექიმს, წინა დღით, ბატონი გიორგისთვის კბილი ამოელო. დავავლე საჩუქარს ხელი და ველოდები როდის დამისახელებს ექიმის გვარს. ბატონი გიორგი უხერხულად ილიმება და მეუბნება: ნანა, ხომ იცი, რა დაბნეული ვარ, ექიმის არც გვარი მახსოვს და არც სახელიო. ჩემი გაოცებული სახე რომ დაინახა, სახე გაუნაოდა, აიღო თაბახის ფურცლის მეოთხედი და რამდენიმე წუთში პორტრეტის ესკიზი გამომინოდა: აი, ეს ქალბატონიაო. ჩაფიქრებულმა გამოვართვი ეს ჩანახატი. ბატონ გიორგის უარს ვერ ვეტყოდი, თუმცა არარეალურად მეჩვენა რესპუბლიკურ სტომატოლოგიურ კლინიკაში, სადაც ექიმთა უამრავი რაოდენობა მუშაობდა, ადრესატისთვის მიმეგნო.

სტომატოლოგიურ კლინიკაში პირდაპირ ჩემს მამიდაშვილს მივაკითხე და ვთხოვე დამხმარებოდა ამ ექიმის მოძებნაში. იქ მყოფმა ექიმებმა მზადყოფნა გამოიჩინეს, დახედეს თუ არა ჩანახატს, ერთხმად წამოიძახეს: ეს ხომ ჩვენი ქირურგი თამარ აბულაძეაო. ასე მარტივად გადამაწყვეტინეს ჩემი „პრობლემა“...

...ბატონი გიორგი მეტად გულწრფელი, უეშმაკო, მიმნდობი და ბავშვივით გულუბრყვილო ადამიანი იყო, რამაც ერთხელ იგი საკმაოდ კურიოზულ მდგომარეობაში ჩააყენა.

განყოფილების თანამშრომლებმა გავიხსენეთ ასეთი შემთხვევა:

ბატონი გიორგი ერთერთ სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას ამთავრებდა თავის დოქტორონანტთან და ბოლო საილუსტრაციო ფოტოებილა ჰქონდა გადასალები. მას როგორც ჩვენს, ასევე ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში თავისი ფოტოლაბორატორია ჰქონდა. ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, საპატიო მიზეზით, ოდნავ დაგვიანებით მივედი ლაბორატორიაში, სადაც ასეთი სურათი დამხვდა: ყველა დუმდა, გაოცებული სახეებით ერთმანეთს ხმადაბლა ესაუბრებოდნენ. როცა ვიკითხე მიზეზი, მითხრეს, რომ „იზია“, ჩვენი ფოტოგრაფი ანუ იზრაილ რაბინვიჩი უცბად ინფარქტით გარდაცვლილა. ამ საუბრისას ბატონმა გიორგიმ, კაბინეტიდან გამოსულმა მკაცრად მითხრა: **“Заходи быстро”**. გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ „იზიას“ გარდაცვალებას განიცდის-მეთქი.

შევედი, სიჩუმე ბატონმა გიორგიმ დაარღვია. წარბები შეკრული

ჰქონდა, მარჯვენა მუშტი მაგრად მოკუმშული მუხლზე დაედო. “Ты представляешь, какой он безответственный этот Изья, когда он мне так срочно понадобился, взял и умер”... მე სახტად დავრჩი, იმნამსვე მიგხვდი, რომ ბატონმა გიორგიმ უცბად ვერ გაიაზრა მომხდარის ტრაგიკულობა, რადგან წინა პლანზე, იმ მომენტში დისერტაციის დამთავრების საკითხი უტრიალებდა თავში. კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც ახლა მე დავარღვიე: ბატონო გიორგი, „იზიამ“ დაკარგული მანქანა იპოვნა და მოულოდნელი სიხარულისგან ინფარქტით გარდაიცვალა-მეთექი. თავჩაღუნული ბატონი გიორგი უცბად გონს მოვიდა, შეიძმუშნა, გასწორდა და მოიღუშა. აი აქ კი, სულ სხვა რამ ამოვიკითხე მის თვალებში: დიდი სევდა და თანაგრძნობა. მან „მრისხანე“ პროფესორიდან გულწრფელად დამწუხრებულ ჭირისუფლად გარდაქმნის ტრანსფორმაცია განიცადა: “სანყალი, რა კარგი კაცი იყოო“, დამორცხვებით ჩაილაპარაკა თავისთვის...

მარინა ფაილოძე: მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა. მე და ბატონი გიორგი დაძაბულები ველოდებოდით პიროვნებას, რომელთან საუბარი ერთგვარად სარისკო, თუმცალა აუცილებელი იყო. ერთ საპასუხისმგებლო საქმესთან დაკავშირებით საჭირო შეიქმნა გარკვეული სიმკაცრის გამოჩენა, მისი ერთგვარად დროული და სამართლიანი „შეფუცხუნება“ (დეტალებით თავს არ შეგანყენო).

როდესაც იგი მოვიდა ჩვენთან, ბატონმა გიორგიმ სრულიად შეცვალა საუბრის „დაგეგმილი“ ტონი და მშვიდობიანად, დიპლომატიურად, მოკლე დროში დაასრულა მასთან ბაასი და გააცილა კიდეც გაოცებული სტუმარი (ის ხომ გაცილებით მკაცრი საუბრის მოსმენის მოლლოდონით მოვიდა ჩვენთან!). უკან შემობრუნებულს კი მე არანაკლებ გაოცებული დავხვდი. ეს რომ შემნიშნა. მითხრა: “ასე იყო საჭირო, ასეთ შემთხვევებში იტყვიან ხოლმე: “И волк съит и овцы целие”. ადამიანის განაწყენებაზე ადვილი არაფერია, ზოგჯერ სიმართლეც საზიანოა. გახსოვდეს, დუმილი ოქროა და თუ ამას შეძლებ, ცხოვრებას გაიიოლებ”...

ბატონი გიორგი უყვარდა მთელ თბილისს. ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც მასთან არ აკავშირებდა დიდი სითბო და სიყვარული. მახსოვს, ერთ დღეს, ბატონმა გიორგიმ გამაგზავნა დახელოვნების ინსტიტუტში ბატონ **საულ კახიანთან**. მის კაბინეტში თათბირზე იმყოფებოდნენ თავისი თანამშრომლები. მე ვიცდიდი

კაბინეტთან. როდესაც კარი შეაღეს და ბატონმა საულმა დამინახა, მომიბოდიშა, ცოტახანს მოცდა მოგიწევთო და თან მკითხა ვისგან ხართო. როდესაც გაიგო ვისგანაც ვიყავი, ბატონი საული ფეხზე წა-მოდგა (შეიძლება ითქვას წამოხტა), რა დროს ლოდინია, შემობრძან-დით ქალბატონო, ბრძანეთ რა გნებავთ, ბიჭიკო დანელიას გულისთ-ვის ხვლიერ შევჭამ, თუ საჭირო იქნებაო და ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ დღემდე მახსოვს მაშინდელი ემოცია და არ დამავინყდება სი-ცოცხლის ბოლომდე.

ლაბორატორიის წევრებმა ასეთი შემთხვევაც გაიხსენეს:

ბატონი გიორგი სასექციო მასალის დამუშავების, ანალიზისა და დიაგნოზის დასმის საკითხებში უკომპრომისოდ, პრინციპულად სიმართლის მხარეზე იდგა, ის პროფესიულ საქმიანობაში ჩვენთვის სწორი, უცდომელი მოქმედებების გზამკვლევი და ორიენტირი იყო. ამიტომ, ჩვენი თვალსაზრისით, იგი შეუდარებელი დაგნოსტიკი გახლდათ.

ამასთან დაკავშირებით, თანამშრომლები იხსენებენ ერთ გახ-მაურებულ შემთხვევას. ბატონმა გიორგიმ ერთერთ პაციენტს სარ-კომის დიაგნოზი დაუსვა. ეს დიაგნოზი გადამონმდა თბილისში სხვადასხვა კათედრაზე და ბოლოს კი მოსკოვშიც. დასმულ დიაგ-ნოზს არსად არ დაეთანხმები. ბატონ გიორგის ინსტიტუტში სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. რამდენიმე თვეში სხენებული პაციენტი დაიღუპა, აუტოფსიით დადასტურდა სარკომის შემდგომი მეტასტა-ზების არსებობაც. აკადემიკოსმა კონსტანტინე ჩაჩავამ, ინსტიტუ-ტის მაშინდელმა დირექტორმა, გამოიძახა ბატონი გიორგი, ეს ამ-ბავი ამცნო და მოუბოდიშა კიდეც. "რა დასანანია ამ ქალბატონის სიკვდილი რომ გახდა საჭირო ჩემს გასამართლებლად," – იყო ბატონი გიორგის მოკრძალებული პასუხი.

ვიხსენებთ ხოლმე ერთ ასეთ შემთხვევასაც. ერთხელ ბატონმა კოტე ჩაჩავამ მეცნიერ-თანამშრომლებს დაავალა დაეწერათ თავ-იანთი დღის განრიგი. ბატონმა გიორგიმ დაწერა: დილით 7 საათზე ვდგები, ვვარჯიშობ, ვმუსიცირებ – ვუკრავ გიტარაზე ან როიალზე, დროდადრო ვხატავ, ვკითხულობ, შიგადაშიგ ვმდერი.. სხვებისგან განსხვავებით, არსად არ მიუთითა როდის მუშაობდა. ბატონმა კო-ტემ წაიკითხა ეს განრიგი და ირონიული, მრავლისმეტყველი სახით

ღიმილით ჰკითხა: “ბიჭიკო, ერთი მითხარი როდისღა მუშაობო?”. ჩვენ ყველანი დაწმუნებულები ვიყავით, რომ ბატონ ბიჭიკოს კი არ „გამორჩა“ მუშაობის ჩანერა, არამედ თავისთავად იგულისხმა, რომ მისი ცხოვრების ძირითადი აზრი შრომა, შრომა და შრომა იყო (ალბათ ბატონი კოტეც ამასვე იგულისხმებდა), რასაც სპეციალური ხაზგასმა არ სჭირდებოდა, ხოლო განრიგში ყოველი ჩამონათვალი ავსებდა, ალამაზებდა და ამდიდრებდა მის ყოველდღიურ ცხოვრებას, რაც ეხმარებოდა მისი, როგორც პიროვნების სრულყოფაში...

ბატონი გიორგი რთულ, თითქოს-და გამოუვალ სიტუაციებში გაჭირვების ტალკვესი იყო... ერთხელ გერმანელი მეცნიერი იყო ჩამოსული ინსტიტუტში, რომელსაც თან ახლდა პროფესორი ე. ნოვიკოვა პეტერბურგიდან. თარჯიმანი ზოგად საუბრებს კარგად თარგმნიდა, მაგრამ როდესაც თემატური მოხსენებები დაიწყო, თარჯიმანს პრობლემები შეექმნა სპეციფიკურ ტერმინებთან დაკავშირებით. შეიქმნა დიდი უხერხულობა. პროფესორმა ე. ნოვიკოვამ მიმართა ბატონ კოტე ჩაჩავას: ნუთუ არ მოიძებნება ინსტიტუტში ადამიანი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს? ბოლოს თვით ე. ნოვიკოვამ გაიხსენა, თქვენთან ხომ არის პროფესორი გიორგი დანელია (იგი მისი სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი გახლდათ და იცოდა მისი ევროპული ენების ცოდნის შესახებ), მოვიწვიოთ და მას ვთხოვოთ დახმარება. მართლაც, დაურეკეს ბატონ გიორგის, იგი შემობრძანდა ბატონი კოტეს კაბინეტში და დაიწყო გერმანულიდან რუსულად, შემდეგ ქართულად, რუსულიდან კი გერმანულად თარგმნა. გერმანელი მეცნიერი აღფრთოვანებული დარჩა ბატონი გიორგის ბრწყინვალე ლინგვისტიკური მონაცემებით, გერმანულისა და რუსულის ასეთი სრულყოფილი ცოდნით (რატომ თავიდანვე არ მიიწვიეს იგი ამ მოხსენებაზე არა როგორც მთარგმნელი, არამედ როგორც მაღალი კვალიფიკიციის ერუდირებული მსმენელი, ყველასთვის გაუგებარი დარჩა...).

(ბ. გ.) ...კოლეგებს მეც შეიძლება შევაშველო ჩემს მეხსიერებას შემორჩენილი ზოგიერთი სახალისო შემთხვევა.

მინდა გავიხსენო თეიმურაზ ყუბანეიშვილის სახელოსნოში გატარებული ერთი საღამო, სადაც დაპატიუებული იყო ბატონი მერაბ მამარდაშვილი, ბიჭიკო და მე. თემოს და მერაბს სიყრმისდროინდელი მეგობრობა აკავშირებდათ.

სახელოსნოში თემოს, მისთვის ჩვეული დახვეწილი გემოვნებით

და, რაც მთავარია, ყველაფერი საკუთარი ხელით ჰქონდა შექმნილი: ბუხარი, ქართული კუთხე “მარნის ელემენტებით”, ამავდროულად შეთავსებული ლუდის ბართან, ქართული აგურით ნაშენი კედლები. ფიქალი ქვით მოპირკეთებული ტიხერები თაღოვანი სარკმლებით, კოშკის კიბე და ძველებური ხის რიკულები. ეს ყველაფერი ქმნიდა ეგზოტიკურ და უჩვეულო გარემოს, რაც ბატონ მერაბს შეუმჩნეველი არ დარჩენია. “У тебя больший вкус к вещам” უთხრა თემოს. ბატონი მერაბ მამარდაშვილი სიტყვაძუნწობით გამოირჩეოდა, ამიტომ მისი ეს ლაკონიური კომპლიმენტი დაფასებულ იქნა.

საღამოს უძლებოდა ბიჭიკო ჩვეული ბრწყინვალებით: მღეროდა, აფრკვევდა საინტერესო აზრებს სხვადასხვა საკითხებზე. ამავე დროს თემო და ბიჭიკო დუეტში უკრავდნენ ვიტარაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სტუმარს ხმა არ ამოაღებინეს. სუფრის ბოლოს ბიჭიკომ თითქოს ერთგვარად მოიბოდიშა კიდეც, მოსწრებულად იხუმრა: “Философ молчит, а патанатом философствует”.

...წლები ზუსტად არ მახსოვს; ერთხელ თბილისში აკად. ლაური მანაგაძის მოწვევით ჩამობრძანებული იყო ცნობილი გერმანელი მეცნიერი – უროლოგი ფოგლერი, რომელმაც ბერლინის კლინიკაში – „შარიტე“, ნინა დღეებში ოპერაცია ჩაატარა. მოწვევის მიზეზიც სწორედ ის გახლდათ, რომ მას თბილისშიც იგივე ოპერაცია უნდა ჩაეტარებინა გერმანელ კოლეგებთან ერთად.

მასპინძლის რანგში დახვდათ მათ აკად. ნიკოლოზ იზაშვილი, ბიჭიკოს უახლოესი მეგობარი, პროფესორი ლადო აბაშიძე მეუღლითურთ. ლადოსთან ოჯახში სუფრას თამადობდა ბიჭიკო, რომელმაც ფრთხები გაშალა, გაილადა, სადღეგრძელოებს გერმანულ ენაზე ამბობდა, თან აუცილებლად გერმანული პოეზიდან ლექსებით შეამკობდა ხოლმე თავის ნათქვამს: ფოგლერს ჯერ თვალები გაუფართოვდა, შემდეგ გაოცება გამოხატა და როცა თამადამ თავისი კეთილგანწყობა იმითიც გამოხატა, რომ რამდენიმეჯერ მხარზე ხელი მეგობრულად შემოჰკრა, ფოგლერმა გულიანად გაიცინა. არანაკლებ გაკვირვებულები დარჩენენ მასპინძლები, რადგან ერთად გატარებული ორი კვირის მანძილზე სიცილი კი არა, ლიმილიც არ შეუმჩნევიათ გერმანელი სტუმრების სახეზე...

ერთ ზაფხულის დღეს, საღამო ხანს მესტუმრა ჩემი უახლოესი მეგობარი, სამწუხაროდ ან გარდაცვლილი, ციალა პაპიაშვილი

შვეიცარიიდან მასთან სტუმრად ჩამოსული ცოლ-ქმრითურთ. ბიჭიკოს დიდი ხანი არ დაუყოვნებია, გავშალე თუ არა სუფრა, მოიმარჯვა გიტარა და სტუმრების პატივსაცემად ხალისითა და აზარტით შეუდგა დაკვრასა და სიმღერას. ვცხოვრობდით ბოლო, მეშვიდე სართულზე, ფანჯრები ლია იყო და ხმამაღალი სიმღერა არა მარტო სტუმრებისთვის, არამედ ჩვენი სახლის მაცხოვრებლებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა: ეზოში ძელსკამებზე ჩამომჯდარნი სიამოვნებით უსმენდნენ „კონცერტს“. სტუმარი ცოლქმარი ვერ მაღლავდა თავიანთ აღტაცებას, მაგრამ როცა შებინდდა, სულ საათზე დაიწყეს ყურება. ციალას ვკითხეთ მიზეზი, სხვაგანაც ხომ არ აპირებდნენ ნასვლას. თვითონ სტუმრებმა გვიპასუხეს: უკვე ათი საათია და ჩვენთან ამ დროს სახლში ძალლმა რომ დაიყეფოს, პოლიცია მოვა და დაგვაჯარიმებსო. ბიჭიკომ დაამშვიდა სტუმრები: „ნუ ნერვიულობთ, თქვენ ახლა სხვა სახელმწიფოში ხართ, იქ, სადაც სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები სახელმწიფო კანონების ჩარჩოებში არ ჯდება. თუ სტუმრების საამებლად გიტარის თანხლებით სიმღერას საღამოხანს ხმამაღლა შევასრულებ, პოლიცია ამისთვის არ დაგვაჯარიმებს“.

...მახსენდება ერთი ასეთი კურიოზული შემთხვევა. ჩვენი ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა, თენგიზ კორძაძემ, დიდი მოკრძალებით მთხოვა, როგორ შევაწუხო ბატონი გიორგი, ჩემი ქალიშვილი, მომავალი მედიკოსი, ერთ რთულ საგანს აბარებს. ძალიან კარგად არის მომზადებული, მაგრამ ასეთი ხმა დაურჩიეს ლექტორს: თუ ვინმე კომპეტენტური პიროვნება რეკომენდაციას არ გაუწევს, სტუდენტს, მაღალ ნიშანს არ უწერსო (?!). მაკა კი ძალიან ბეჯითი სატუდენტია და ჯერჯერობით სულ მაღალ ნიშნებს იღებსო. ბიჭიკონავიდა „საპროტექციოდ“, ლექტორს ნებსით თუ უნებლივდ შეცდომა არ დაეშვა და დაბალი ნიშანი არ დაეწერა სათანადოდ მომზადებული სტუდენტისთვის. შევიდა თუ არა ინსტიტუტის შენობაში, ვიღაც ფრიად სიმპატიური ქალბატონი შემოეგება, გადაკოცნა, მოიკითხა ჯერ თვითონ ბიჭიკო, შემდეგ კი არაერთი საერთო მეგობრის თუ ნაცნობის ამბავი იკითხა... ბოლოს, როგორც ჩანს, ეს არც თუ „უცხო“ ქალბატონი შეეკითხა: „ბიჭიკო, რაზე შენუხებულხარ, მე ვერ დაგეხმარებიო“. ბიჭიკომ უთხრა, „ქალბატონ მერი სიგუასთან (გვარი განგებ შევცვალე) ვარ საპროტექციოდ მოსულიო“. „აბა მე ვინ ვარ ბიჭიკო...“ გულიანად გადაიკისკისა ქ-მა მერიმ...

...ანალოგიურ კურიოზის ჰქონდა ადგილი, როდესაც მართლაც ჩვენთვის სასურველი, მაგრამ საკმაოდ დიდიხნის უნახავი ოჯახის წევრები შეგვხვდნენ. ჩვენს საუბარში ბიჭიკო აქტიურად არ ჩაერთო, რაც მას ჩვეულებრივ უყურადღებობა არ ახასიათებდა. როგორც კი გაგვშორდნენ, ვკითხე, სულხანიშვილები ვერ იცანი-მეთქი. ალბათ მართლაც ასე მოხდა, რადგან გულუბრყვილო ბავშვივით მთხოვა: „Давай догоним, я исправлю свою ошибку”?!

...ერთხელ კ. ჩაჩავას ინსტიტუტის თანამშრომლები რალაც საზეიმო თარიღს აღნიშნავდნენ რესტორან „არაგვში“ (გახსოვთ ალბათ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რომ მდებარეობდა). ეს ამბავი სწორედ ერთერთმა თანამშრომელმა მომიყვა. უკვე შექეიფიანებული საზოგადოება მხიარულობდა, მღეროდა, ბიჭიკო კი გიტარაზე საკუთარი იმპროვიზაციებით ართობდა და ხიბლავდა მეგობრებს. ამ დროს დარბაზში შემოსულა თვალად ტანადი, ლამაზი მამაკაცი, ცნობილი სახელმოვანი არქიტექტორი, ბიძინა ავალიშვილი, რომელიც კარგად იცნობდა ბიჭიკოს და გიტარის ჰანგებმა მისკენ მიიზიდა. დიდი ხნის უნახავ ბიჭიკოს დიდი სიყვარულით მიესალმა, ბიჭიკო კი გიტარაზე დაკვრას არ წყვეტდა, (ეს მას ახასიათებდა), თუმცა მიმიკებით სრულ გულითადობას გამოხატავდა მის მიმართ. ბოლოსდაბოლოს, მასთან მისული მონატრებული მეგობარი ეკითხება: „БИЧИК, понятно что тебя сейчас оторвать от гитары невозможно, но скажи хоть адрес, где ты живешь? პასუხი ფრიად ლაკონიური აღმოჩნდა: Левый берег Куры”... ბიჭიკო მართლაც მარცხენა სანაპიროზე, ზუსტად რესტორან „არაგვის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე კორპუსში ცხოვრობდა. ჩვენთვის კი ნათელი იყო რატომ უბასუხა ასე, მაგრამ რა გაიგო ამ პასუხიდან მისმა მეგობარმა, გაურკვეველია.

...ერთხელ, სალამოხანს მე და ბიჭიკომ ჩემს დასთან გადავწყვიტეთ წასვლა. მე საჭესთან ვიჯექი, ბიჭიკო კი ჩემს გვერდით. სულ რამდენიმე წუთით მარკეტში შევიპინე, ვიყიდე ტკბილეული და ჩანთასთან ერთად უკანა სკამზე დავდე .. ვიდრე მე საჭესთან დავჯდებოდი, სარკეში დავინახე, რომ უცხო ახალგაზრდა ყმაწვილმა გააღო მანქანის უკანა კარები, აიღო ჩემი ჩანთა და შურდულივით გაქანდა საწინააღმდეგო მხარეს. მეც სწრაფად მოვაბრუნე მანქანა და 2-3 წუთში პოლიციაში გამოვცხადდი. პოლიციის თანამშრომელმა მკითხა, ჩანთაში მობილურიც ხომ არ გქონდათ, დარეკეთ მობილურზე, ეგებ გიპასუხოთო. ასეც

მოვიქეცი. ყმაწვილი მამშვიდებს: მობრძანდით გერმანელების საელ-ჩოსთან, მის უკან სკოლაა და სკოლის წინ ოთხუთხედად ამოჭრილ ორმოში ნახავთ თქვენს ჩანთასო. თქვენ ალბათ გასაღებების საკითხი ყველაზე მეტად განერვიულებთო, გამოიცნო „საზრიანმა“ ახალგაზ-რდამ: მართლაც ორი ნაკრები-სახლის და სამსახურის გასაღებების აღდგენა პრობლემად მიმაჩნდა. თან გულწრფელად მიაყოლა – ფული, მობილური და ზოგი წვრილმანი, რაც მომენტი მე დავიტოვეო. ჩანთა მართლაც იოლად ვიპოვეთ და ასე თუ ისე კმაყოფილები დავბრუნდით სახლში. იმ დღეს ამაზე აღარ გვისაუბრია...

მეორე დილით კი ბიჭიკო მეუბნება: დაილოცოს ის ახალგაზრდა, რა ღვთისნიერი აღმოჩნდა... აქ კი შევაწყვეტინე ლაპარაკი, როცა მი-ვხვდი ვის გულისხმობდა. ბიჭიკო, მადლობის წერილი ხომ არ გავუგ-ზავხოთ? ბიჭიკო კი არგუმეხტებით მარწმუნებდა თავისი აზრის სამართლიანობაში: ხომ შეიძლებოდა შეშინებოდა და მობილურზე არ ეპასუხა, ხომ შეიძლებოდა არც გასაღებები ჩაეტოვებინა და საერ-თოდ არ ეთქვა სად გადააგდო ჩანთა“. დავეთანხმე, შეიძლებოდა...



პოლოთხა

ბიჭიკო დანელია ჩემი სიძე იყო, დის ქმარი. როდესაც ჩვენმა ერთმა ძალიან ახლო მეგობარმა, უნიჭირესმა ფიქრია მაკალათიამ (ადრე წასულმა ამ წუთისოფლიდა), გაიცნო განსაკუთრებული, ყველასაგან გამორჩეული ბიჭიკო, ის ანდერსენის ცნობილ პერსონაჟს, იხვის ჭუჭულებს შერეულ გედს შეადარა.

ბიჭიკო დანელია მართლაც არავის ჰგავდა. ორფევსს გაეჯიბრებოდა ხელოვნების სიყვარულში, აპოლონ ბელვედერელს აღნაგობაში, მზეჭაბუკს გულანთებულობაში...

კარგ კაცზე იტყვიან დიდთან დიდია, პატარასთან – პატარაო. არა, ბიჭიკო დანელია დიდთანაც და პატარასთანაც, სწავლულთანაც და უსწავლელთანაც, ელიტური წრის წარმომადგენელთანაც და უბრალო გლეხთანაც ბიჭიკო დანელია იყო: გალანტური, დახვენილი, პოეზიის ენით მოსაუბრე. ყველამ იცის, როგორი იყო მისი გატაცება მუსიკით, ლიტერატურით, ხელოვნებით. მე ვიტყოდი, ამას გატაცება არც კი ჰქვია, ის თვითონ იყო შემოქმედი, თვითონ თხზავდა, ხატავდა, უკრავდა, მღეროდა, დეკლამირებდა. ასეთი შერწყმა გამორჩეული თვისებებისა ჩემს წარმოდგენაში მხოლოდ რენესანსის ეპოქის ადამიანებს ახასიათებდათ.

ყველაფერთან ერთად, იცით, რა იყო ჩემთვის გასაოცარი? მას მინდიას თვისებებიც ჰქონდა. ესმოდა ფრინველებისა და პირუტყვათა ენა, ის მცენარეთა სუნთქვას გრძნობდა. ყველაფერს თავისებურად ეხმიანებოდა, ცხოველებისა და ფრინველების მოშინაურებას ცდილობდა, მათ დაპურებაზე ზრუნავდა. ჩვეულებრივ ყოფას გააპოეტურებდა და მერე ტკბებოდა თავისი შემოქმედებით...

ერთი სიტყვით, მას უყვარდა სიცოცხლე, შეჰქაროდა სიცოცხლეს, რომელიც შემოქმედმა უბოძა ადამიანებს და „გვაქვს უთვალავი ფერითა“. ბიჭიკო დანელიას ნებისმიერ დროს შეეძლო ეთქვა:

„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

ერთი რამ სულ მიკვირდა: ასეთ პოეტურს, ასეთ ესთეტს, ასეთ მგრძნობიარეს, როგორ შეეძლო თავის პროფესიად პათანატომია აერჩია. გვიან მივხვდი, რომ სიცოცხლეზე შეყვარებულს სიცოცხლის ყველა საიდუმლოს ამოცნობა სურდა ლეონარდო და ვინჩის მს-გავსად, თუ დიადი მიზანი მოითხოვდა, პათოლოგიური თუ უსულო სხეული იდუმალების წვდომის გზად ესახებოდა. მაგრამ არ მახსენდება არცერთი შემთხვევა ბიჭიკოს ესაუბროს თავის პროფესიაზე

(თუმცა ალიარებული მონოგრაფიები თავის სპეციალობაში მუდამ ხელთ ჰქონდა და დისერტაციებთან მუშაობას არ წყვეტდა ზაფხულშიც, დასვენებისას). მე და ჩემი და ჩვენ-ჩვენი ოჯახებით თითქმის 30 წლის მანძილზე ერთად ვისვენებდით ჩვენს მყუდრო აგარაკზე შუა ქართლში, გარიყულაზე. ბიჭიკო და ჩემი მეუღლე, გივი (ბუჭუ) ხუსკივაძე, ბიჭიკოზე სულ ერთი წლით ადრე წასული ამ ქვეყნიდან, ისხდნენ მთვარით განათებულ ჩვენს დიდ აივანზე და რაზე არ საუბრობდნენ: მუსიკაზე, პოეზიაზე, ხელოვნებაზე, მხატვრობაზე; ბიჭიკოს უყვარდა თავისი სიჭაბუკისდროინდელი ხიფათიანი თავგადასავლების გახსენებაც, მაგრამ არასდროს არ ჰყვებოდა არაფერს თავის ვირტუოზულად დასმულ დიაგნოზებზე, განსაკუთრებულ შემთხვევებზე თავის პაციენტებთან დაკავშირებით და ა.შ. ჩანს, ეს მისთვისაც ის სფერო იყო, რომლითაც არ ტვირთავდა ადამიანს.



ცხოვრებაში გაუმართლდა, შეხვდა ნამდვილ მეგობარს, ჩემს დას, ბელა გრიგოლაშვილს. იცით, რა იყო არსებითი? ჩემმა დამ პირველ-სავე დღიდან დაინახა ბიჭიკო დანელია და მიიღო ისეთი, როგორიც იყო. ადვილი არ არის ყოფას სრულიად გარიდებულ ადამიანთან ერთად ოჯახის მართვა, მაგრამ ბელამ ეს შეძლო. ის ერთთავად გრძნობდა, ესმოდა ბიჭიკოს პულსაცია, იცოდა რა უხაროდა, რა

უჭირდა, და ყველა სიტუაციაში მის გვერდით იყო, არ აკლებდა სითბოსა და მზრუნველობას. მთავარი კი მაინც სხვა იყო. ისინი შეჰქოფინებდნენ, შეჰქაროდნენ ერთმანეთს. ეს კი ოჯახისთვის უკვდავების წყაროსთან ზიარების ტოლფასია.

ბიჭიკო დანელიას სახის წარმოსაჩენად გავძედავ და მის კიდევ ერთ შტრიხს გამოვყოფ: ის მზის ამოსვლას მხურვალე ლოცვით ეგებებოდა და ლოცვითვე ასრულებდა დღეს. შემისწრია თვალი ხატის წინაშე მუხლმოყრილი ბიჭიკოსთვის. ის ალბათ მშვიდობასა და კეთილდღეობას შესთხოვდა უფალს. როდესაც ბიჭიკოს ზიარებისთვის მღვდელი მივუყვანეთ და მარტო დავტოვეთ მასთან, ეკლესიის მსახურმა მადლობა გადაგვიხადა, ასეთი დიდი ადამიანი რომ გამაცანითო.

ბიჭიკო დანელია მგალობელი შაშვივით ატკბობდა და ამშვენიერებდა ჩვენს ყოფას. ნათელში იყოს მისი სული.

ლაურა გრიგოლაშვილი
ფილოლოგი, პროფესორი





ფოტო ჯ. ელიაშვილის

სარჩევი

I. თ. დეკანოსიძე.....	6
გიორგი დანელიას სამოღვაწეო გზა მეცნიერის ღვაწლი	
II. გ. დანელია	14
პატარების ვლადიმერ ზლენტისა და მისი სკოლის ნაამაგარი	
III. საიუბილეო თარიღების პვალდაკვალ...	
70, 80, 85 ... 90 , 95	28
IV. გ. დანელია	68
მოკლე ანოტაციები ჩემ მიერ გამოკვლეული პროგლემების მთავარ ასპექტებზე	
V. Г. Данелия	74
МЫСЛИ О НАУКЕ, МУЗЫКЕ, ИСКУССТВЕ И РАЗНЫХ ВОПРОСАХ БЫТИЯ	
გ. დანელია	90
გამონათქვამები, აზრები მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე და სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე	
VI. მოგონებები, რომელიც მუდავ ჩვენთან არის	107
პ. კინტრაია	109
კაცი-აღმაფრენი	
რ. კაპანაძე	111
ლვანცლეონისილი პიროვნება და მეცნიერი	
ო. ხარძეიშვილი	114
ლვანცლეონისილი მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება	
რ. ჩიხლაძე	116
ენერგიის უმრესი ცყარო	
ზ. ცაგარელი	117
დაგვაკლდება გაფონი გიორგის სითბო	
ივერიელი	118
არასდროს დაგვავიცყვალი	
დ. ხეროდინაშვილი	119

დაუვითებარი საღამო	
მ. ჩხობაძე	120
გატონი გიორგი დანელია	
რ. ხეცურიანი	122
გიორგი დანელიას გახსენება	
ნ. მანჯავიძე	124
გიორგი დანელიას ფეხმავენი	
რ. ლორია	126
დაგვაკლდება ყველას, ყველას, ყველას	
პ. კილასონია	128
ზოგიერთი რამ რატონ გიორგი დანელიაზე	
თ. ჯორბენაძე	130
არაორდინარული პიროვნება	
A. Мачавариани	131
НЕЗАБЫВАЕМЫЙ ГЕОРГИЙ СЕРГЕЕВИЧ ДАНЕЛИЯ	
ჯ. ნანიკაშვილი-კერვალიძე	133
გასახესენებელი ქალიან ბევრი გვაქვს	
И. Мамамтавришвили	135
ПАМЯТЬ О ДОСТОЙНОМ ЧЕЛОВЕКЕ	
გ. ჭარაშვიძე	138
ჩემი ქვირვასი, დაუვითებარი მასწავლებელი	
ი. თავზარაშვილი	141
კვალი ნათელი	
მ. ჯაფარიძე	143
გახსენება	
დ. სიგუა	145
განუმეორებელი გიორგი დანელია	
თ. გამიღაძე	149
მუსიკალური ტალანტის ახლეპური გამობრძოება	
ლ. ყუბანენიშვილი	153
„მუსიკის ჰანგები“	
ზ. ძონენიძე	156
პიროვნება და ეპოქა	
მ. ფაილოძე	160
მადლიერება!	
სხვა რაკურსი	166
ლ. გრიგოლაშვილი	177
გოლომიქა	

გიორგი დავითის ცხოვრებისა და მოღვაცეობის ნული

- 1923 წ. 25 აპრილი – გიორგი სერგის ძე დანელია დაიბადა ქ.თბილისში
- 1941 წ. დაამთავრა ქ.თბილისის 59-ე საშუალო სკოლა ოქროს მედლით
- 1941 წ. შევიდა და 1946 წ. დაამთავრა ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სრული კურსი წარჩინებითი დიპლომით (№ 500601)
- 1946 წ. შევიდა და 1949 წ. დაამთავრა ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურა პათოლოგიური ანატომიის განხრით.
- 1947 წლიდან მუშაობა დაიწყო კ.ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინე-კოლოგიისა და პერინატალოგიის სამეცნიერო-კვლევით ინ-სტიტუტში ექიმად, 1950 წლიდან – ინსტიტუტის პათომორ-ფოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად
- 1958 წ. გ.დანელიამ ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: “Возрастные изменения пупочных сосудов в связи с современными представлениями о патогенезе и некоторых морфологических особенностях пупочного сепсиса”. თბილისი. 1958.
- 1959 წ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გ. დანელიას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. დიპლომის № 005638 ,21.02.1959 წ. მოსკოვი.
- 1969 წელს კ. ჩაჩავას სახ. მეანობა-გინეკოლოგიის და პერინატალოგიის სამეცნიერო პათომორფოლოგიური ლაბორატორიის გამგის პარალელურად ინიშნება ქ.თბილისის ცენტრალური პათომორფოლოგიური ლაბორატორიის გამგედ.
- 1972 წ. გ.დანელიამ ქ. მოსკოვში, მეცნიერებათა აკადემიის პედიატ-რიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვე-ბლად თემაზე: «Морфология, патогенез и танатогенетическое значение пневмонозов у новорожденных детей». ქ. მოსკოვი.

- 1974 ნ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გ.დანელიას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. დიპლომის № 006297. 27.02.1974. ქ. მოსკოვი.
- 1978 ნ. გ. დანელიას უმაღლესი და საშუალო სპეციალური კომისიის მიერ მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება სპეციალისთვის “პათოლოგიური ანატომია”. პროფესორის ატესტაციის № 016374. 19.02.1988. ქ.მოსკოვი.
- 1990 ნ. საქ. კპ ცკ და საქ. მინისტრთა საბჭოს 1990 წ. 27 მარტის №174 დადგენილებით საქ. სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერთა ჯგუფს, მათ შორის გ. დანელიას 1962-1988 წ.წ. გამოქვეყნებულ წარმომადაციკლისათვის – “თრომბოკემორაგიული სინდრომის თეორიის შექმნა, მისი პროფილატიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების შემუშავება და დანერგვა პრაქტიკაში”
- 1990 ნ. საქ. სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წ. 31.08-ს ბრძანებულებით, გ. დანელიას ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მეცნიერთა კადრების აღზრდისთვის მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.
- 1994 ნ. გ. დანელია არჩეულია საქართველოს მედიცურ-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. №026. პრეზიდენტი გ.ჩავიძე
- 1994 ნ. გ.დანელია არჩეულია საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, №025. პრეზიდენტი ზ.ჭილაძე.
- 1999 ნ. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის გ. დანელია დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, № 01914